

ლიტერატურული გაზეთი

№4 26 ივნისი - 9 ივლისი 2009

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

დავით ქართველიშვილი:

თითქმის ყველა ჩემ ნაწარმოებში ისვრია. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც განსაკუთრებული მიდრეკილება მაქვს იარაღისკენ და ამით არც იმის დამტკიცებას ვცდილობ რომ „დედიკოს ბიჭი“ არ ვარ, პირიქით ყოველთვის მინდოდა ვყოფილიყავი „დედიკოს ბიჭი“, მაგრამ გარემოებები არ მაძლევდნენ ამის საშუალებას. მე ომის თაობას ვეკუთვნი და აქედან გამომდინარე იარაღი, ქუჩა და ა.შ. ჩემთვის უფრო ბუნებრივია, ვიდრე სახლი. სახლში ნორმალური საქმელი და მუდმივი ელექტროენერგია..

და დღეს, როდესაც ჩემი თაობის ადამიანები ომისთანად ამტკიცებენ (ჩვენი უახლოეს, უაზროდ ამაყი წინაპრების მსგავსად), რომ ქუჩაში არიან გაზრდილები, მეცინება, რადგან დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქუჩის გარდა სხვა არაფერი სამოქმედო, არამედ საარსებო სივრცეც კი არ არსებობდა, რა თქმა უნდა საქართველოს მასშტაბით..

ვწახვამ ამ სივრცეში რომ დავრჩი და დღეს ჩემი უპირველესი მინიერი მიზანი ამ სივრცის გარღვევაა..

II-III

ტარიელ ჭანტურია:

ომს მართო გენერლები არ იგებენ. ომს ჯარისკაცები იგებენ. აქეთ ათი საუკეთესო სარდალია ყველა დროის — ნაბუქ-ოდონოსორი, რამზეს მეორე, ქსერქსე, მაკედონელი, ჰანიბალი, პომპეუსი, კეისარი, ნაპოლეონი, სუვოროვი, სტალინი! იქით — იმგვარადვე შეიარაღებული ჯარისკაცების ასეული! როგორ გგონია, რა ფეხებს მოჭამენ ასეულს ბრძენი და უშიშარი მხედართმთავრები!

დიდი ქართული პოეზია დიდი ქართველი ხალხის შექმნილია, წვლილი მეტნაკლებია, ცხადია, მაგრამ არც ლეგენდებით შეიძლება არსებობა, არც საკუთარ პოეტურ ამბიციებზე მორგებული მოდელებით.

მე შემეძლია, შევადგინო XX საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგია გალაკტიონის გარეშე, მის გვერდით კი დავდო გალაკტიონის „რჩეული!“ არ დაიჯერო, ჩემო თამაზ, იმ ანთოლოგიას მუხლებამდე მიწვდეს დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული!“.

VIII-IX

ივანე ამირხანაშვილი:

პოეტურ მუზას სძინავს. იმდენი ლექსი, დღეს რომ იწერება, არასოდეს დაწერილა, მაგრამ ფაქტია, პოეზიას სძინავს.

ლექსები, რასაც ვკითხულობთ, არის მეტრულად ორგანიზებული მეტყველება, მაგრამ არ არის პოეზია; თანამედროვე ლექსში სიზმარეული დალღობა უფრო იგრძნობა, ვიდრე ცოცხალი შთაგონება.

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ პოეტები აკეთებენ იმას, რაც ყველაზე ცუდად იციან.

ხელოსანი ბევრია, ხელოვანი ცოტა.

ამიტომ ლექსებზე წერა ისევე უხერხულია, როგორც საუბარი მძინარე ადამიანთან.

მიუხედავად ამისა, ვწერ, ესე იგი, ვარსებობ, კრიზისულ სიტუაციაში ვაფიქსირებ მონანილეობას ძილის მისტიკაში, სადაც ჩემი სიზმრებიც თამაშდება მოსალოდნელ გამოღვიძებამდე.

იქ, სადაც პოეზიას სძინავს, მკითხველი, გინდა არ გინდა, სნობისტი ხდები, ზემოდან უწყებ ყურებას სიტუაციას, როცა ერთნი წერენ თავისთვის — გულის დარდს გამოხატავენ, მეორენი სხვისთვის — დროს გამოხატავენ, მაგრამ ლექსისთვის არავინ წერს.

VI-VII

მილორად პაპინი:

რომანი „ხაზარული ლექსიკონი“ ბუნდოვნად წარმოგედგინა ჯერ კიდევ სტრუდენტობისას; ეს იყო დაახლოებით 1953 წელს, როცა ამ თემას შევეჯახე კირილესა და მეთოდეს ხაზარულ მისიაზე კითხვისას. იდეა მხოლოდ სამოცდაათიან წლებში მომნიჭდა, როცა გადავწყვიტე, ლექსიკონის სტრუქტურის მქონე ნიგნის დაწერა. რომანი 1978 წელს დავიწყე და 1983 წლამდე ვწერდი. იგი 1984-ში გამოქვეყნდა. ჩემი აზრით, სიზმრის სტრუქტურა არამწყობრი თხრობის (ნონლინეარ ნარრატივეს) სრულყოფილი მატრიცაა. სიზმრები „ხაზართა ლექსიკონსა“ და ჩემს სხვა ნიგნებში არაერთგვაროვანია. ოჯახში, სადაც გავიზარდე, დილაობით ხშირად ჰყვებოდნენ, ღამით ვის რა ესიზმრა, ხანდახან სულ ორი სიტყვით. ამ სიზმრებს ვიმახსოვრებდი, ხანდახან ვინერდი — სხვებისასაც და ჩემსასაც. ერთმა ამერიკელმა კრიტიკოსმა სწორად დაწერა, რომ ჩემს ნაწარმოებებში სიზმრები „იმ როლს არ თამაშობს, რასაც ფროიდთან და რომ პავიჩის სიზმრები სხვანაირად ესმის“...

XV

ზანო ჩხიკვაძე:

მითხარი, ვინ მოგისია ამდენი გველის ძლოკვი. კავკასიონის ციკლოპი — ცეცხლისმფრქვეველი როკი.

მოდის ტყვია და შრაპნელი ქართლის მინდვრების ლოკვით. მარადიული ამკლები — დუჟმორეული როკი.

ვაიმე, რა ცოტანი ვართ შენი შვილობის ღირსი. როკი — სიკვდილის გვირაბი, წმინდა საკინძქეს გიხსნის.

ვაიმე, მტერი — მოყვარე, იცვამს სიცრუის აბჯარს, ტყუის — გვირაბის ბოლოში სინათლის წვეთიც არ ჩანს.

ღმერთო, შენ მაინც მოჰკითხე, ცეცხლით ვინც ამომშანთა, ვინც მოარღვია ქართლის ცალკეთისმშობლის კაბის კალთას.

IV-V

გიგო სულაკაშვილი:

შიგნიდან ოცი წლისა ვარ, გარედან — ლამის ბებერი, არც არავისა არ ვგავარ, არც შემხვედრია ჩემფერი... წავალ იქ, სადაც ნისლია და ხეებია შიშველი, მოგენატრები, იტირებ, მაგრამ ველარას გიშველი. გზაში გამყვება ქარი და ერთიც ხმელი ფოთოლი, ქვიშა და ტილო იქნება ჩემი სახლი და გოდოლი...

X

დასაწყისი N 1-3

70

მცდელობები წლის ვარ. ჩემი თაობის ადამიანებისათვის (ვეგულისხმობ 27-37 წლამდე ადამიანებს) ეროტიკა არც სრულად ტაბუდადებული თემაა (როგორც ჩვენი მშობლებისათვის) და არც ისე თავისუფლად შეგვიძლია საუბარი ამ საკითხზე როგორც - თინეიჯერებს.

ცვლილებები, რომელიც ამ სფეროში მოხდა, ძირითადად ჩემი თაობის ადამიანების ცხოვრებაში აისახა და რადგან ჩვენ ჩვენი მშობლების აღზრდილები ვართ (მათ კი საკუთარი რეალობიდან გამომდინარე ალგვზარდეს, ხოლო ეს რეალობა რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენს თვალწინ საკუთარი ინიციატივით და ჩვენი დახმარებით — ძირითადად სკოლის გაცდენა და მიტინგებზე დროშების ფრიალი გვევალებოდა — თავადვე მოსპეს), თითოეული ცვლილება ძალიან მტკივნეულად განვიცადეთ.

მე არ ვაპირებ სოციოლოგიური ტრაქტატის დაწერას — რა მიზეზით თხოვდებოდნენ თვრამეტი წლის გოგოები, რა მიზეზით მოყავდათ ცოლები იგივე ასაკის ბიჭებს, რა მიზეზით დაინგრა უამრავი ოჯახი საქართველოში, არამედ მინდა ვწერო, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ჩემი თაობის ადამიანებს ეროტიკისადმი.

მრავლობითი რიცხვის გამოყენება ამ შემთხვევაში სტილზე მეტად ეტიკეტის დაცვაა, რადგან რეალურად მხოლოდ საკუთარ განცდებზე ვწერ.

71

აღამიანი არა ღვთაებრივი ჩანაფიქრით, არამედ საკუთარი, არასწორი არჩევანის შედეგად ქცეული არასრულყოფილი არსებაა, მაგრამ ზოგიერთ საკითხში მასში მაინც შემორჩა პირველცოდვამდელი აბსოლუტურობა.

ორ მაგალითს მოვიყვან. პირველი: ადამიანს აბსოლუტურად ესმის საკუთარი თავის. აქ არ იგულისხმება სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა საკუთარი თავის შესახებ, არამედ საკუთარ თავის მიღების და გამართლების აბსოლუტური სურვილი. ეს სურვილი ადამიანს ხდის აბსოლუტურ მიმტვევებლად საკუთარი თავისადმი. მიტვევება შიშს ამარცხებს. სწორედ ამიტომ, რომ არცერთ ადამიანს არ ეშინია საკუთარი თავის.

და მეორე: ადამიანები ერთმანეთისადმი მოთხოვნებში აბსოლუტურები ვართ. ანუ ჩვენი არასრულყოფილებიდან გამომდინარე ერთმანეთისგან შეუძლებელს მოვითხოვთ.

ყველაზე ნათლად ჩვენი იდეალები ერთმანეთისადმი წაყენებულ მოთხოვნებში, ხოლო ჩვენი მიმტვევებლობის უნარის უსაზღვროება საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებაში ჩანს.

72

რალა-რალა-რალა დღემდე ვერ ვიჯერებ. მაგალითად იმას, რომ გოგოები ბიჭებზე ფიქრობენ, რომ გოგოებს ბიჭებთან (უფრო ხშირად კონკრეტული ბიჭებთან) უნდათ წოლა და ეროტიკული სიყუყუების კეთება, ვერ ვიჯერებ, ძლიერია ვიდრე რეალური, ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც რა თქმა უნდა მკარნახობს რომ გოგოებს ეს ყველაფერი უნდათ და არაფერი ამაში აუხსნელი, გაუგებარი და ბინძური არ არის.

ასეთი გაორება მხოლოდ პერსონალურად მე არ მჭირს, არამედ ჩემი თაობის თითქმის ყველა მამაკაცს.

რაც შეეხებათ გოგოებს, ისინი ამ შემთხვევაში ჩვენ აღზრდაზე ასხამენ წყალს, (თუ აღზრდას ნისქვილად წარმოვიდგინებთ, ეს ნისქვილი ჩვენ გვფქვავს) ხოლო თუ (ცეცხლად) მაშინ ნავთს (ამ ცეცხლზე ჩვენ ვინვით).

რასაკვირველია, ისინი ამას საკუთარი აღზრდიდან გამომდინარე აკეთებენ და არა ბოროტი განზრახვით.

73

30 წელი ვართ ჩვენ (მამაკაცები) გოგოებისთვის? (განსაზღვრება „ქალს“ განზრახ არ ვხმარებ, რადგან ჩემი დაკვირვებით ქალები ერთმანეთს, თუ რა თქმა უნდა ერთმანეთისადმი სიმპათიურად არიან განწყობილები, ძირითადად გოგოებად მოიხსენიებენ).

აღზრდის მიხედვით: უპასუხისმგებლო, სამიში არსებები, რომლებსაც შეუ-

დავით ქართველიშვილი

პროზისა და საკუთარი თავის შესახებ

ჩემ, სხვა ანას



ძლიათ მათთვის შეურაცხყოფის და ტკივილის მიყენება.

რეალური ცხოვრებისეული გამოცდილება მათ კარნახობს, რომ მამაკაცები გოგოებზე ნაკლებად არ წვალბენ, რომ მამაკაცებს ისევე ენგრევთ ცხოვრება თავზე როგორც გოგოებს, რომ მამაკაცის სხეული სულაც არ არის მათ სხეულზე მაგარი და ირღვევა და კვდება.

და რადგან ჩვენ, ამ შემთხვევაში ადამიანებმა, სხეულის გარეშე არ ვიცით ურთიერთობა და ზოგადად ასეთი ურთიერთობის არსებობა უფრო ხშირად გვაეჭვებს, ვიდრე გვნამს, ვიტანჯებით მთელი ამ უაზრობით, რომელსაც აღზრდის მიხედვით ცხოვრება ქვია.

74

აღზრდის მიხედვით ყოველდღიური ცხოვრების შეუძლებლობა კონკრეტულად ჩემი თაობის პრობლემა არ არის და ამ თემაზე მრავალი ნაწარმოებია დაწერილი, ამ ნაწარმოებებს (რევაზ ინანიშვილი თავის ერთერთ ჩანაწერში აღნიშნავს, რომ არ მონონს ეს სიტყვა „ნაწარმოები“ რალაც ფაბრიკაციის სუნი სდისო... მე სწორედ ამის გამო მონონს, რადგან ფაბრიკა საქმეა, და თუ ნაწარმოები ასოცირდება საქმესთან, მწერალი საქმიანი ადამიანი გამოდის არა უცნაური, მიწას მონყვეტილი ჰაეროვანი არსება. ხოლო სადაც საქმეა იქ ფულია, სწორედ ფულის შესახებ მსჯელობით დავასრულებ ამ ნიგნს, ეს რამდენიმე ათეული თავის შემდეგ მოხდება...) შორის დამდენიმე მაღალმხატვრული ტექსტია, ძირითადი ნაწილი კი მაკულატურაა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ მაკულატურა ქმნის ლიტერატურულ პროცესს, რომლის არ არსებობაზეც საქართველოში გამუდმებით წუნუნებენ, საქართველო მაკულატურის ნაკლებობას განიცდის, ეს არ არის პარადოქსი, ეს რეალობაა (თუმცა რეალობა შეიძლება პარადოქსალური იყოს, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა კატეგორიაა), რადგან მაკულატურა თავისთავში ელემენტარულ ლიტერატურულ მონესრიგებულობას და ხარისხს გულისხმობს, ქართული მწერლების უმრავლესობა მაკულა-ტურასაც კი ვერ წერს, ამ შემთხვევაში პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმას არ გამოვიყენებ..

75

რამდენიმე თავის წინ აღვნიშნე და ახლაც იგივეს ვფიქრობ, რომ არაპირადი პრობლემა არ არსებობს (საერთოდ წერილს ჩემს მიერ გამოთქმულ რომელიმე მოსაზრებაზე აზრს თუ შევიცვლი, აუცილებლად ვიტყვი.)

ასეც რომ არ იყოს და პრობლემების ტრადიციულ დაყოფას მივყევთ (პირადი, საზოგადოებრივი, ეროვნული, გლობალური, საპლანეტათაშორისო; პრობლემების გამრავლებაში ადამიანები ყოჩაღები ვართ). ეროტიკული პრობლემები ამ შემთხვევაშიც პირადი პრობლემების რიგს ეკუთვნის, ვგულისხმობ ამ საკითხის როგორც ფიზიკურ, ასევე სენტიმენტალურ მხარეს..

ჩემთვის როგორც ადამიანისთვის (ფუ, ფუ, ფუ, მაგიდაზე სამჯერ ვაკაკუნებ) და მწერლისთვის მეორე, სენტიმენტალური მხარეა მნიშვნელოვანი... და სანამ თანამედროვე ლიტერატურაში ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებს განვიხილავდით, საჭიროდ მიმაჩნია ლიტერატურის ისტორიას გადავავლოთ თვალი.

76

„ანტიპას ვერ გავკრავ“ ეს ჩემს მიერ რამდენიმე თავის წინ გაკეთებული განცხადებაა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანში (ეს ზოგადი განსაზღვრება ამ შემთხვევაში მამშვიდება) ყველაზე სუსტი პრინციპებია და ძირითადად საქმის საჭიროებიდან გამომდინარე ემოქმედებთ ანტიკური ლიტერატურა ვაკვრით უნდა ვახსენო..

ნამდვილი ეროტიკა მხოლოდ ანტიკურ (ევროპული ცივილიზაციის მასშტაბით) ლიტერატურაში არსებობს, რადგან ამ სამყაროში ეროტიკული ურთიერთობა ბუნებრივია, აქედან გამომდინარე ამ ურთიერთობას თავისთავადი ღირებულება აქვს და ეროტიკა ერთდროულად სიამოვნების და ბედნიერების სინონიმია, მაგრამ გამომდინარე ეროტიკული ურთიერთობის ბუნებიდან (ბუნებრიობა მკაფიოდ გამოხატულ თვისებებს გულისხმობს) ის სწრაფად წარმავალია და დღემდე ბანალურ ქეშმარიტებად აღიარებული აზრი, რომ ხანგრძლივი ბედნიერება შეუძლებელია, ანტიკური სამყაროს ერთერთი ნაშთია თანამედროვე ცივილიზაციაში.

77

ლიტერატურაში ეროტიკის აღდგენის პირველი მძლავრი მცდელობა რენესანსის ეპოქის ლიტერატურამ განახორციელა, შემდეგ იყო განმანათლებლების მცდელობა, შემდეგ მეოცე საუკუნის ოციანი წლების ავანგარდი, შემდეგ მეოცე საუკუნის სამოციანი წლების მცდელობები, შემდეგ ეროტიკა ლიტერატურაში მსხვილ ბიზნესად იქცა (რა თქმა უნდა საქართველო ამ ამ შემთხვევაშიც მომხმარებელის როლია, რადგან საქართველო პროვინციაა, მსოფლიოსთვის და არა ჩვე-

ნთვის), მიუხედავად ამისა, ეროტიკამ ველარ დაიბრუნა ანტიკური თავისთავადობა (ვეგულისხმობ არა მხატვრულ, არამედ იდეურ თავისთავადობას), რადგან ვალიარებთ თუ არა, არსებობს ქრისტეს მიერ მინაზე დატოვებული ცხოვრების აზრი, სიყვარული... როგორ მაგრადაც არ უნდა დავხუჭოთ თვალები და დავხუროთ გული, მაინც ნებისმიერ ურთიერთობაში სიყვარულს ვეძებთ, მათ შორის ეროტიკულ ურთიერთობებშიც..

საერთოდ, როდესაც ღმერთს ვთხოვთ ჩარევას ჩვენს მიწიერ ცხოვრებაში (ამას მეტ-ნაკლებად ყველა ვაკეთებთ) უნდა გვახსოვდეს, რომ ჩარევის შემდეგ ცხოვრება აღარასდროს იქნება ის, რაც ჩარევამდე იყო..

და რამდენად მზად ვარ ამისთვის?

78

სიყვარული აბსოლუტურია, ასეთი რწმენა (და არა შეხედულება) შიშს გამორიცხავს. გვეშინია იმდენად, რამდენადაც არ გვნამს, შიში რწმენის ზუსტი საზომია. სამწუხაროდ მეტ-ნაკლებად ყველა ურწმუნოები და მშობრები ვართ..

მე არ ვიცი, როგორია ცხოვრება შიშის გარეშე, თუმცა ვიცი, რომ ცხოვრება შიშის გარეშე შესაძლებელია. ეს ცოდნა აბსოლუტური სიყვარულის იმ მცირე ნაწილმა მომცა, რომელიც ცხოვრებაში მერგო..

აბსოლუტური სიყვარულის მცირე ნაწილი აბსოლუტურობის ყველა ელემენტს შეიცავს, ამკარად კარგად და სწორად უდერს, მაგრამ ვერ ვიჯერებ, რომ ასეა და ამიტომაც მეშინია, რომ ერთ დღეს ამ ყველაფერს დავკარგავ, და კიდევ უფრო იმის მეშინია, რომ ერთ დღეს უნდა მოვკვდე..

ძალიან ცვდილობ სიტყვა „უნდა“ შევცვალო სიტყვა „სასურველია“—თი, თუმცა დღემდე ვერანაირად ვერ დავაჯერე საკუთარი თავი იმაში, რომ სიკვდილი სასურველია... ვიცი რომ: ორი სიცოცხლე არსებობს; სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ, მაგრამ სიკვდილი ჩემთვის მაინც ვერ გახდა სასურველი რამ..

79

ჩვენი პორნოგრაფიის ეპოქაში ვცხოვრობთ, ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ჩვენ ვაკეთებთ ან ვწერთ ისეთ საშინელებებს რაც აქამდე ჩვენ მსგავს ორხელა და ორფეხა ერთდროულად მოკვდავებს და უკვდავებს არ უკეთებიათ, ან არ უწერიათ.

ეს ასე არ არის. თითქმის ყველაფერი რასაც ადამიანები ბუნებრივად და აქედან გამომდინარე სასარგებლოდ და მშვენიერად მიიჩნევენ,

შესაძლოა იქცეს საშინელებად (თითქმის ყველაფერი: სამშობლო, ოჯახი, ტრადიციები, ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, თუმცა მგონი ეს უკანასკნელი ბევრი ადამიანისათვის ისედაც საშინელებაა და ასე შემდეგ...) ასეთი საშინელებები ყოველთვის (განსაზღვრება „ყოველთვის“ მხოლოდ დროის გაჩენის შემდგომ სამყაროს მოიცავს) ემართებოდათ ადამიანებს და ასეთი საშინელებებზე ადამიანები ყოველთვის წერდნენ მშვენიერ ნაწარმოებებს, რაც საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ მშვენიერება მიიღება საშინელებისგან.

80
ჩვენ პორნოგრაფიის ეპოქაში ვცხოვრობთ. პორნოგრაფია უაზრობის სინონიმია. ჩვენ უაზრობის ეპოქაში ვცხოვრობთ, რა თქმა უნდა შეგვიძლია თავი ვიმართლოთ და ყველაფერი უფროსი თაობის წარმომადგენლების უნიათობას დავაბრალოთ, მაგრამ ამით ჩვენი ცხოვრება აზრიანი ვერ გახდება. ასევე შეგვიძლია არ ვიკმაროთ თითქმის გაშვება და დაბრალება და მაგიდაზე ხელების ბრაგუნით და ყვირილით მოვთხოვოთ მათ გვიჩვენონ სად არის ახლა ის იდეალები, რომლებიც ნაწილობრივ მანძილზე გვიტყნიდნენ თავს, შემდეგ გავყურდეთ და ამაყად დაველოდოთ მათ პასუხს, ვერცერთი მათგანი საკუთარ თავზე ვერ მიგვივითებს, მაგრამ ჩვენ ცხოვრების აზრს ვეძებთ და არა დამნაშავეებს და მითუმეტეს გამქრალ, ფუყე იდეალებს, აქედან გამომდინარე, ჩვენ ასეთი სპექტაკლები არ გვჭირდება..

საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, ცხოვრების აზრის ძიება ასაკობრივი პრობლემაა და ოცდაერთი წლის ჭკვიანი ადამიანი მსგავს სისულელეზე აღარ უნდა ფიქრობდეს და უმრავლესობა არც ფიქრობს.

ჩვენ არა ცხოვრების აზრის მაძიებელი ვიყავით არამედ ჭკვიანი ადამიანების მიერ შექმნილ სოციალურ-კულტურულ სივრცეში ვიმყოფებით.

ამ თავში გამოყენებული ყველა „ჩვენის“ ნაცვლად „მე“ უნდა მესმარა, რადგან: მე ვცხოვრობ, მე შემიძლია, მე ვეძებ, მე არ მჭირდება, მე ვიმყოფები...

81
თითქმის ყველა ჩემ ნაწარმოებში ისერიან. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც განსაკუთრებული მიდრეკილება მაქვს იარაღისკენ და ამით არც იმის დამტკიცებას ვცდილობ რომ „დედიკოს ბიჭი“ არ ვარ, პირიქით ყოველთვის მინდოდა ვყოფილიყავი „დედიკოს ბიჭი“, მაგრამ გარემოებები არ მაძლევდნენ ამის საშუალებას. მე ომის თაობას ვეკუთვნი და აქედან გამომდინარე იარაღი, ქუჩა და ა.შ. ჩემთვის უფრო ბუნებრივია, ვიდრე სახლი. სახლში ნორმალური საქმიანი და მუდმივი ელექტრონიკა..

და დღეს, როდესაც ჩემი თაობის ადამიანები ომახიანად ამტკიცებენ (ჩვენი უახლოეს, უაზროდ ამაყი წინაპრების მსგავსად), რომ ქუჩაში არიან გაზრდილები, მეცინება, რადგან დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქუჩის გარდა სხვა არაფერი სამოქმედო, არამედ საარსებო სივრცეც კი არ არსებობდა, რა თქმა უნდა საქართველოს მასშტაბით..

ვნანობ ამ სივრცეში რომ დავრჩი და დღეს ჩემი უპირველესი მიზანი მიზანი ამ სივრცის გარღვევაა..

82
თუ მწერალი გაიხსენებს ძველ მეტაფორას, რომ კალამი იარაღია, ხოლო შემდეგ დაიჯერებს, რომ ეს არამხოლოდ მეტაფორა, არამედ მართებული შეხედულებაა, ის სოციალურად საფრთხეში იგდებს საკუთარ თავს. სამაგიეროდ მას ეძლევა რეალური შანსი გახდეს მნიშვნელოვანი მწერალი, მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ ერთი შეხედვით სისულელის, სინამდვილეში კი მართებული შეხედულების დაჯერების გარეშე მნიშვნელოვანი მწერლობა შეუძლებელია..

გარეგნულად მნიშვნელოვანი მწერალი და უიღბლო საშუალო მწერალი (არსებობენ იღბლიანი საშუალო მწერლები, მათი იღბლიანობა იმაში გამოიხატება, რომ მათ რეალურ გაქანებას თითქმის ვერაზინ ხედავს და რატომღაც ისინი დიდ მწერლებად ჩანან, საზოგადოების ბეც თვალ-

ში) ერთმანეთს გვანან (მზერით არა, მაგრამ ჩვენს ეპოქაში ადამიანები ერთმანეთს თითქმის აღარ უყურებენ თვალებში). მათ არაფერს არაფერს, ლიტერატურის შესახებაც კი, არ ეკითხება, ხოლო მათი საქმიანობა აღიქმება როგორც დროის ფუჭი ხარჯვა. რაც შეეხება მათ ცხოვრებას, ორი ძველი გამოთქმა უნდა ვიხმარო: როგორც ამაოება და გზათა უკან ნანწალი..



83
მნიშვნელოვანი მწერალი ყოველთვის დგას საშიშროების წინაშე გახდეს პოპულარული, შესაძლოა უზომოდ პოპულარულიც. რა თქმა უნდა, არსებობენ ადამიანები (მათ შორის მწერალი ადამიანებიც, რადგან მწერლობა ჩვევით მხოლოდ ადამიანებს), რომლებიც პოპულარულები კი არ ხდებიან, არამედ სხვადასხვა ხერხებით თავად ქმნიან საკუთარ პოპულარობას, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარი უნებურ პოპულარობაზე გვაქვს, რაც თავისთავად უკვე ფათერაკია..

მე მჯერა, რომ სიმართლე ინდივიდუალურია და არა კრებითი. მე მჯერა, რომ ნიგნი კონკრეტულ ადამიანებს მოწონთ და არა ჯგუფებს, პოპულარობა კი ჯგუფის მიერ ინდივიდის აღიარებას ნიშნავს. ამ ამბავს კი აშკარად კერპთაყვანისმცემლობის სუნი სდის..

ამ ნიგნში უკვე ვთქვი, რომ არცერთი სულიერი კერპი საკუთარ კერპობას არ აპოტესტებს, მაგრამ მნიშვნელოვანი მწერლიდან კერპად გადაქცევა რთული მეტამორფოზაა, რადგან ავღიფერო ის, რაც რამდენიმე ხნის წინ ინვევდა პროტესტს, ახლა უკვე ინვევს კმაყოფილებს. ასეთი განცდა ბუნებრივად გვეჩვენება, მაგრამ ღირსეული წარსულის დაფიქრება სამარცხვინო წარსულის დაფიქრებაზე გაცილებით რთულია და მტკივნეული, თუმცა არა შეუძლებელი, მთავარია თავიანთი ცემა იყოს მასშტაბური.

84
ლვითაბრივი ჩანაფიქრის მიხედვით ადამიანი ღვთის ხატია, მაგრამ არსებობს არჩევანის თავისუფლება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისტორია ამ არჩევანის თავისუფლების შედეგად გაკეთებული არასწორი არჩევანების ჯამია.

მიუხედავად ამისა, ღმერთი მაინც ძალიან კარგი წარმოდგენა აქვს ადამიანებზე, ღმერთის ჩვენდამი დამოკიდებულებიდან მომდინარეობს ყველაფერი კარგი ადამიანის ცხოვრებაში.

ახლა დავუშვათ, რომ ღმერთი არ არსებობს, ადამიანების ერთი ნაწილი ისე გამოთავყვანდა, რომ ასეთ რამეს თავისუფლად უშვებს, თუმცა შევეშვათ ამ ხალხს და საკუთარი თავები გავიხსენოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.. არსებობს თუ არა ყოველდღიურობაში ჩვენთვის, ვინც საკუთარ თავებს მორწმუნებს ვეძახით, ღმერთი? კითხვა დაისვა, დასაშუალ შეკითხვას პასუხი ყველამ ჩუმად, საკუთარ გულში გასცეს, რადგან ეს ესეა და არა აღსარების ფურცელი.

85
ამასობაში დავუშვით, რომ არ არსებობს ღმერთი. აქედან გამომდინარე არ არსებობენ ანგელოზები და დემონები, ვარსებობს მხოლოდ ჩვენ, ადამიანები, ასევე ცდილობენ არსებობას: ცხოველები, ქვეწარმავლები, ფრინველები და მწერები. და მართალია მემარცხენე ფილოსოფოსი და მწერალი ჟან-პოლ სარტრი და მართლაც დაწყევლილია ადამიანი თავისუფლებით (თუმცა გაუგებარია, ვინ დაგვწყევლა და ვისი წყევლა აგვიხდა) და ერთხელ და საბუდამოდ დაფიქრებულია ისეთი სინამდვილეები, როგორცაა: სული და მეტაფიზიკა. და ვუყურებთ ერთმანეთს და ვფიქრობთ, ვინ ვართ ჩვენ ერთმანეთ-

ისთვის? და ვუყურებთ საკუთარ თავებს სარკეში და აღარ გვახსოვს, რომ სამყაროს ისე ვხედავთ, როგორც სარკეში და ვეკითხებით საკუთარ თავებს: ვინ ვართ?

კერპი ასეთ შეკითხვებს საკუთარ თავს არ უსვამს და ალბათ ამიტომ გვირდა კერპობა ოჯახის, სამეგობროს, ქალაქის, ქვეყნის, მსოფლიოს, სამყაროს მასშტაბით.

ლიტერატურა იარსებებს მანამ, სანამ ყველა კერპებად არ ვიქცევით.

სანამ ყველა კერპებად არ ვიქცევით მანამდე იქნება კალამი იარაღი.

და ვისაც სურს ნუ იკითხავს ლიტერატურას.

86
ლიტერატურა ძლიერმოქმედი ნარკოტიკია და დღეს ტექსტში მართებულად არ მიმჩნია სხვა სახის ნარკოტიკების მომხმარებლების შემოყვანა (თუმცა წარსულში ასეთი რამ მაქვს გაკეთებული და უმთავრებელი რომანი: „შრომანი“, ცოდნა არ მოდის გამოცდილების გარეშე), რადგან სხვადასხვა ნარკოტიკების გაზავებით იშვიათად მიიღება სასურველი შედეგი.

თუ სიტყვებით და განსაზღვრებით თამაშს შევეშვებით (თუმცა ეს პროზის თხზვის ერთერთი მნიშვნელოვანი ხერხია) და საქმიანად ვისაუბრებთ, დაახლოებით ოცი წლის წინ სხვადასხვა ქვეყნის პროზაიკოსების ტექსტებში დიდი დოზით გამოჩნდნენ ნარკომანები და ნარკოტიკები, ეს რა თქმა უნდა არ იყო მათი პირველი გამოჩენა ლიტერატურაში, მაგრამ შესამჩნევად გაიზარდა მასშტაბი, ნარკომანები გახდნენ არამხოლოდ კაცები, არამედ ქალებიც (სხვათაშორის, მსგავსი ტენდენციები შეინიშნება პროსტიტუციაშიც, ეს საქმიანობაც ორსქესოვანი გახდა), მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ტექსტი ცხოვრებისგან განსხვავებით აბსოლუტურად კონტროლირებადია (ან ჩვენ ვფიქრობთ ასე) ლიტერატურაში ცხოვრებისგან განსხვავებით გარემო ყოველთვის უფრო დახვეწილია, ამიტომაც რეალური ნარკომანობისგან განსხვავებით პერსონაჟი ნარკომანები გაცილებით სიმპათიური და ინტელექტუალური ადამიანები იყვნენ. ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. უნიჭობები ვერ ქმნიან მოდას, მაგრამ უნიჭობები ყოველთვის ეტმასნებიან ყველაფერ მოდურს, გახსოვთ ალბათ რამდენიმე წლის წინ ყველა შეუმდგარ ინტელექტუალს სიტყვა „პოსტმოდერნი“ რომ ეკერა მოღნიშნულ პირზე.

დღეს ეს სიტყვა თითქმის დაფიქრებულია, ასევე გაიზოვებინ და დაფიქრებას მიეცემიან სიმპათიური და ინტელექტუალური ნარკომანი პერსონაჟები, სამწუხაროა, რომ ამასობაში ზოგიერთ მართლანიჭიერ მწერალს ლიტერატურული „ოვერდოზა“ მოუვიდა. ამის ყველაზე თვალსაჩინო და პირადად ჩემთვის გულდასაწყვეტი მაგალითი მოტლანდიელი მწერალი ირვინ უელშია, თორემ ვერაფერი ვთქვამდე ვერსის გულშემატკივარი არასდროს ვყოფილვარ, რადგან ვერ ვიტან ლიტერატურულ პიჟონებს.

87
მე არ ვცხოვრობ სპილოს ძვლის კომპი და ძალიან კარგად ვიცი რა მასშტაბის პრობლემაა საქართველოში ნარკომანია, მაგრამ მე ახლა ვიცავ მწერლის უფლებას პრინციპულად არ წეროს ამ თემაზე და აი რატომ: საქართველოში, ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კოლონიური ისტორიიდან გამომდინარე მწერალი იყო ყველაფერი, ან უფრო სწორად თითქმის ყველაფერი (რადგან ზუსტად არაფერ იცის რა არის ყველაფერი) პროფესიონალი მწერლის გარდა; საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, ბანკირი, ჩოხოსანი, დიპლომატი, ცენზორი, უშიშროების აგენტი, ბიუჯეტის ქურდი, კარგი თამადა.

პროფესიონალური მწერლობა არ ნიშნავს მხოლოდ წელიწადში ერთი რომანის დაწერას და გამოქვეყნებას, აქ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მომენტები არსებობს; პროფესიონალი მწერლისთვის მაღალმხატვრული ტექსტის დაწერა უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე სამშობლოს თავისუფლება, აღარაფერს ვამბობ სხვების დასმენაზე და ბიუჯეტის გაძარცვაზე..

დღეს საქართველოში მწერლობის პროფესიად ქცევის რთული პროცესი მიმ-

დინარეობს, ამიტომაც ხშირად გვეხმის ისეთი შეფასებები, როგორცაა: კოსმოპოლიტები, ქვეყნის მტრები, ტრადიციის უარყოფლები და ა.შ

ეს არ არის მამათა და შვილთა ომი, ეს პროფესიონალების და არაპროფესიონალების ომია და ამ ომში არათუ სასურველი, არამედ აუცილებელია პროფესიონალებმა გაიმარჯვონ.

88
და რა შუაშია აქ ნარკომანებზე და ნარკოტიკებზე არწერა?


ყველა დროს საკუთარი კონიუნქტურა აქვს. კონიუნქტურას საზოგადოება ქმნის და გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახში თუ არა, უახლოეს მეგობრებში და ნათესავებში ყველა ჩვენთაგანს ერთი ნარკომანი და ერთი ნარკოტიკების რეალიზატორი მაინც მოგვეპოვება, იძულებული ვართ ამ ადამიანების მდგომარეობაზე არასაქმიანად, არამედ სენტიმენტალურად ვისაუბროთ, ასეთი სენტიმენტალიზმი ყოველთვის მდარეა. ხოლო მდარე სენტიმენტალიზმმა ცხოვრებისგან განსხვავებით ლიტერატურაში საუკუნეების წინ ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები. მდარე ცხოვრება მდარე ლიტერატურისაგან განსხვავებით დასაშვებია..


თანამედროვე ქართველი მწერლების უმრავლესობას ჰგონია, რომ ამ თემაზე მუშაობისას მას ცუდსა და უარესს შორის აქვს არჩევანი გასაკეთებელი, რადგან ცხოვრება ხშირ შემთხვევაში მართლაც მხოლოდ ცუდსა და უარესს შორის არჩევანია, ხოლო ჩვენში ცხოვრება და ლიტერატურა განუყოფელია. თუმცა ნამდვილი ლიტერატურის ერთერთი მთავარი პრინციპი ასეთია: მწერალმა ტექსტზე მუშაობისას არჩევანი კარგსა და საუკეთესოს შორის უნდა გააკეთოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მწერალმა წერის დროს უნდა დაიფიქროს ცხოვრებისეული მიდგომები, მაგრამ ამავე დროს არ დაიფიქროს თავად ცხოვრება, რეალურად ამის განხორციელება ძალიან რთულია, თუმცა ბევრი მწერალი ამას გონებით ვერ ხვდება, მაგრამ ტანით მძლავრად გრძნობს და ესეთიკური სირთულეების თავიდან აცილების მიზნით თავისი დროის კონიუნქტურას ემორჩილება.

89
ნანარკოტიკში კონიუნქტურის კვალი ყველაზე მეტად ყოველთვის მის დასასაწყისში და ფინალში ჩანს, დააკვირდით, როგორ ახასიათებენ თანამედროვე ავტორები ნარკომან პერსონაჟებს, შემდეგ გაიხსენეთ, როგორ ახასიათებდნენ საბჭოთა ავტორები კოლმეურნე პერსონაჟებს, მიუხედავად აშკარა გარეგნული სხვაობისა, ამ დახასიათებების სტრატეგია იდენტურია, ეს პერსონაჟები ჩვენ უნდა გვიყვარდეს, ამ პერსონაჟებს ჩვენ უნდა ვუთხანაგრძობდეთ მხოლოდ იმის გამო რომ, ისინი კონიუნქტურები ან ნარკომანები არიან, ან ორივე ერთად (ხომ არსებობდნენ ასეთებიც). ასეთი დამოკიდებულება არ არის სწორი, ადამიანი გიყვარს ან უთანაგრძნობ იმიტომ, რომ ადამიანია და ადამიანი ხარ, სიყვარული და თანაგრძნობა პროფესიაზე და ფიზიკურ მდგომარეობაზე მაღლად დგას, განსხვავებით სიძულვილისგან და გულგრილობისგან.

კონიუნქტურული დასასაწყისი თავისთავში კონიუნქტურულ ფინალს გულისხმობს. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ არის, რომ ავტორმა პერსონაჟი ან ისე უნდა მოკლას, რომ გული აუჩუყოს მკითხველს და ათქმევინოს, რომ ეს ყველაფერი ძალიან ცხოვრებისეულია, ან პერსონაჟი გასხვიოსნდეს და მკითხველმა თქვას, რომ ძალიან მისტიკური ნიგნი წაიკითხა. ცუდი მკითხველი ცუდ მწერალზე უარესია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





ვანო ჩხიკვაძე

ზოგჯერ:

პატიმარვით ჩემს საკანში – არ მინდა საწერ მაგიდასთან დაბრუნება – მაგიდაზე ხომ გულის მკორტნავი ჩემი ფიქრების ეკლები ყრია...

ახლა ქუჩაში მოწყვეტილი ფოთოლი გარბის, ქვეშ უვარდება მანქანის ბორბლებს, გარბის, შესტირის გადაკაფულ გზისპირა ხეებს – დედა ტოტს ეძებს... აბა, რა იცის ამ საბრალომ, კარგა ხანია, ჩამოხერხილი მშობელი ტოტი ცეცხლმა კვამლად და ნაცრად აქცია...

გარბის ფოთოლი, ასფალტზე და ქვებზე ფხაკუნით, და ლეკვის ნითელ ენასავით დიდ-პატარას ფეხებს ულოკავს...

აი, რამდენი საფიქრალი მაქვს, - აბა, დაბრუნდი საკანში, აბა, იჯექი გულში გაყრილი ეკალით, აბა, ჯავრისგან გამმრალ კალამს წვეთი სისხლი გამოადინე.

* * *

მოვედი — ვერ გნახე. დავრეკე — არ იყავი. გასულ წელს, ახალ წელს, ამა და ამ დროს. ვდგავარ ცრემლიანი. აბა ვინ დამიყვავებს. ცხოვრება მიტევს და ზამთარი ზამთრობს.

მოვედი — ვერ გნახე. დავრეკე — არ იყავი. დამთავრდა სპექტაკლი. უხმობენ ავტორს. ნეკერჩხლის ტოტებზე საუბრობს სამი ყვავი — ჩემს ბედს თუ ჩხიბავენ. თოვლია. გნატრობ.

დავლოცოთ, ვისაც დღეს აღარსად ელიან — საკიდზე თავს იღრჩობს ოცი წლის პალტო —

რამდენი წელია, ახალიც ძველია. ცხოვრება მიტევს და ზამთარი ზამთრობს.

დილის დაუმთავრებელი ლექსი

უნდა როგორმე ავდგე, ფეხი ხელახლა ავიდგა, ჩამრთველით გამოვადვიძო ნათურა და აბაჟური, გამოვუცვალო წყალი ცხვირაბზუებულ ჩაიდანს, შემოვიტანო შეშა პირველი თოვლის ხრაშუნით.

უნდა მივდგე და მოვდგე, ძილი დაუფრთხო შვილებს, — თეფშებს და დანა—ჩანგალს დავანყებინებ გრიალს:

— სამშობლოს თქვენსას ვიდრე ვირთა ყროყინი იკლებს, ჩქარა, ბიჭებო, ჩქარა! ჩქარა, სკოლისკენ იარ!..

სადღაც მამალი ყივის... უნდა როგორმე ავდგე... გული, მტკივანი გული... უნდა, როგორმე, უნდა... სულ ვინწვებოდი, მაგრამ... თქვენს გამო ვიტან ამდენ... ჩხრიალებს ბოლმა, როგორც მათხოვრის ქუდში ხურდა...

უნდა როგორმე ავდგე, ფეხი ხელახლა ავიდგა, ჩამრთველით გამოვადვიძო ნათურა და აბაჟური. ცეცხლი შევუნთო ლუმელზე ცხვირაბზუებულ ჩაიდანს, შემოვიტანო შეშა, პირველი თოვლის ხრაშუნით. მშრალად ვინ გადაურჩა ნუთისოფლის ავდრებს, დრო უსულგულოდ გარბის, თქვენ რომ გგონიათ ცოცავს... ახლა სულიც რომ გამძვრეს, უნდა როგორმე ავდგე, უნდა როგორმე, ძილს კი მერეც მოვასწრებ, როცა...

სახელოსნოში

ექსპრომტი თენგიზ მირზაშვილს

კედლებზე გუაში და აკვარელი, ფერები, ფერები... შემკრთალი, მორცხვი, გოგო უცნაურად საყვარელი, კოშკი და ბატკანი ბალახს რომ კოცნის.

აქეთ ზამთარია, იქით მაისობა, ნახატი ნახატზე — კვადრატში, კუბში. როგორც აინონა — დაინონა, საათის გუგულიც გეძახის: — ჩუბ-ჩიკ!.. ჩუბ-ჩიკ!..

ლექსი — სავარჯიშო

მე ფოთოლი რომ მეგონა, თურმე ჩიტი ება ლეროს. აუქშია ნიავემა და ხეებს თავზე გადაეკლო.

სავსე მთვარე ამოჰქონდათ წელიდან ლამის მეზადურებს. მე ფოთოლი რომ მეგონა, ლეროს ჩიტი ება თურმე.

* * *

შენ ჩვენი ეზოს მელანო — ისევ აყვავდი, ჭერამო.

დათბა და თავი ასწიე, გაიფოთლე და გაივსე, ფიფქები ჩამოიფერთხე როგორც კი გაიმასიე.

გავა თიბათვე, მკათათვე, დადგება ჟამი მოკრეფის. როცა ფეხმძიმე ქალივით ნაყოფით დაიჭორფლები.

შენ ჩვენი ეზოს მელანო — ისევ აყვავდი, ჭერამო.

ლექსი „ეშმაკები“

ნამიანზე სხივი ცეკვავს, სხივი ნითელქოშება. „ეშმაკებში“ ვქეიფობ და პურს ვჭამ ანგელოზებთან.

ხეობაში იცრებიან მშობლიური ნისლები სასმისები იცლებიან, მე კი ჯავრით ვივსები.

აბა, ვილა მახადია. შენ ერთს გესაუბრები — სულ ჩემს გულზე გადადიან საქართველოს ღრუბლები.

ავტობრაფი ნიგნა

ეს ნიგნი ჩემი სიცოცხლე არის, ჩემი საფლავის ქვაც — ორი თარიღის ამოკანვრალა სჭირდება.

კიდევ — ნარეკალზე შემომჯდარი, ლობემძვრალა ჩიტი, ხანდახან მაინც რომ მოფრინდება და ქვეყნის ამბებს ჩამომძახებს.

ეს ნიგი ჩემი სიცოცხლე არის... თარიღი... ჩიტი... საფლავის ქვა...

ამხანაბ — ს

მონყენილია ჩემი ქალაქი, მონყენილი ვარ მეც. მალლა ბელურა, ძირს ამხანაგი ძველი ჩეკისტი თვლემს.

შეურყეველი, როგორც კედელი, უგრძნობი, როგორც ხე, და უცოდველი ხალხის მხვერტეელი, ძილშიც ვილაცას ხვერტს.

მოსაგონებელს რა გამოუღვეს — მარჯვედ იქნედა ცელს, მაგრამ განგება კუთვნილს მოუვლენს — ნითელ დროშაზე წევს.

სამგლოვიარო ქუხს მელოდია, ცრემლი ერევა გმირს, თვალს გადაავლებს, როცა ცოდვიან თანამებრძოლთა რიგს.

სისხლი ნატყვიარ გულს აფერადებს, და თუმცა აღარ ძგერს, დიდი ბელადი, თვითონ ბელადი, ორდენით უმკობს მკერდს...

ჩამოასკორავს ჩიტი ღაბუა, ჯილდოს დაჰკიდებს ფრენის და კმაყოფილი პაპა-ბაბუა ფერად სიზმრებში ფრენს.

რა ენაღვლება ძვირფას ამხანაგს, რომ მიაგორებს წლებს, თუ ვედარ ათბობს დღემდე ამ ქალაქს ერთხელ ჯვარცმული მზე.

ძილში ცოცხალ ძეგლს ვარდი აცვივა — ამკობს ამხანაგ — ს. ვილაც იცოდებს: — მაინც კაცია, ზის და თავისთვის თვლემს.

მეზობელი ნაგვის ვედროთი

(პორტრეტისათვის)

იყო ბევრი ცდუნება, მაგრამ ვერ გავრისკე... ნაგავს მიაქვს ნაგავი, მიდის სანაგვისკენ...

ახლა ვზივარ უმწეო, საყვედურებს ვისმენ... ნაგავს მიაქვს ნაგავი, მიდის სანაგვისკენ...

ჯიბესქელი, მაძლარი, რაც სიმალღე, სისქე — ნაგავს მიაქვს ნაგავი, მიდის სანაგვისკენ...

* * *

წლებმა ყველა საიდუმლო გათქვეს — ნუ ვილაპარაკებთ ასაკზე, ვილაპარაკოთ სიყვარულზე... ღარები შუბლზე — ნაპრალებია, არ ჩაიხედო, თვალი არ ჩავიცდეს — მათ სიღრმეზე დაფიქრებისაც კი მეშინია და როცა თითებს შუბლს გადავუსვამ, ასე მგონია, ხის ნაბზარში ჩამყვება ხელი.

ნურაფერს მკითხავ მათ შესახებ — ღარები შუბლზე — ნაპრალებია, ისინი ფქვევენ ჩემს სიცოცხლეს, ტკივილებით ღრღნიან ჩემს ხსოვნას...

ვილაპარაკოთ სიყვარულზე,
ვილაპარაკოთ –
იქნებ გათოშილ ნაპრალებში მზემ ჩაიხედოს,
გათბეს,
გაცოცხლდეს, რაც დამზრალი მეგონა უკვე.

ვილაპარაკოთ სიყვარულზე,
ვილაპარაკოთ,
რომ ამ სიტყვას,
ასაკის ორმოდან,
როგორც მაშველ თოკს, შენთან ამოვყვე.

ჩქარი მატარებელი

„ნეტავ ხვალ ვინ გაივლის
შენი ცხადი სიზმრების
გაუკვალავ თოვლში?“..
გივი გეგეჭკორი

მიდის მატარებელი. მიდის კუდს მიაქანებს,
უკაცრიელ ბაქანს,
ჩაუქროლებს ბორბლების ხრჭიალით და ქაქანიტ —
დაგან-დაგან-დაგან...

მეცხრე კუპე...
არაყი...
კოცნა ერთი აბაზი,
ყუაზე დაყვანილი საზიარო ღერი,
პომადიან ტუჩებზე დალიბრული ნაფაზი,
გვერდზე გადაზნექილი მკვეთრი მოსახვევით,

ბორგავს მატარებელი...
უბილეთო მგზავრებში,
ბრდღვინავს კონტროლიორი —
ხორცშესხმული ცოფი...
გინება და ხორხოცი... ღია საპირფარეშო...
წყალი ჩაალიღინეს, როგორც ბოლო სტროფი.

მერამდენე ღამეა,
მერამდენე საათი,
არეული სიზმრებით ვეგებებით სისხამს.
დღეს ვილას გააკვირვებ ქვაზე ტვინს თუ დაანთხევ,
ანდა გადარეული ბენზინს გადაისხამ.

მიდის მატარებელი,
ფანჯრებზე ეგლისება,
ნესტიტ დამძიმებული, ბლანტი ნისლის ობი,
მოჯაყჯაყე ტამბურში, მაძლარი, სქელკისერა
საქმობს ფეხანეული, დორბლიანი დოგი.

მიდიან და მოდიან, ლოთია თუ ბოზია,
ყველამ აითათა.
რიგრიგობით ყლურნავენ აქოთებულ ლოსიონს,
დაგან-დაგან-დაგან...

მეცხრე კუპე..
არაყი...
კოცნა ერთი აბაზი,
ყუაზე დაყვანილი საზიარო ღერი,
ვსვამთ, რომ ჩვენი ცხოვრება ცოტა შევალამაზოთ,
ცოტა გავახალისოთ ყოფა ნაცრისფერი.

წვიმიანი ღამეა,
მკერდზე თეთრი კამეა —
განათდება თუ ელვა სარკმელს გადახაზავს.


ევა-გამცილებელი, მადლიანი ქალია,
ცოტას გადახუხავს და...
გადაუყრის რაზას...

ალარ გვანტერესებს,
კუპის გარეთ რა ხდება,
წამის ბედნიერებამ, ერთმანეთის გარდა,
დაგვაგინყა ყველანი — ევა თუ დამაკდება,
კიდევ ერთი ნაბიჭვრით დაიმძიმებს კალთას...

დერეფანი ფუთფუთებს...
ბრბო მიჰყვება მანიაკს,
უცებ იქცა ბელადად ქონდრისკაცი, გნომი.
მათხოვარი მეგონა, თურმე ვეტერანია,
რომელიდაც დამპალი, სამარცხვინო ომის.

გიჟია თუ ჭკვიანი,
წიხლი დემოკრატიას
ჩააზილა სუყველამ და საერთო ყაყანს,
მალე შევეუერთდები, თავი თუ დავაღწიე
ევა-გამცილებლის ძუძუების ალყას.

მიდის მატარებელი,
გზა-გზა ტოვებს უამრავ,
უიმედო მომავლით გულგახეთილ ცხედრებს,
ვინც ხეობარ იმედებს ურცხვად გადაუარა,
ის ხვალ და ზევ უარეს დღეებს შეგვახვედრებს.



ნუგზარ შატაიძე

დავბარდი

„დავბარდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭალარა,
შინ ჯალაფთ მოვძულევივარ,
გარეს უნდივარ აღარა“.
ბალსური

მალღიდან წვიმა მოასხამს -
მინისა არი, არ ცისა,
სახეს მისველებს ტიალი,
შამლონებელი კაცისა.

ჟამი გასულა რამდენი,
ნურავინ იტყვის - წამია,
გახუნებულა ყოველი,
აქამდე რაც მიწამია.

ვზივარ და ჩუმად ვიგონებ
ჩავლილ-გამოვლილ ყოფასა -
სულ მუდამ ჯაჭვით დაბმულსა
იმ ღრჯოლებიან ქოფაკსა.

ფანდურიც დამძველებია,
ველარ გავუბი ლარები,
რა თავში ვიხლი - გამოჩნდა
შავეთის შავი კარები.

უცხონი დამწკრივებულან,
მიანითლებენ ქვიშასა,
სხვათა სიმღერას მღერიან,
ლაპარაკობენ სხვისასა.
2008 წ.

მდარე დეტექტივივით
ინელება ცხოვრება,
ყველა ერთად გავხდებით, ალბათ დასაბმელი,
ვიდრე გამომჟღავნდება ჩვენი დამაქცევარი —
უკანასკნელ ფურცელზე მიმალული მკვლელი.

მიდის მატარებელი. მიდის კუდს მიაქანებს,
უკაცრიელ ბაქანს,
ჩაუქროლებს ბორბლების ხრჭიალით და ქაქანიტ —
დაგან-დაგან-დაგან...

ლიანდაგის სიმბზე
მღერის ხმაჩახლეჩილი,
გამწარებულ ღიმილით სათითაოდ გვზვერავს,
რადიოდან ვისოცკის — მარადიულ დევნილის —
ასე ნაღვლიანი და სიცხიანი მზერა.

ბოლო გაჩერებამდე,
ვიდრე კეფას შევახებ
(მეტი რა დამრჩენია), ცივტურება ნაგანს,
ევა-გამცილებელი — მატარებლის რწვევაში
უნდა კიდევ ნაკუზო —
დაგან-დაგან-დაგან...

მიდის მატარებელი,
მიდის, ყველას თავისი,
უკვე მობეზრებული, საფიქრალი ყოფნის.
მხოლოდ მთვლემარ ვაგონში, უდარდელი ხალისით
დახტის ფეხნამოკრული, ცარიელი ბოთლი.

ასე თუ ისეა,
ყველაფერი სხვისია,
ჩვენთვის მხოლოდ ბოლმა და ღვარძლი თავთავდება.
ნაგებულო ყომარში, როგორ გამოგისხნიან
როცა ჩირის ფასი აქვს შენთვის თავდადებას.

ნუგზარ შატაიძე თურმე ლექსებსაც წერდა, ისე,
თავისთვის, დარდიანი გულის გასაქარებლად...
ნავიდა და სიურპრიზად დაგვიტოვა ბოლოხანს
დანერილი ეს ლექსები - თავისივე მოთხრობებით თბილი,
ალალი, და სევდიანი სტრიქონები.

აკაკი

„მთელი ჩემი ცხოვრება ტანჯვაა და ვაება,
ამირანის ჯაჭვებით დაბმული უკვდავება“

საკვირველი კაცი ვარ,
მე არავინ არა მგავს -
ცოლ-შვილი მყავს - არა მყავს.
პენსია მაქვს - არა მაქვს,

ყველა ჩემი მგონია,
ვინც ამ ქვეყნად მიმოდის,
ვისაც ნაზი სურნელი
უდის ვარდის, მიმოზის.

ვინაც ჭერქვეშ მიმიღებს,
დამაპურებს რომელიც,
ვინც კი მუდამ მიმელის,
ვინაც მხოლოდ მე მელის.

დავალ როგორც ფუტკარი,
თაფლი დამაქვს აბგითა,
ყველას - დიდს და პატარას
ვათრობ ლექსის ბანგითა.

უცნაური კაცი ვარ,
მე არავინ არა მგავს -
ცოლ-შვილი მყავს - არა მყავს,
სამშობლო მაქვს - არა მაქვს.
2008 წ.

ზენა ქარმა მოიტანა
წვიმის ნაზი სურნელი,
აქანავდნენ გვირილები,
აშრიალდა კუნელი.

მონმენდილ ცას შესციცინებს
არჯაკელი სულელი.
2008 წ.

მეგობარს

არ ჩანხარ და მაინც გხედავ,
სხვებიც შენთან არიან,
ერთადა ხართ, ერთად წევხართ,
ვიცი და მიხარია.

ცოტა ხანში მეც წამოვალ -
მომენატრეთ ძალიან.
2008 წ.

ამოდიან, ჩადიან...
დიდია თუ პატარა...
დედამინა მრგვალია, გარეშემო ვუვლით...
ჩვენი მოკლე ცხოვრება, ვისთვის მელოდრამაა,
ვისთვის კიდევ ფილმია მძიმე დასასრულით.

ხვალ ვინ დაიტანჯება
„შენი ცხადი სიზმრებით“,
მზერას ვინ გააყოლებს გამცილებლის გავას.
ვინ მიხვდება – თუმცა კი პეიზაჟი იცვლება,
და გვგონია მივდივართ —
თურმე ჩიხში ვდგავართ.

ჩვენი ჩასვლის დროც მოდის...
ახლა იმან იდარდოს,
ვისაც ერთი სული აქვს მალე გაივაკოს —
ვინც ჩქარი მატარებლის სახელურზე ჰკიდია,
ვინც ბოლო წამს შეახტა გაქანებულ ვაგონს...

* * *

გარეშემო თეთრად დაიფიფქა,
გიჟობს მარტი,
ძველებურად გიჟობს.
რა ხანია ფიქრით უკვე იქ ხარ –
ასეთ ყოფას
რომ არ იყო, გიჟობს.

შენი დღესასწაულების კარი,
საბოლოოდ დახურულა ვიდრე,
მაინც მცირე სიხარულით მთვრალი
გაჯიბრებულ ქარის ზუზუნს მისდევ.

გარდაცვლილი მეგობრები სიზმრად,
ცხადში – თოვლი ამოავსებს ღრიჭოს.
რა ხანია აქ აღარ ხარ, იქ ხარ –
ასეთ ყოფას, რომ არ იყო, გიჟობს.

არსებობს დუმილი, რომელიც ხმაურზე მეტია და არსებობს ხმაური, რომელიც დუმილზე მეტი არ არის.

დღეს რომ ხმაურია ქართულ პოეზიაში, დუმილზე მეტი ვერ არის.

ასეთი პარადოქსებით ან ერთობიან, ან რაღაცას მალავენ. მე ვმალავ.

რას ვმალავ? – სნობისტურ აზრებს. სნობიზმი ხომ მარტო მოდის აყოლა და კარგი ტონის წესების დაცვა არ არის.

კარგა ხანია ლიტერატურა სოციალური ინსტიტუტი აღარ არის. საზოგადოებამ დაივიწყა მწერალი და, კაცმა რომ თქვას, მწერალმაც დაივიწყა საზოგადოება. შედეგად მივიღეთ ის, რომ დაიკარგა პათოსი, რაც ქმნიდა ლიტერატურული შემოქმედების ღირებულებით ფორმას, სახეს, რანგს.

ლიტერატურა ჩაიკარგა არითმიული, ნერვული დროის ნამსხვრევებში.

ლექსი გულიდან კი არა, თავიდან იწერება, თავიდან იბადება, როგორც ბრძენი ათენა-პალადა.

არა ჰქმნა თავისა შენისაგან ლექსი... ვის ესმის შეგონება, ანდა ძველი მოტივი: „მე არ ვწერ ლექსებს...“

ლექსს კი აღარ წერენ, არამედ აკეთებენ, მეტიც, აწყობენ – ტრადიციონალისტებიც და ფორმალისტებიც, რეალისტებიც და ირრეალისტებიც, აბსტრაქციონისტებიც და კონკრეტისტებიც.

ჟურნალ „კრიტიკაში“ ვწერდი, ახლაც გავიმეორებ.

პოეტურ მუხას სძინავს. იმდენი ლექსი, დღეს რომ იწერება, არასოდეს დანერგულა, მაგრამ ფაქტია, პოეზიას სძინავს.

ლექსები, რასაც ვკითხულობთ, არის მეტრულად ორგანიზებული მეტყველება, მაგრამ არ არის პოეზია; თანამედროვე ლექსში სიზმარული დალილობა უფრო იგრძნობა, ვიდრე ცოცხალი შთაგონება.

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ პოეტები აკეთებენ იმას, რაც ყველაზე ცუდად იცინან.

ხელოსანი ბევრია, ხელოვანი ცოტა. ამიტომ ლექსებზე წერა ისევე უხერხულია, როგორც საუბარი მიძინარე ადამიანთან.

მიუხედავად ამისა, ვწერ, ესე იგი, ვარსებობ, კრიზისულ სიტუაციაში ვაფიქსირებ მონანილეობას ძილის მისტიკაში, სადაც ჩემი სიზმრებიც თამაშდება მოსალოდნელ გამოღვიძებამდე.

იქ, სადაც პოეზიას სძინავს, მკითხველი, გინდა არ გინდა, სნობისტი ხდები, ზემოდან უწყებ ყურებას სიტუაციას, როცა ერთნი წერენ თავისთვის – გულის დარდს გამოხატავენ, მეორენი სხვისთვის – დროს გამოხატავენ, მაგრამ ლექსისთვის არავინ წერს.

დიდი ხანია, ქართული ლექსი თავისი თავის დუბლირებას ეწევა, თავს იტყუებს, მხატვრულობის სიმულაციებით ერთობა, ფაქტიურად, ეს არის რეპროდუქციული მანქანა, რომელიც შეუჩერებლად აწარმოებს ავტომატიზებულ ასლებს.

ქრება არასახისმეტყველებითი ანუ აზრის პოეზია, ტროპების სიჭარბე ახრჩობს ლექსს.

გონება აღარ მიიჩნევა პოეზიის აუცილებელ თვისებად.

კაცმა რომ თქვას, რა არის პოეზიის მიზანი? – ხელმეორედ აღმოაჩინოს საგანი, რომელსაც ყველა ხედავს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ პოეზიამ დაკარგა საგანი, მგრძნობელობითი ველი, ლექსი ვეღარ ახდენს იდეის აქტივიზაციას მგრძნობელობითი ხატების მეშვეობით.

შთაგონებით მოსული იდეა ქაღალდზე გადასვლას ვერ ასწრებს, ნათურასავით გადაიწვება.

თანამედროვე ქართული პოეზიაც ეს არის – ერთ დროს კაშკაშა ნათურის გადამწვარი ვოლფრამი.

უიდეობის შედეგია მოჭარბებული ზედმეტობანი: ეგოცენტრიზმი, ავტობიოგრაფიზმი, წარმავლობის მოტივები, პანეგირიკი, ეპიგრამა, ჰეროიზმი, პუბლიცისტური პათოსი, ჟურნალიზმი.

არ ჩანს სულის შიგნითა მხარე, კოსმოსი, სადაც ნამდვილად ვართ და ვიქნებით მომავალშიც.

ვინ არის დღეს პოეტი? – ეგოისტურ ფანტომებად დანანევრებული „მე“, რომელიც საკმაოდ თვითკმარი მოცემულობაა თავის სიცარიელეში.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეგვიდგამს ფეხი მსოფლხედვის მოდელირების რეგრესულ

ივანე ამირხანაშვილი

არა ჰქმნა თავისა შენისაგან ლექსი

გზაზე, რომელიც დასავლურმა ლექსმა ღიად და ალაღად განვლო. იქ ჯერ ბუნება პოეტის გარეთ იდგა (გოეთე), მეოცე საუკუნის დასაწყისში პოეტმა ბუნება თავის თავში შემოიყვანა (რილკე), მეოცის ბოლოს კი ნაწილ-ნაწილ გამოაქვს თავისი თავი ამ მთლიანობიდან (ჯონ ეშბერი).

მეოცე საუკუნის დასავლური პოეზია ყველანაირად ეცადა, გაეუქმებინა პოეტური ხატის ორმაგი მნიშვნელობა და დაეტოვებინა ერთი მნიშვნელობა, საგანში გამოხატული ის ერთადერთი აზრი, რაც რეალობასთან აკავშირებს ამ საგანს. ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტმა უარი თქვა მეტაფორაზე და ინტელექტუალური გამოხატვის იმედად დარჩა. ლექსში სააზროვნო შინაარსი შეიჭრა. სიტყვების მუსიკა აზრის რიტმმა შეცვალა. დაიწყო ემოციის ინტელექტუალიზაცია.

პოეტებმა თავი ანებეს მარცვლებისა და რითმების თვლას. ლექსი გახდა პროზა, რომელსაც აპოეტურებს მოულოდნელი, პარადოქსული აზრი, აზრობრივმა პარადოქსმა პოეტური ხატისა და მეტაფორის ადგილი დაიკავა. ლექსის ნაცვლად მივიღეთ „ტექსტი“ - თანამედროვე ინფორმაციული აფეთქების ტრავმული შედეგი.

როგორც სამეცნიერო დაკვირვებები ცხადყოფს, ადამიანს უჭირს ინფორმაციული ნაკადის აღქმა, რის შედეგადაც სამყაროს მიმართ მისი მგრძნობიარობა ჩლუნგდება; იგი გულგრილად უყურებს დისპლეის ეკრანზე მქროლავ ნიშანთა კალეიდოსკოპს და არ ცდილობს ჩასწვდეს ნიშანთა მნიშვნელობას, საგანთა სიღრმეს.

აღქმის გამარტივებული მექანიზმი გემოვნების ზოგად სტანდარტს აყალიბებს. ყველაზე მასობრივი მკითხველი ჰყავს „მატერიალურ“ სიტყვათწყოებს ფილოსოფიური ან ნოველური ფინალით, სიტყვებისა და ალოგიზმის არლექიწურ თამაშს. ქრება ანტიმატერია ანუ მეტაფიზიკა, რაც ყველა დროში კრიზისისგან იცავდა ლექსს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში პოეზიის საზღვრები ყოველთვის არათანაბრად იყო ჩვენ მიერ გააზრებული, პოეტს უშურველად ვუთმობდით დროს, მისი იყო საუკუნეც, ეპოქაც, მარადისობაც, მაგრამ არ ჰქონდა სივრცე, - საქართველოს გარეთ ვერ გადიოდა.

გარღვევის მცდელობა „დაფიქსირდა“ გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ახალგაზრდა ავანგარდისტებმა დაიწყეს

კონცეპტუალიზმის გადმონერგვა დასავლური პოეზიიდან, მაგრამ ახალი ნერვი ვერ ახარეს, რითაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ავანგარდისტს აქვს გაბედულება, მაგრამ არ აქვს შესაძლებლობა.

თანამედროვე ავანგარდისტებს მემკვიდრეობით ერგოთ მეოცე საუკუნის დასაწყისში განცდილი მარცხი.

თავისუფლად შეიძლება ლიტერატურაში ჯგუფურად მოხვიდე, რომელიმე მიმდინარეობას მოჰყვე და ძალიანაც პოპულარული გახდე, მაგრამ საკუთარ მონეტას მაინც ვერ მოჭრი, ვერ შექმნი იმას, რაც გინდა რომ შენი იყოს, ვერ იქნები ინდივიდუალური, ვინაიდან კოლექტიური ინდივიდუალობა სხვა არაფერია, თუ არა მოდა, რომელსაც საზოგადოებრივი გემოვნების კარიკატურას უწოდებენ.

გემოვნების დეფიციტი – კრიზისის ნიშანი!

დღეს პოეტები სხვისი ენით წერენ, ანუ წერენ ერთმანეთის ენით.

ვინც საკუთარი ენით წერს, ის უარყოფილია და მისი ლექსები კონსერვირდება დროში როგორც წიაღისეული, რომელსაც მომავალში აღმოაჩენენ ან არ აღმოაჩენენ.

დრო აზარტული მოთამაშეა, დავინყვების ზღვარზე ათამაშებს პოეტებს, თუმცა თვითონ არაფერი ავიწყდება.

უახლესი ქართული პოეზია იყოფა ორ პერიოდად: გალაკტიონის დროს და გალაკტიონის შემდეგ.

გალაკტიონის შემდგომი პოეზია ძირითადად გალაკტიონის ლექსზეა კლონირებული, თუმცა ყოველთვის იყო გავლენის დაძლევის მცდელობები. პოეტიკური საშუალებების განახლების პრეტენზიით მოდის ყველა ნაკადი: პატრიოტული (ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე), ეგზისტენციური (ოთარ ჭილაძე), ირონიულ-პაროდიული (ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახაძე), მითოლოგიური (შოთა ნიშნიანიძე), კლასიკურ-ტრადიციული (არჩილ სულაკაური, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ამაშუკელი, თამაზ ჭილაძე, ემზარ კვიციანი, გივი გეგეჭკორი, ზაურ ბოლქვაძე, იზა ორჯონიკიძე); სიახლის ნიშნად გვევლინება გრძნობათა ახლებური დისციპლინა და მეტაფორის რაციონალიზაცია.

ძიების პროცესი გააღრმავა კონვენციურ-ვერლიბრისტული დაპირისპირების ტალღამ (ბესიკ ხარანაული, მამუკა ნიკლაური, ლია სტურუა, ჯარჯი ფხოველი) და ტრადიციული ლექსის მუსიკისა და

ვერლიბრისტული ინტელექტუალიზმის შერწყმის მცდელობამ (გივი ალხაზიშვილი, გენო კალანდია, ვახტანგ ხარჩილაძე). ამას გარდა გამოიკვეთა კიდევ რამდენიმე მიმართულება: მეტაფორიზმი (თამაზ ბაძაღვა, ბათუ დანელია, გივი სულაკაური, ომარ თურმანაული), სოციალური შიფრი (რენე კალანდია), ნეოაკადემიზმი (მანანა ჩიტოვილი, დათო მალრაძე, ლალი გულისაშვილი, ნინო დარბაისელი, ანდრო ბუაჩიძე), ფოლკლორული მოდულაციები (კობა არაბული, ეთერ თათარაიძე, ელა გოჩიაშვილი, ბალათერ არაბული).


ბოლო ათი-თხუთმეტი წელიწადი კლასიკური კრიზისის პერიოდი მთელი თავისი ჯიუტი ძიებებითა და თამამი დამარცხებებით. ექსპერიმენტატორობა და სოციატორობა იმიტაციების ველს არ გასცდენია. გაურკვეველი ზავით დაამთავრა ბლიც-კრიგი დროსთან ულტრაავანგარდისტულმა ნაკადმა (დავით ჩიხლაძე, ზურაბ რთველიაშვილი, შოთა იათაშვილი, დათო ბარბაქაძე).

გალაკტიონის მიერ დაკანონებული ფორმისმიერი წესრიგი ვერლიბრმა ოდნავ შეარყია. სამოცდაათიანი წლების „ჰარმონიულ“ უძრაობაში თავისუფალი ლექსი შემოიჭრა როგორც გამოწვევა, როგორც კონფორმისტული აზროვნების დესტრუქციის საშუალება. ეგრეთ წოდებული გარდაქმნის შემდეგ, როცა აშკარა გახდა ეროვნული განხეთქილების საშიშროება, ლექსმა ისევ ფორმალურ ჰარმონიას მოუხმო და „დესტრუქციულმა“ ვერლიბრმა უკანა პლანზე გადაინაცვლა. კონვენციური ლექსის სამოქალაქო პათეტიკამ კიდევ უფრო დააჩქარა ესეთიზმის კრიზისი.

რას წარმოადგენს თანამედროვე ქართული ლექსი? ეს არის კარგად აწყობილი აპარატი, რომლის მექანიზმები არ მოძრაობენ.

კრიზისული სიტუაციის ნიშანია მიმბაძველობის სულისკვეთება, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ძველ ჭეშმარიტებას: მიბაძვით შეიძლება გენიოსს დაემსგავსო, მიბაძვით შეიძლება გენიალური ლექსი „გააკეთო“, მაგრამ ეს აქცია თუთიყუშის ეფექტზე შორს არ წავა.

პოეტს, მისი მეტყველების სტიქიას, სტილისტიკას, ფორმის ქმნადობის შინაგან წესს მიმბაძველობა ან გაგლენა კი არა, სულისა და სიტყვის ერთიანობა აყალიბებს. პოეზია არ არსებობს პიროვნების გარეშე. როგორი პოსტსტრუქტურალისტური საშლელითაც არ უნდა ნაშალო ავ-



დავით კაკაბაძე. ბრეტანი. 1921

ტორი ლექსიდან, ის მაინც არსებობს და მისი ფაქტორი გადამწყვეტია.

პიროვნება ქმნის შემოქმედებას და არა შემოქმედება – პიროვნებას.

საერთო კულტურულ გარემოსაც ერთეულები ქმნიან.

ყოველთვის გვგონია, რომ პოეზიაში ახალი არაფერი მოხდება, თუ ჯერ კულტურაში არ მოხდა რაღაც განსაკუთრებული, მაგრამ საუკეთესო გამოჩაჩქარებები ცხადყოფს ამ თვალსაზრისის უსაფუძვლობას. მაგალითად, რა კულტურული ბუმი უძლოდა დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ან ვალაკტიონის გამოჩენას? არანაირი. თითოეულმა მათგანმა თვითონ შექმნა ახალი კულტურა; ყოველგვარი ჯგუფობრიობის, დეკლარაციებისა და მანიფესტების გარეშე ჩამოყალიბეს ახალი პოეტური მიმართულება.

პოეზიის ბედს ჯგუფები და დეკლარაციები კი არა, პიროვნებები წყვეტენ.

საით უნდა წავიდეს ქართული ლექსი? რა თქმა უნდა, საკუთარი ძირებისაკენ, დასავლეთისკენ, იქით, საითაც ყოველთვის მიდიოდა. დასავლური გზა არის პირდაპირი პერსპექტივა იმ ადგილისკენ, სადაც შეგიძლია შეინიშნოს თავი აღმოაჩინო, მიაგნო ახალ ხედვას, იპოვო ახალი საშუალებები, განაახლო ენა, ააგო პოეტური მეტყველების ახალი სისტემა.

ეს, რაც შეეხება იდეას.

რეალობა კი ის არის, რომ თანამედროვე ქართული ლექსი ყოველთვის არ აღიარებს. ყოველთვის კი არცთუ სახარბიელოა, ენა აუფანყდა პოეზიას, თანამედროვე სალექსო ენა პოეზიას აღარ ეუთვნის. პოლ ელუარს რომ დავესხებოთ, პოეზია კვდება იმით, რომ არ კვდება....

არ კვდება დაბადებამდე, ახლის დაბადებამდე.

გალაკტიონს აქვს ერთი ასეთი მოგონება. 1912 წელია. ქუთაისში იმართება პოეზიის საღამო, რომელსაც ესწრება „მეფე პოეტი“ აკაკი წერეთელი. ხდება ისე, რომ აკაკის შემდეგ ლექსს წაბუკი გალაკტიონი კითხულობს. გალაკტიონი ძალიან ღელავს, ამკარად გრძნობს აკაკის დაჟინებულ მზერას და თავგზა ებნევა, ცივი ოფლი ასხამს. გაუბედავად, ხმის კანკალით იწყებს და მალევე ჩერდება. ლექსი ავიწყდება.

ბედად რითმზე, რომელზედაც გავჩერდი, მომაგონდა სრულიად ახალი რითმა, - წერს გალაკტიონი, - ექსპრომტად, ავადმყოფური თავგანწირვით ვქმნიდი ახალ სიტყვებს, ახალ აზრებს.... ცდა საუკეთესოდ დაგვირგვინდა. არც ერთს დამსწრეს არ შეუტყვი და არ უგრძნია ჩემი კრიტიკული მდგომარეობა“.

იმ დროს გალაკტიონი ჯერ კიდევ აკაკის ბაძავა და ალბათ ესეც იყო მისი დაბნეულობის მიზეზი, მაგრამ საყურადღებო უფრო ის არის, რომ აქ ვხედავთ თაობათა დაპირისპირების დრამას, რომელიც სიმბოლურად განახლებს, ახალი ლიტერატურული ეტაპის დასაბამს მიგვანიშნებს.

აკაკის ლექსს უკვე ამონურული ჰქონდა თავისი შესაძლებლობები. საჭირო იყო ახალი გზის, ახალი საშუალებების გამოძებნა. ეს მისია გალაკტიონმა იტვირთა. იგი მხსნელად მოველინა ქართულ პოეზიას, რომელმაც მიიღო ის ახალი, რასაც ელოდა.

რაღაც მსგავსის მოლოდინში ვართ გალაკტიონის შემდეგ, დიდი ხანია, თუმცა შესაძლოა ეს დრო ისტორიისთვის არაფერს ნიშნავდეს.

იყო მცდელობანი ახალი გზის ძიებისა, იქმნებოდა ახალი სიტყვები, ახალი აზრები „ექსპრომტად და ავადმყოფური თავგანწირვით“, მაგრამ შედეგად ვერ მივიღეთ ის, რასაც ველოდით.

რატომ?

იდეები აღარ არის აღარც ხელოვნებაში, აღარც ყოფაში, აღარც პოლიტიკაში; უფრო სწორად, არის, მაგრამ ესენი ანტიიდებია, დესტრუქციის იდეები, რომლებიც ჯერ მხოლოდ ანგრევენ და არ აშენებენ.

ამიტომ სწორი აკეთებს თავის საქმეს: ჩვენ ვალიარებთ პოეტებს იმით, რითაც სხვებს ჰგავან და არა იმით, რითაც არიან.

თქვენს წინაშეა პირველი წიგნი ავტობიოგრაფიული პროზის, მემუარებისა და პოლიტიკური ბიოგრაფიების ოცდახუთტომეულიდან - „საოჯახო ბიბლიოთეკა“.

სიმბოლურია, რომ ეს პირველი წიგნი ჩვენი დიდი წინაპრების — XIX საუკუნის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ავტობიოგრაფიული ჩანაწერებისაგან შედგება და იმ დროისაკენ მივგაბრუნდებით, როდესაც რუსეთის იმპერიის ერთ რიგით გუბერნიად ქცეულ საქართველოში ყალიბდება არისტოკრატიული ინტელიგენცია, ხოლო ლიტერატურულ ჟანრებს შორის მკვიდრდება მემუარებისა და ავტობიოგრაფიული ჩანაწერების ტრადიცია, სულხან-საბა „მოგზაურობაში...“ რომ იღებს სათავეს.

ჩაკვირვებულ მზერას თუნდაც მხოლოდ ამ ერთ წიგნში თავმოყრილი ნიმუშებით შეუძლია მიაღწეოს თვალს, როგორ ვითარდება ავტობიოგრაფიული ჩანაწერების ჟანრი XIX საუკუნის მანძილზე.

თუკი ადამიანს სიყმაწვილისას ერთხელ მაინც უნარმოებია დღიური და სხვათაგან მალულად ქაღალდისათვის გაუნდვია თავისი იმპერსონალიზებული და პრობლემები, მან კარგად იცის, როგორი ტრავმა ამ დღიურის უცხო ხელში ჩავარდნა. აი, „ლიტერატურული დღიურები“ კი უკვე თავიდანვე გათვლილია „უცხო თვალზე“. ერთის მხრივ, ამგვარ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერს შენარჩუნებული აქვს ის ინტიმური უშუალოება და სინერგული, რაც, საზოგადოდ, დღიურს ახასიათებს, მა-

ზაზა აბზიანიძე

ქართული მემუარული პროზა

გრამ, მეორეს მხრივ — „გარეშე თვალის“ (ანუ მომავალი მკითხველის) წარმოსახული არსებობა თვით ამ ინტიმურ გულახდილობასაც უღებებს რაღაც ზღვარს. ამიტომაც, რომ ნებისმიერი ლიტერატურული დღიურის ავტორს „დანის პირზე“ უნევს გავლა, რათა თავისი სათქმელიც თქვას, სიმართლესაც არ უღალატოს, მაგრამ არ უღალატოს არც იმ ეთიკურ კოდექსს, რომელიც მისივე საზოგადოების ცხოვრებას წარმართავს და მრავალხილულსა თუ უხილავ „ტაბუს“ მოიცავს.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ზნეობრივ „ტაბუსთან“ ერთად, „ლიტერატურული დღიურის“ ავტორი, ნებისთი თუ უნებლიედ, გულისხმობდა

პოლიტიკურ ცენზურასაც და თუ ავტორს სურდა რაც შეიძლება უვნებლად გაეგლო სცილსა და ქარიბდას შორის, იგი აუცილებლად მიმართავდა რაიმე ხერხს მრავალფეროვანი ლიტერატურული არსენალიდან. ილია, მაგალითად, „მგზავრის წერილებში“ ჟანრების მონაცვლეობით ცდილობს „აუჭრელს თვალს“ (ცენზორის: დოკუმენტური სიზუსტით აღსაყრდენ თხრობას მეტაფორული სურათები ენაცვლება, ყოფით დეტალებს — მრავალმეტყველი განზოგადებანი. აქვე უნდა ითქვას, რომ „მგზავრის წერილები“ ბრწყინვალე ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ გარდაისახება ლიტერატურული დღიური ავტობიოგრაფიულ პროზად.

XIX ს. ქართველ მწერალთა შემოქმედებითი გზის თვალმიდევნებისას, არ არის ძნელი შევნიშნოთ, მხატვრულ დაოსტატებასთან ერთად, საკუთარი პრობლემებით შთანთქმულ „ჭაბუკურ ეგოცენტრიზმს“ როგორ ენაცვლება უკვე საერთო ტიპილის გაზიარება, საერთო გზის ძიება და საერთო მონაცვლეობა ფიქრი... ამ შინაგან პროცესს თავისი კანონზომიერება აქვს და თუ დღიურში ან მწერ-მონერისას ის სპონტანურად მჟღავნდება, რაც უფრო განაფული ხელი ამჩნევია ჩანაწერებს, რაც უფრო მეტად „იხრება“ ლიტერატურული დღიური ავტობიოგრაფიული პროზისაკენ, მით უფრო გამიზნული და გაცნობიერებულია უხილავი სულიერი მეტამორფოზების მხატვრული განვითარება.

ზოგჯერ, მწერალი ვერ იცლის ლიტერატურული დღიურისათვის, ან, რაიმე მიზეზით, განზრახ გაურბის ამ ჟანრს, ზოგჯერ პირიქით — მწერლური ავტობიოგრაფია თუ მემუარები უბადლო მხატვრული ოსტატობით და ესთეტიკურ-ისტორიული რეალიების ისეთი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომ ამ ლიტერატურული დოკუმენტის გარეშე, უკვე სრულფასოვნად ვეღარ წარმოვისახავთ ვერც თავად მწერლის პორტრეტს, ვერც მის ეპოქას.

ამ თვალსაზრისიდან თუ გადავხედავთ XIX საუკუნის ქართულ მწერლობას, თითქოსდა, უკმარისობს გრძობა უნდა დაგვეუფლოს — ჩვენს ისტორიკოსთაგან ხომ ვიცით, რომ ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოვლიძებისა და ქართველობის, როგორც ერის კონსოლიდაციის ჟამს, გაცილებით უფრო მასშტაბური მოვლენები ხდებოდა, ვიდრე ეს იმჟამინდელ დღიურებსა და მოგონებებში

აისახა; არც რუსოს „აღსარებისა“ თუ ლეიტოლსტონის ავტობიოგრაფიული ტრილოგიის მინაგვარი შედევი შექმნილა (რომელთა ქართულ თარგმანსაც ვაქვეყნებთ „საოჯახო ბიბლიოთეკის“ ამ სერიამში). და მაინც — ისეთი რა უცნაური ხიბლი, რა გაუხუნარი სი-



ნედლე, რა გაუნელებელი სითბო აქვს ჩვენს დიდ წინაპართა ავტობიოგრაფიულ პროზას, რომ საუკუნუნახევრის შემდეგაც, შეუნელებელი ინტერესით იკითხება, მიუხედავად იმისა, სკოლის მერხიდან ვიცით ჩვენ ეს ნაწარმოები (როგორც აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ ან ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებანი“), თუ პირველად ვეცნობით, როგორც, ვთქვათ — ალექსანდრე ორბელიანის ჩანაწერებს. იმიტომ ხომ არა, რომ ამ უშუალო თხრობაში მთელი ჩვენი ისტორიული მეხსიერებაა აკუმულირებული, ქართული ხასიათის ისეთი ტრადიციული, სათუთი თვისებებია წარმოდგენილი (მარტო ვაჟა-ფშაველას სიყვარულის აღწერა რად ღირს!), რომლებსაც ჩვენ ასე უდარდელად ვეღვივებთ და რომელთა ფასიც და მნიშვნელობაც ახლა უკვე სწორედ წინაპართა გულშიაჩვენებულმა სიტყვამ უნდა შეგავხსენოს. მერე რა, რომ აკადემიური ჟამთააღმწერლისაგან განსხვავებით, არც ერთი მათგანი არ წარმოსახავს ვრცელ ისტორიულ პანორამას; მერე რა, რომ ეგზოტიკურ სუბიექტურნი არიან — სამაგიეროდ რამდენს ვიგებთ მათზე ისეთს, რასაც ვერც ერთი მკვლევარისაგან და ბიოგრაფისგან ვერ გავიგებდით... მაგრამ ის, ზემოთნახსენები „ჭაბუ“ მაინც დაცულია და „კავკასიის მთათა შვილი“ ავტორისეულ გულახდილობასაც უდებენ ზღვარს და, აქედან გამომდინარე, — მკითხველის ცნობისმოყვარეობასაც. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თავისი ყოველდღიური ცხოვრების აღწერისას, ჩვენმა კლასიკოსებმა (მრავალი მოსაზრებისა თუ ტრადიციის გამო) ერთგვარი დისტანცირება ამჯობინეს და დღიურის „დაუცველი“ გულახდილობა ლირიკული პოეზიისა და პროზის სულსმემძვრელ სტრიქონებს „გადაულოცეს“.

ახლა მემუარების ავტორთა დროინდელი ეპოქის აღწერას რაც შეეხება: კლასიკური ტიპის მემუარები XIX ს. და XX ს. დასაწყისის სინამდვილეზე მეტწილად პუბლიცისტებს, მეცნიერებსა და განათლების გამოჩენილ მოღვაწეებს ეკუთვნის — დიმიტრი ყიფიანს, ნიკო ნიკოლაძეს, იაკობ მანსვეტაშვილს, თედო ჟორდანიას, აკეთიმე თაყაიშვილს, თედო სახოკიას, რომელთა მოგონებების უმეტესობა (მხოლოდღა მოცულობის გამო) ცხადია, ვერ მოთავსდებოდა ვერც ამ კრებულში და ვერც მომდევნო ტომში, რომელიც XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა მემუარებს ეთმობა, მაგრამ რომელთაც, დროთა განმავლობაში, აუცილებლად წარუდგენთ ჩვენს მკითხველს. (დავით კლდიაშვილის უადრესად საინტერესო მოგონებები, მაგალითად, უკვე ნელსევე გამოქვეყნდება „საოჯახო ბიბლიოთეკის“ იმ სერიამში, რომლის პირველი წიგნიც თქვენ ახლა ხელთ გაქვთ).

ახლა, უფრო დანერვილებით „საოჯახო ბიბლიოთეკის“ ამ ტომში თავმოყრილი მემუარების შესახებ: დიდი ნაწილი აქედან ქართველ კაცს მართლაც სკოლის მერხიდან ახსოვს და, შეიძლება ითქვას, თანსდევს მთელ მის ცხოვრებას. მაგრამ, უცნაური რამ ხდება: დღეს, ჩვენ, ისტორიულ გზისგასაყარზე

მდგარი ქვეყნის შვილები, სულ სხვა თვალთვითხედობით თითქოს და ნაცნობ საკითხავს; ვკითხულობთ ჩაკვირვებით, რათა ჩვენი წინაპრების ბიოგრაფიებში, მათ ნათელხილვებსა თუ ილუზიებში, მათ წარმატებებსა თუ წარუმატებლობაში, ჩვენი დღევანდელი სატყვიარის მიზეზს მივაკვლიოთ; ისევე, როგორც ხვალისდელი გამარჯვების გასაღებს. წმინდა პიროვნული ინტერესიც არსებობს — ამ ღირსშესანიშნავ ბიოგრაფიათა თვალმიდევნება, რა ასაკისანიც არ უნდა ვიყოთ, იშვიათად ამდღირებს ჩვენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

იმ ისტორიულ რეტროსპექტივაში, რომელიც თითქმის ორ საუკუნეს სწვდება, ჩვენთვის, ცხადია, განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ხასიათის, ქართული ეთნოგენეტიკის მეტამორფოზები: ჩვენ ხომ ერეკლეს ასულის — თეკლა ბატონიშვილის ოჯახისათვის დამახასიათებელი თვალთახედვით უნდა შევხედოთ იმდროინდელ ტფილისს, იმდროინდელ ქართულ ადათს; ყური მივუგდოთ რუსულ მმართველობას ჯერ ვერმორგებული ქართველობის ჩუმ გმინვას და მინავლებულ მიედებს... ჩვენ ვნახავთ იმასაც, როგორ შევავსებს ბიძამისი — ალექსანდრე ორბელიანის მონათხრობს, მისი ძმისშვილის — კეთილშობილი ქართველი მოღვაწე ქალის — მარიამ ორბელიანის მოგონებები. აქ უკვე ვახტანგ ორბელიანისა და მისი კულტურული გარემოცვალის აღმოჩენებით და დღევანდელი მკითხველისათვის პრაქტიკუ-

ლად უცნობი ჩანაწერებით ვეცნობით გაცოცხლებულ მიზანსცენებს და დეტალებს იმ სამყაროს, რომელსაც ჯერ კიდევ „ძველი საქართველო“ ჰქვია.

ნიშანდობლივია სიმბოლიკა: ილიას „მგზავრის წერილები“ — გეოგრაფიულ უღელტეხილზე შეიქმნა და, ამასთანავე, ისტორიულ უღელტეხილს განასახიერებს: არა მარტო, როგორც ახალი ქართული პროზის პირველი ნიმუშები; არც როგორც მხოლოდ ნიმუში არქაიზმისაგან დანმენდილი ახალი ქართული ლიტერატურული მეტყველებისა, არც როგორც მხოლოდ ახალი თაობის სამოქმედო პროგრამა. არც ერთი ცალკ-ცალკე, მაგრამ ყველაფერი ერთად — ეს უკვე ახალი საქართველოა! და რაოდენ ნიშანდობლივია, რომ „დაბადების მოწმობა“ ამ „ახალშობილს“ სწორედ რომ ბიოგრაფიული პროზის ჟანრშია შედგენილი.

ილიასთანვე წარმოჩნდება განსაკუთრებული სიმძაფრით ჩვენთვის ესოდენ

მტკივანი თემა — რუსულ-ქართული ურთიერთობებისა. წარმოჩნდება თავისი ორი, უმთავრესი ნახნავით: თავდაპირველად, იმ კეთილსმყოფელი გავლენით, რომელთაც განსწავლული პეტერბურგი ალიბექდა მადლიერი ქართველი

სტუდენტის მეხსიერებაში (იმავე თემას, კიდევ უფრო განვრცობილ, შევხვდებით ნიკო ნიკოლაძის მემუარებში, და აკაკისთანაც, ცხადია) და, მეორეს მხრივ — რუსეთის, როგორც უხეში, ხისტი, სალდაფონური ძალის განსახიერება — იმპერიული ამბიციით და მუშტმავარი გოლიათის თავდაჯერებით.

კვლავ კავკასიონის ფერდობებზე ვრჩებით, როდესაც ამ მთათა შვილების — ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის მოგონებებს ვუღრმავდებით. მაგრამ ის კავკასიონი, რომელსაც ვაჟა და ყაზბეგი აღწერენ, როგორც მათი წინაპრების საცხოვრისს, სიყმაწვილის ზურმუხტისფერ ასპარეზს, ჯერ კიდევ იწარსებებს თავის პირველქმნილ სახეს — ჯერ არ ნაბილწულა არც ეს ღვთაებრივი სილამაზე, არც ეს რაინდული სული, არც ეს საუკუნოვანი ადათი...

თუ ადამიანს ყურთასმენა მთლად ჩანს მობილი არ აქვს „ცივილიზაციის“ ყველგანმშენიანი გუგუნით, ორი დიდი ქართველი მწერლის მონათხრობში რომინტიული სიყმაწვილის დღებზე, იგი გამოარჩევს იმ სათუთ სიმს, რომელიც ვაჟასა და ყაზბეგის მთელ შემოქმედებას გასდევს და, ამასთანავე, მათი პიროვნული იერის გაუნელებელ ხიბლს განაპირობებს...

მეხსიერების ფსკერიდან ამოკრეფილი მოგონებები, რომლებსაც ახლა თქვენც ეცნობით, გაბნეული მარგალიტებივით კრთიან XIX საუკუნის ქართული სინამდვილის ჭრელ ფარდაზე... მაგრამ აქ, ერთ წიგნში თავმოყრილი და მიყოლებით წაკითხულნი, ერთმანეთის გვერდგვედრ, ისინი ჩვენს წარმოსახვაში ერთ მშვენიერ სამკაულად ალიქმობიან და ალბათ ამიტომაც შევეყურებთ ამ წიგნს, ვითარც წინაპართა ძვირფას ნანდერძებს.

ლაქსიკონი

(შთაგონებული ამბროზ ბირსის „სახანის ლექსიკონით“)

ფირალი — გარეული გურული.
ქალწული — საზარბაზნე ხორცი.
ციტატა — მესხიერების პროთეზი.
ეპიგონი — ფაქტზე წასწრებული ქურდი.

რიმიქი — ქურდის აღიარებითი ჩვენება.

პოლიტიკა — დგომა უზარმაზარ სახელისუფლებო რიგში, სადაც სულმუდამ წყლებია.

ჯალათი — ლეგიტიმური მკვლეელი.

ქა — უპირატესად ხელისუფალთა ნიშანი, მაუნყებელი იმის, რომ პატივცემულს უკვე აცვია გიჟის ხალათი და იგი საზოგადოებისთვის საშიში აღარაა.

იუმორი — მოლიტიმების ფორმა.

იუბილე — სიბერესთან შერიგების უიმედო მცდელობა.

ფსევდონიმი — მაკიაჟის სახეობა.

ქვა — პირველი ცოლი. პირველი დედა. პირველი ბები. პირველი დიდედა.

აღამი — პირველი ქმარი. პირველი მამა. პირველი ბაბუა. პირველი პაპა.

ლალატი — არჩევანის სახეობა — სხვადასხვა წერტილიდან სხვადასხვანაირად მოჩანს.

თვითმკვლეელი — ტიპი, რომელიც სხვის საქმეში ერეება.

ჰარამხანა — გიგანტური ტორტი ერთი დიპტიკისთვის.

კრამატი — მატლები ჯინაზე...

მარათონელი — კაცი, რომელსაც ძუნძული შეუძლია, სირბილი — არა!

ლაღვივს ფოთოლი — ნუღბის ალტერნატივა.

ქაქი — პირველი მკვლეელი.

სიციცხლე — არსებობის ლიმიტი: ათეისტებისთვის — მოზომილი, მორწმუნეთათვის — უსაზღვრო.

სიჭპარული — ასაფრენი ზოლი.

ბედნიერება — ყველაფერი ის, რაც არ არის უბედურება.

ნაპოლეონი — გიჟების საყვარელი მეტსახელი.

ბვირბი — ცუდი შუამავალი: ხან — აერთებს ერთმანეთს, ხან — ამორებს.

ძირუბრიული ოპერაცია — სისხლიანი რემონტი.

ბავშვი — რევანშის იმედი.

წყალი — მოგზაური: ვინც არ უნდა დალიოს, დალეული — ბოლოს მაინც ოკეანეში ხვდება, იქედან... მოკლედ, მარშრუტი ცნობილია.

ფული — მანანალა, რომელიც მანამ იხეტილებს, სანამ ბოლოს სასახლეში არ მოხვდება.

ნობელი — უკეთილშობილესი დინამიტი, რომლის აფეთქებაც ერთდროულად ინვესს საყოველთაო ალტაცებასა და მითქმა-მოთქმას.

მაიშინი — ადამიანის როლზე დამტკიცებული მსახიობი, რომელსაც ტექსტი დაავიწყდა.

პროსპორა — დამატებითი თავსატეხი იმათთვის, ვინც ცხოვრების მთავარ თავსატეხს თავი ვერ გაართვა.

სახელ-ღირსება — უკვდავების პროთეზი.

რელიგია — მინანური სიცოცხლეზე: „გაგრძელება იქნება“.

ცირკი — ასპარეზი, სადაც ადამიანები მაიმუნობენ, მაიმუნები და მხეცები კი ცდილობენ, ადამიანურად მოიქცნენ.

ლაქსი — ჭურჭელი, რომელიც პოეზიას ინახავს. სამწუხაროდ, ამ ჭურჭელში ზოგჯერ ზინძური სითხეც ასხია.

ბილიოტინა — საინტერესო თავების კოლექცია.

სიკვდილი — სიცოცხლის ერთადერთი ალტერნატივა.

სუნამო — ბუზების, ბოზებისა და მამაკაცების მისატყუებელი ნაცადი საშუალება.

ბენეშური კოდი — დროში განელებული ქსეროქსი.

ცამბაზანი — ამბიციური ჯუჯა! — ერთი მე ვარ ტარიელი და მერე ეგენი — ცამბაზანი.

ბაბილონის გოდოლი — ნამდვილი ცათამბჯენის ჩაფლავებული პროექტი.

წყალი — ცნობილი მესხანძრე.


მინა — მესაფლავე მილიარდწლიანი სტაჟით.

ბინების რეკონსტრუქციის ნიშანი — რეკონსტრუქციის ყველაზე გრძელი სია, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ბინების რეკონსტრუქციის ნიშანს შეტანას.

პანთონი — ცნობილ პიროვნებათა

ტარიელ ჭანტურია

დინოზავრიდან დიზაინამდე



საბოლოო თავშესაფარი, სადაც უმრავლესობა ერთმანეთის დანახვისას მხრებს იჩეჩავს, ამას აქ რა უნდაო!

ჰეროსტრატე — შავი პიარის პიონერი, რაგინდრაგზით სახელის მოხვეჭის საფუძვლის ჩამყრელი, საყოველთაოდ გავრცელებული ამ ხერხის პირველი მერცხალი.

პასკვილანტი — საკუთარი სისუსტეებისა და ნაკლოვანებათა სხვისთვის გადაბრალების, სხვისთვის მინერის ოსტატი.

მისი — იგივე მესხი — ფეხბურთის მსოფლიო ვარსკვლავი.

პუშკინი — პოეტი, რომელიც მთელი ცხოვრება ეპაექრებოდა დანტეს და დამარცხდა დანტესთან.

ჯუჯა — ადამიანი ნოველის ჟანრში! — განგებამ სათქმელი მოკლედ თქვა — აფორისტულ-აფერისტულად.

აბორტი — შეწყვეტილი სიმღერა... (თუ გაბნეული საქაღალდე ვიპოვე, გაგრძელება იქნება)

ცუდი ინტერვიუ

(გაზეთი „ახალი თაობა“. 29.I.2006.)

„გალაკტიონის და ანა კალანდაძის გარდა პოეტს არავის დავარქმევდი“ — ასეა დასათაურებული ლიტერატორის, პროფესორ რევაზ თვარაძის საუბარი შორენა კოკორაშვილთან.

მას შემდეგ, რაც ინტერვიუს ასეთი სათაური მისცა, რევაზ თვარაძე, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ მას საკუთარი თავი მწერლად აღარ უნდა მოესვენებინა — მართლაც, თუკი გიორგი ლეონიძე პოეტი არაა, ან იგივე ტიციან ტაბიძე, ან იგივე პაოლო იაშვილი და ა.შ., თვარაძე რაღა მწერალი გამოდის! ჰოდა, ამ შემთხვევაში ეყო ეშმაკობა, — მე, გენაცვალე, ლიტერატორი ვარ, ოღონდ უბრალო კი არა — პროფესორი!

რამ აიძულა ლიტერატორი, პროფესორი რევაზ თვარაძე, ასეთი აბსურდი დაეხეთქებინა!

სხვათა შორის, ამ კითხვას მე დიდი ხნის წინ გავეცი პასუხი. იძულებული ვარ, გავიხსენო ერთი ადგილი გალაკტიონისადმი მიძღვნილი ჩემი ძველი, ოცდაათი წლის წინანდელი წერილიდან:

„ხელმოცარული კაცი მოკლებულია უნარს, აღიაროს მეორე ადამიანი. მაგრამ თუკი ეს აუცილებელი გახდა, მაშინ მას ათის აღიარებას ისევე ერთის აღიარება ურჩევნია: ბატონი ბრძანდებითა, გვყავს გალაკტიონი! მაგრამ მხოლოდ იგი გვყავს და სხვა არავინ! — აი, მისი საყვარელი ფრაზა! აღიარო მხოლოდ გალაკტიონი — ეს ნიშნავს, დაამცირო თავად გალაკტიონი და დააკინო მისი მნიშვნელობა. მართლ ერთი ნონა გაფრინდაშვილის არსებობამ ათობით საჭადრაკო ტალანტის მოსვლას შეუწყო ხელი, ათობით მაღალნიჭიერი ოსტატი შესძინა საქართველოს. ნუთუ მართლა ფიქრობს ვინმე, რომ გალა-

კტიონის არსებობის ფაქტს ნაკლები ზეგავლენის მოხდენა შეეძლო პოეზიაზე...“

გალაკტიონისა და ანა კალანდაძის გარდა პოეტს არავის დავარქმევდი, ისე წერს რევაზ თვარაძე, თითქოს ჩემი აზრის სისწორის დადასტურება გადაწყვიტოს! კი, ანა კალანდაძე მიუმატებია, მაგრამ ამით მხოლოდ ის იცვლება, რომ მამაკაც პოეტებთან ერთად ახლა პოეტი ქალბატონებიც მოისროლა სანაგვეზე!

იგივე მარი აბრამიშვილი, იგივე თამარ ერისთავი, იგივე თამარ ჯავახიშვილი, იგივე ლია სტურუა, იგივე იზა ორჯონიკიძე, იგივე რუსუდან კაიშაური, იგივე მაია სარიშვილი, ნინო დარბაისელი, ელა გორჩაშვილი, გურჯა კვარაცხელია, მანანა ჩიტიშვილი, მედეა კახიძე, თეონა ბექიშვილი, ლელა სამნიაშვილი, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ქვენიშვილი, იგივე... რომელი ერთი „არაპოეტი“ პოეტი ქალბატონი ჩამოვთვლო...

ძვირფასმა რევაზ თვარაძემ, ჩვენმა მეგობარმა რეზიმ ხაზი გადაუსვა სამოციანელთა — ცისკრელთა თაობას, იმ ცისკრელებს, რომელთა ლიტერატურულ თავშესაფარში — ჟურნალ „ცისკარში“ წლების მანძილზე მუშაობდა პასუხისმგებელ მდივანად!

ძვირფასმა რეზიმ სამოციანელებს სამოცდაათიანელთა მაღალნიჭიერი თაობაც უნდა მიაყოლა!

გალაკტიონისა და ანა კალანდაძის გარდა პოეტს არავის დავარქმევდი, ამას სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, არავითარ შემთხვევაში არ დავწერდი, თუ, ვთქვათ, ჩემი შვილი პოეტური კრებულების ავტორი იქნებოდა და თავის თაობაში კარგ და იმედისმომცემ პოეტად იქნებოდა მიჩნეული. ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვატყენდი გულს იმით, რომ ისიც არაპოეტებს მივათვალე და ამით კიდევ ერთხელ მივაჭოვე...

ძვირფასმა რევაზმა თვით ირაკლი აბაშიძესაც კი არ დაარქვა პოეტი — კაცს, რომლის წყალობითაც იგი თავის დროზე საქართველოს კომპარტიის ცეკას ინსტრუქტორი გახდა!

რა საჭირო იყო პოეტების სუფრაზე კიდევ ერთი ჭიანი ვაშლის გაგორება წარწერით: „მას, ვინც ყველაზე ნიჭიერია!“

არის ეჭვი, რომ ესაა ლიტერატორის, პროფესორ რევაზ თვარაძის გულუბრყვილო მცდელობა — შავი პიარის წყალობით მაინც მიიქციოს საზოგადოების ყურადღება.

მეჭვება, ამ საქმიდან რამე გამოვიდეს! სამი წლის წინანდელ ჩანაწერს ახლა ვბეჭდავ. დღეს აღარც რეზია ცოცხალი, აღარც მისი კარგი შვილი — ზაზა!

დარწმუნებული ვარ, მათი გზები იქაც გაიყოფა... მიმძიმდა ამ რეპლიკის დაბეჭდვა, მაგრამ არის სიმართლე, რომელიც უნდა უსათუოდ ითქვას!

თუ რევაზ თვარაძის უმცროსი ვაჟი, ბრწყინვალე მეცნიერი, დიდად ერუდირე-

ბული მკვლევარი სანდრო თვარაძე ჩათვლის, რომ ის, რაც ვთქვი, შეცდომაა, უყრყმანოდ ნავიღებ უკან ჩემს სიტყვას...

როცა ლიტერატურული მათია („ნიუ-იორკერი“, „სატერდეი რევიუ“, „ნიუ-იორკ თაიმს ბუკ რევიუ“, „თაიმს“ რეცენზენტები და მეტნაკლებად ზრდილი გამოცემელი) მეორეთანრიგოსან მწერალს პირველთანრიგოსნის ადგილზე ანიშნაურებენ, ეს ყოველთვის საშიშია.

ნორმან მილიერი

საქართველოზე, თბილისზე, ჩვენს გაზეთებზე, ჩვენს ტელეარხებსა და ჩვენს ვაიკრიტიკოსებზე გეგონება დაწერილი გამოჩენილი ამერიკელი მწერლისა და სახელოვანი ჟურნალისტის ნორმან მილიერი ეს სიტყვები!

1981

სიკვდილი არ იქნება, არ იქნება კალადა!

კაი ოცი წელია, წერს ცნობილი ტანდემი ჩემზე პასკვილებს. წერენ ხან — ერთად, ხან — ცალცალკე! ერთი კარგა მოზრდილი წიგნი უნდა შეადგინოს წესით მათი თავაუღებელი გარჯის ნაყოფმა — უნდა ვალიართ: დამპალმა ნაყოფმა!

რას გადამეკიდნენ-მეთქი, მიფიქრია და მითქვამს!

რას გადაეკიდნენო, უფიქრიათ და უთქვამთ სხვებს!

რას გადაეკიდეთო, იქნებ მათაც ეფიქროთ!

მართლაცდა, არ არის საინტერესო? და აი, უცნობი მირეკავს, ფსიქოლოგი, ფსიქონალიტიკით გატაცებული მეცნიერი! გამეცნო, მერე კი, ალბათ ლიმიტით, სწორედ ეს შეკითხვა მომცა, ნუთუ არ გაინტერესებთ, რას გადაგეკიდნენო!

როგორ არ მაინტერესებს-მეთქი! რას გადაგეკიდნენ და, უყვარხართო! გიჟდებიან თქვენზეო, თქვენ მათი იდეალი ხართ ნამდვილი, თქვენში ხედავენ ხორცშესხმულს და განხორციელებულს ყველაფერს, რაზეც უფიქრიათ და უოცნებიათ, მაგრამ ამის მისაკუთრება, ამის მითვისება, ამის მოპარვა ან მიტაცება შეუძლებელია, და თქვენდამი ის სიყვარული აღსავსეა შურისძიების გრძნობით და, შეიძლება ითქვას, იმავე მასშტაბის სიძულვილით, რა სიყვარულითაც ისინი მთელი ცხოვრება გაკვირდებიან, გითვალთვალებენ, გსწავლობენ, ტყუებიან და... იტანჯებიანო! ჩემს სიცილზე ბატონი ფსიქონალიტიკოსი. რომლის გვარსაც მისივე თხოვნით ჯერჯერობით არ ვასახელებ — იგი ამ თემაზე, როგორც ბრძანა, რაღაცის დაწერას აპირებს — ერთხანს დუმდა, მერე კი მკრამილად ისა თქვა — გარდა სიცილისა, თუ ალტრუიზმისა და ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამოვალთ, ტირილიც შეიძლებაო!

აი, ახლა კი ნამდვილად გავგიჟდები-მეთქი, ნამდვილად დავუსტვენ-მეთქი! ესე იგი, ვუყვარხარ, ხომ-მეთქი! ისევე ამიტყდა სიცილი, მაგრამ გზადაგზა ვხვდებოდი, რომ მისი არგუმენტები იმაზე სერიოზული იყო, ვინმე აქამდე მე წარმომეგინა! კი მაგრამო, მეუბნება, რომ გინერს, მაგალითად, ერთი მათგანი, შენი ყველაფერი ნაკითხული მაქვს და შენს ყველა ნაწერს ზედმიწევნით კარგად ვიცნობო — რომ ნაიკითხა, ვთქვათ, თქვენს ორი ან სამი წიგნი და დარწმუნდა, ხართ უნიჭო, უჭკუო, მოსაწყენი, უინტერესო და ასე შემდეგ, რაღას აგრძელებს ასე ბეჯითად თქვენს კითხვას, ნაიკითხოს ეგერ მრელაშვილის რობაივით, რას გადაგეკიდო! მაგრამ საქმეც ის არის სწორედ, რომ მისი პასკვილები იმ უიღბლო სიყვარულის შესანიღბავად იწერება, მათი ნამდვილი გულისთქმის დამალვაა მიზანიო!

ახლა უკვე ერთად და შეთანხმებულად ვიცინობთ ორივენი, როგორც, ვთქვათ, ჩემი პასკვილანტები, და მე, ფსიქონალიტიკოსის ახლადყვანილი მოწაფე, ხუმრობით უკვე თვითონ ვაგრძელებდი თემას...

მართლაც, ლანძღავს აგერ ქალი გამუდმებით მაინცა და მაინც ერთ კაცს, რა საშინელებებს არ ყვება მის საქციელზე, თათხავს, დანახვა არ უნდა მისი, მზადაა, სიფათი ცემით ამოუნაყოს, სიამოვნებით ჩაუყრიდა ჩაიში, ამის საშუალება რომ ეძლეოდას, ცინამუხავს, არადა... უყვარს!

რას გაიგებ, რა ხდება არაცნობიერის ოკეანეში, რა განძი იმალება მის ფსკერზე დაძირული გემების ტრიუმფში, რა საიდ-

უმლოს იმარხავს ის რამდენიმე მილიარდ ნირონი, არაცნობიერს რომ ეკუთვნის მისდანილად! ეს ფროიდები და იუნგები ციდან კი არ ჩამოცვენილან, ყოველი ჩვენგანის ფიქრსა და ეჭვს ეყრდნობა მათი, ერთი შეხედვით დაუჯერებელი, ზღაპრული დასკვნა და სწავლება! ჰოდა, მეც დავეჯერო ამ ჩემს მკითხველს, ამ უცნაურ სწავლელს? მართლა შეიძლება, ჩემს პასკვილანტებს ჩემი ნაცოდვილარისადმი — კარგი, სიყვარულს ნუ ვიტყვით — რაღაც სიმპათია გააჩნდეს?

სასწაულია პირდაპირ!
ერთი სული მაქვს, რა გაგრძელება ექნება ჩემი პასკვილანტების შემოქმედებას! თუ ამ ტემპებით გააგრძელეს ჩემი ლამძვან-გინება, მაშინ ისლა დამრჩენია ვიფიქრო, რომ ჩემი კეთილისმყოფელი ფსიქოანალიტიკოსი მართალია და პასკვილანტების უნუგეშო სიყვარული ჩემდამი — მართლაც უსაზღვროა! ან იქნებ ძვირფასი მეცნიერი თანაგრძნობისა და თანაღმობის ნიშნად მესაუბრა!

რას გაიგებ ამ ცხოვრებისას, ან შემოქმედისას!
რას ვიზამთ! იყოს ყველაფერი ისე, როგორც არის! ტანდემმაც წეროს პასკვილები! თუმცა მე არ ვკითხულობ, მკითხველი მაგათ უჩემოდაც ბევრი ყოლიათ! ამაში დამარწმუნა ცნობილი ფსიქოლოგის სატელეფონო საუბარმა!
მოუთმენლად ველი მის წერილს, თუ, რა თქმა უნდა, არ გადაიფიქრა!

MEMENTO...

გახსოვდეს — არა, ამჯერად სიკვდილზე არაა საუბარი — გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი, და გახსოვდეს ისიც, ვინ დანერა „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!“ მაგრამ, იმისათვის, რომ გახსოვდეს, ვინ დანერა „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“, საკმარისი არაა ეს ერთი მტრიქონი („გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“), ამისთვის აუცილებელია, ადამიანს, რომელმაც დანერა ეს ერთი ასე თუ ისე ღირებული სტრიქონი („გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“), დანეროლი ჰქონდეს ასე თუ ისე ღირებულ და მნიშვნელოვანი, საინტერესო, ლამაზი, ბრძნული სხვა სტრიქონებიც, მაგრამ რაკი იმ ადამიანს, გარდა ამ ერთი სტრიქონისა („გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“), სხვა არაფერი აქვს დანეროლი საინტერესო, იგი განწირულია დაღვინებული სისთვის!

აი, ასე გონივრულადაა მოწყობილი ადამიანის ტვინი. იგი იმასხორავს ბევრ ვინმესა და ბევრ რაქებს, მაგრამ საბოლოოდ იგი მაინც აკეთებს არჩევანს, და ყველაფერს ერთნაირად როდი იმასხორავს. ასე მაგალითად, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გოგებაშვილს იმასხორავს, „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“ ავტორს კი ივიწყებს. ფუი, როგორ დამაინყდაო, ნუხს ზოგჯერ ადამიანი, და ნუხს სულ ტყუილუბრალოდ — მან სწორად დაივიწყა ის, რაც და ვინც დაივიწყა — მისმა ტვინმა, მისმა გონებამ, მისმა მესხიერებამ სწორად გააკეთა არჩევანი! თორემ კომპიუტერს რა ენადვლება, კომპიუტერს სულ ფეხებზე კიდა არჩევანის საქმე, და ისიც იმასხორავს უკლებლივ ყველასა და ყველაფერს! ნახეთ აგერ, როგორაა გამოტენილი ინტერნეტი მილიონობით ბრიყვის მიერ შეთხზული სისულელებით, და ინტერნეტსაც ახსოვს.... და ეს რომ ასე იყოს, ამაზე ზრუნავენ სწორედ ის შემთხვევითი ადამიანები, რომლებიც ძალას ატანენ თავსაც და სხვასაც, სცადონ იმის შენახვა და გადარჩენა, რაც ამ პატივს არ იმსახურებს — უნიჭო ლექსი, უაზრო მოთხრობა, ნახატი, სიმღერა, ვითომ სიმფონია, ვითომ კანტატა, ვითომ ისტორიული ფაქტი...

არაფერი, საბოლოოდ, ამ თამაშიდან არ გამოვა — მოვა ვილაც ჭკვიანი, და ის ვებ-გვერდებიც გაქრება მარშანდელი თოვლივით, და კაცობრიობის მესხიერებას შემორჩება მხოლოდ ის, რაც ამის ღირსია...

მწერლობა, ცხადია, გამონაკლისი ვერ იქნება. გახსოვდეს ეს, და გახსოვდეს ისიც, რომ არაფერი აუცილებელი არაა, გახსოვდეს ინფანტილური „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!“

ჰო, მართლა, გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი, მაგრამ გახსოვდეს ისიც, რომ ხარ პასკვილანტი — ნაკითხი უნიჭო, დავინყებისტვის განწირული ერთი მედროვე, მდარე ლიტერატორი, და იმაზე მეტი უფლება არ უნდა მისცე თავს, რაც განგებამ შენთვის გაიმეტა!

არ მოგაწონათ? — ან ჩან...

„ცისკრის“ 1995 წლის მეხუთე-მეექვსე გაერთიანებულ წიგნში დაბეჭდილია დებიუტანტი პოეტის მსმამ ნოზაძის პოემა, ლექსი თუ ლექსების ციკლი — გრძელი რაღაც. თუ ესმა ნოზაძის სტილს გავიმეორებდი, შემძლო მეთქვა, რომ მისი ეს ლექსი არის გრძელი — იმასავით. ასე უბოდიშოა ამ ქალბატონის სტილი. იგი ბრძანებს, რომ ესა და ეს ქალბატონი გააუპატიურეს მეტად ორიგინალურად! მაინც, რაა ეს ორიგინალური გაუპატიურება, ამას აღარ ვანმარტავს. ზემო ხართულში გადაინაცვლეს? მაგრამ ამაში ხომ ახალი არაფერია! მერე იმ გამაუპატიურებლის ცოლიც გააუპატიურეს და ყველა ნახვრეტში დაფნები ჩაჩურთესო! ეს ყველაფერი ალბათ იმისთვის სჭირდება ქალბატონ პოეტს, რომ ომის სამინელებებში დაგვარწმუნოს არიფი მკითხველები. ჩვენც მადლობის მეტი რა გვეთქმის. ერთგან ასეთ რამეს ბრძანებს: ზოგერთი ქართველი მანდილოსნის პატრიოტიზმი ამას არ სცილდება — ჯობს ისევე ქართველმა მომტ...სო! მოკლედ, ამ სიტყვას იგი სრულად არ წერს, საიდანაც უნდა დავასკვნათ, რომ კდემამოსილების რაღაც ნამცეცები ჯერ კიდევ შემორჩენია. სამაგიეროდ, ახლა მე გაგახსენებთ დათო ბარბაქაძის ოპუსს, რომელიც მისსავე ჟურნალ „პოლილოგში“ დაიბეჭდა და სადაც რამდენიმე გვერდზე გრძელდება, თუ როგორ მოტ... ადამმა ევა, გიორგიმ — თეონა, როგორ იტ...ს კეთილად, მერე როგორ მოტ... ბიძინამ შაქრო და ასე შემდეგ. ჩვენი ავანგარდისტული, უკეთ — ფსევდოავანგარდისტული პოეზია სასევა მსგავსი ტექსტებით, და ესაა ერთადერთი რამ, რითაც იგი ნამდვილად გამოირჩევა უძველესი და უდიდესი ქართული პოეზიის ოკეანეში. ეპატაჟი ჩვენი ფსევდომოდერნისტების ლამის ერთადერთი იარაღია. არის თუ არა ეს ამბები ახალი! ლიტერატურის გრძელი ისტორიის მანძილზე არაერთხელ შექმნილა ამგვარი ლექსები, მოთხრობები, რომანები. ამის თაობაზე კარგად იყვნენ ინფორმირებულნი ტოლსტოიც, სტენდალიც, ჰენრი ჯეიმსიც, ჩეხოვიც, ილიაც, აკაკიც, ვაჟაც... არც ლორენსი, ჰენრი მილერი, მიშელ უელბეკი ან ბეგბედერია უცხო ხილი დღევანდელი ქართველი მკითხველისათვის, მაგრამ ეგონოს პოეტს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ფონს გასვლა — გაუგებრობაზე აგებული. ისევე ესმა ნოზაძეს დავუბრუნდეთ ნამით. ქალმა რომ დედიშობილა კაცს შეხედოს, უპირველეს ყოვლისა დაინახავს არა თვალებს მისას, ან ყურებს, ან ცხვირს, ან ქოჩორს, არამედ... გასაგებია!

ასე რომ, იმავე ომში, თუ მაინცა და მაინც ომის საშინელების ჩვენება გინდა, ჯერ პენისი კი არ უნდა დაინახო, არამედ სხვა რაღაც, რაც უფრო ღრმად და სრულად გადმოსცემს იმ ომის შემადრწმუნებელსავე! ესეც არ იყოს, ბავშვის ასოო, რომ წერს, აქ უკვე ყოველგვარი მწერლობა თავდება — ბავშვს აქვს არა ასო, არამედ კუჭ-შეშაბი, და პოეტ ქალს რომ ეს ასე დაენერა, იგი ნამდვილად განაწყობდა მკითხველს თანაგრძნობისა და თანაღმობისთვის, მაგრამ მან ეს, უბრალოდ, არ იცის — მან იცის, როგორ შეაცბუნოს, გააკვიროს, ან თუნდაც აღაშფოთოს გამოუცდელი მკითხველი! არადა, მწერლობაა ძნელი, ნამდვილი მწერლობა, თორემ ეპატაჟის ნაირსახეობები კარგადაა ცნობილი.

რა მრჯის ასეთი მკაცრი საუბრისთვის! მხოლოდ ის, რომ ესმა ნოზაძეში დავინახე ნამდვილად ნიჭიერი ადამიანი, მეტიც, დიდად ნიჭიერი ქალი, და არ მინდა, თავისი ეს ნაღდი ნიჭი ამაოდ ფლანგოს! — რაც უფრო ადრე მიიქცევა ჭკმმარტი მწერლობისკენ, მით უკეთესი მისთვისაც და მწერლობისთვისაც.

ერთი შეკითხვა სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს შ. გორგოძის

ბატონო მინისტრო! შეკითხვით, რომელსაც დღეს თქვენ გისვამთ, უკვე მერამდენედ მიმართეს რუსთაველის საზოგადოებას (ამასთან შემკითხველნი ამჯობინებენ დარჩენენ ანონიმად). როგორც ამ შეკითხვებიდან ირკვევა, ხალხში გავრცელებულა ცნობა იმის თაობაზე, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1989 წლის 28 აპრილის 101 ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობის სანიშნო შესრულებისათვის მადლობა გამოცხადდა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა შინაგან საქმეთა სამსახურის ჯარების შემდეგი ნაწილები:

- 5405
- 5453
- 5431
- 5420
- 5436
- 3219

როგორც გვარწმუნებენ, ჩამოთვლილი ექვსი სამხედრო ნაწილიდან ადგილობრივი მხოლოდ ერთია.

იქნებ გვითხრათ, მონაწილეობდნენ თუ არა აღნიშნული ნაწილები 9 აპრილს ჩატარებულ აქციაში, და, საერთოდ, რამდენად შეეფერება სიმართლეს გავრცელებული ცნობა — ინფორმაცია იგი თუ არაკეთილსინდისიერი მიზნით შეთხზული დეზინფორმაცია!

პოსტსკრიპტუმ

ეს წერილი გაზეთ „მამულის“ რედაქციაში 1990 წლის დასაწყისში მოიტანა ერთმა მაღალჩინოსანმა, რომელიც დღეს ცოცხალი აღარაა. როგორც ცნობილია, 9 აპრილის იმ ტრაგიკულ დღეებში ქართული მილიცია ხალხის გვერდით დადგა და მამულიშვილობის მგალითი უჩვენა საზოგადოებას. ამიტომ გადავწყვიტე, წერილი მილიციის გენერლისთვის, დემურ მიქაძისთვის მეჩვენებინა და რჩევაც მეკითხა, ხომ არ გამოიწვევდა ამგვარი პუბლიკაცია იმ მილიციელთა წყენას, მეტიც, გულისწყრომასა და აღშფოთებას, რომელთაც საკუთარი სიცოცხლისა და სამსახურის დაკარგვის რისკის ფასად უპატირონეს სიკვდილისთვის გამეტებულ მომიტინგეებს! დემურმა თავის შეკავება გვირჩია — ორი-სამი ჩინოვნიკის შეცდომას ან თუნდაც უსინდისობას რატომ უნდა შეენიროს იმ ადამიანთა ღირსება, ვინც თავდადების ნილ ახლა უნდა წყველა-კრულვა დაიმსახუროსო!

ეს წერილიც დევეს აგერ უჯრაში ოცი წელი, მაგრამ ეს იმგვარი ინფორმაციაა, უჯრაში რომ ვერ ისვენებს. მართალია ეს ყველაფერი? ტყუილია? ვებეჭდავ. ასეთები დაბეჭდილა?

მწერალი ქებაი

თომას მანის როლის შემსრულებელი, მსახიობი მუელერ-შტალი:

„წარმოვადგინე, თითქოს ორივენი ზღვაში ჩაცვივდნენ: ჰაინრიხი ფსკერისკენ წავიდა, თომასმა ამოყვინდა. თომასი კანარჩა, ჰაინრიხი დაიხრჩო“. ასეც იყო სინამდვილეში. ამერიკაში დიდი ჰაინრიხ მანის მზე ჩაესვენა. პოლიფუდში, მართალია, ბიურო ჰქონდა და მდივანი ჰყავდა, მაგრამ სამუშაოს არავინ აძლევდა. ინგლისური კარგად ვერ ისწავლა, იჯდა და რომანებს წერდა, რომელთაც არავინ კითხულობდა.

„ძმების უკეთ გაცნობაში ხატვა დამეხმარა. ეტყობა, ჰაინრიხი კარგად გრძობდა, ბედი რომ არ სწყალობდა. სამაგიეროდ, სწყალობდა თომასს: იგი ყოველთვის ზემოთ იყო, ყოველთვის ოლიმპოზე იდგა“ — ამბობს მუელერ-შტალი („მანების დანყველილი ოჯახი“).

ეს, რაც შეეხება ორ გერმანელ ძმას! საინტერესო იქნებოდა ალბათ ქართველი მწერალი ძმების, თუნდაც იმავე რაზიკაშვილების ცხოვრების ამბები, მოთხრობილი ისევე გამჭვირვალედ და მიკიბულ-მოკიბულის გარეშე, როგორც ამას მუელერ-შტალი აკეთებს!

ჩვენთან ეს ალბათ გაჭირდება. 1994

წერილი თამაზ ჩხენკელს

ძმაო თამაზ! მეოთხედი საუკუნის წინ, შენი დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, გახსოვს, ვიცი, აპოლოგია დავწერე შენზე — „მარტოხელა მოგზაური!“ გულწრფელად გამოგიტყდები, მე იმ წერილის დასაწერად აღმძრა არა პოეტმა თამაზ ჩხენკელმა, არამედ თამაზ ჩხენკელმა — ჰარმონიულმა პიროვნებამ, რომელიც თავის თავში აერთიანებს პოეტსაც, ისტორიკოსსაც, ლიტერატურისმცოდნესაც, მთარგმნელსაც, მოქალაქესაც, კულტუროლოგსაც... შენი საუბარი ვილენ მარდალეიშვილთან, რამაც მე სათქმელი და საფიქრალი გამიჩინა, შენთვის სახელმწიფო პრემიის მონიჭებასთან დაკავშირებით შემდგარა! იქნებ არც მეკუთვნოდა პრემია, ამ საეჭვო თავმდაბლობას ამოფარებული, ისეთ განცხადებებს აკეთებ, მართალი გითხრა, არ მოველოდი შენგან. ამჯერად მარტო შენს ერთ ფრაზას შეეხები. დანარჩენი სხვა დროს იყოს.

„გალაკტიონის სამშობლოში რაღა უნდა დანერო! მეოცე საუკუნის გამორჩენილი ქართველი პოეტები ერთად რომ შეკრა, მუხლებამდეც ვერ მისწვდებიან გალაკტიონს. მან დაიწყო და დაამთავრა გასული საუკუნე. პოეტების მთელი ლაშქარი მისი ეპიგონია...“

აი, ამ ფრაზის გამო უნდა მოგწერო ეს წერილი. თამაზ, ძვირფასო, მეოცე საუკუნის გამორჩენილი ქართველი პოეტები არავის შესაკრავი არაა. ამ ფრაზის თქმის მორალური უფლება არც შენა გაქვს იმ მართივი მიზეზების გამო, რომ პირადად შენ მეოცე საუკუნის გამორჩენილ ქართველ პოეტებში არ იგულისხმები! შენ ნაღდი პოეტი ხარ, რომ იტყვიან, თხემით ტერფამდე პოეტი, მაგრამ შენი პოეტობა შენი მრავალმხრივი და საინტერესო მოღვაწეობის ერთ-ერთი იპოსტასია, და მნიშვნელობით დიდად ჩამორჩება შენი საქმიანობის სხვა სფეროებს. შენი განაჩენი რომ მთლად ეთიკური ვერაა, ამ თემაზე საუბარს პირადად მე მიილოვებს ჩემი ერთი ძველი წერილი, რომელშიაც ვეხები ერთი კატეგორიის ადამიანებს. მოვიტან ნაწყვეტს ხსენებული წერილიდან:

„ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი, საკუთარი შტამპით“.

ამ შტამპით პოეზიის აურაცხელი ოქროსა ახლა ბრუნვაში, და მამინვე, როგორც კი გალაკტიონის ოქროს სხვის ჯიბეში მოკრავენ თვალს, მავანნი და მავანნი იწყებენ მტკიცებას, რომ არ არსებობს სხვა ფული! მაგრამ ამ პირს უშთაპრესად ხელმოცარული ადამიანები აპრესალა ბენ. ხელმოცარული კაცი მოკლებულია უნარს, აღიაროს მეორე ადამიანი. მაგრამ თუკი ეს აუცილებელი გახდება, მაშინ მას ათის აღიარებას ისევე ერთი აღიარება ურჩევნია: ბატონი ბრძანდებით, გვყავს გალაკტიონი! მაგრამ მხოლოდ იგი გვყავს და სხვა არავინ! — აი, მისი საყვარელი ფრაზა!

აღიარო მხოლოდ გალაკტიონი — ეს ნიშნავს, დაამცირო თავად გალაკტიონი და დააკნინო მისი მნიშვნელობა“.

ბარემ კიდევ ორიოდ ფრაზაც იმ ჩემი ძველი წერილიდან:

„გალაკტიონი აკაკის მძლავრ მხრებს დაეყრდნო და ისე აინია მალა, რათა უფრო შორს გადაეხედა! ხოლო რა დაინახა მან ისეთი, რაც აკაკის ყოვლისმხილველ მზერასაც გამოეჩინოდა — ეს საგანგებო კვლევის საგანია.“

...უფრო შორს რომ გადაეხედა, ჩემი თაობა გალაკტიონის ღონიერ მხრებს დაეყრდნო და ისე აინია მალა. ხოლო რა დაინახა მან ისეთი, რაც თვით გალაკტიონის ყოვლისმხილველ თვალსაც კი შეუმჩნეველი დარჩენოდა — ეს საგანგებო კვლევის საგანია და ექსპრომტად ამის გამო საუბარი გამართლებული არ იქნებოდა“.

როგორ შეიძლება, თამაზ ჩხენკელი ლიტერატურული აუტსაიდერების ენაზე ალაპარაკდეს და გამოაგნებელი განცხადებები აკეთოს. მეღიმება, დიდი გალაკტიონის მარცხენა მუხლთან დაჩოქილ დიდ გოგლა ლეონიდეს რომ წარმოვიდგენ — „ყოჩაღის პაემანისა“ და „ნიონწმინდის ლამის“ ავტორს, მარჯვენა მუხლთან კი მის სისხლისმიერ და პოეზიისმიერ ძმას — ტიცინანს...


ომს მარტო გენერლები არ იგებენ. ომს ჯარისკაცები იგებენ. აქეთ ათი საუკეთესო სარდალია ყველა დროის — ნაბუქოდონოსორი, რამზეს მეორე, ქსერქსე, მაკედონელი, ჰანიბალი, პომპეუსი, კეისარი, ნაპოლეონი, სუვოროვი, სტალინი! იქით — იმგვარადვე შეიარაღებული ჯარისკაცების ასეული! როგორ გგონია, რა ფეხებს მოჭამენ ასეულს ბრძენი და უშიშარი მხედართმთავრები!

დიდი ქართული პოეზია დიდი ქართველი ხალხის შექმნილია, წვლილი მეტნაკლებია, ცხადია, მაგრამ არც ლევეტებით შეიძლება არსებობა, არც საკუთარ პოეტურ ამბიციებზე მორგებული მოდელებით.

მე შემიძლია, შევადგინო XX საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგია გალაკტიონის გარეშე, მის გვერდით კი დავოცო გალაკტიონის „რჩეული!“ არ დაიჯერო, ჩემო თამაზ, იმ ანთოლოგიას მუხლებამდე მიწვდეს დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული!“

მე მაინც ვიტყვებ იმედს, რომ ფრაზები, რომელშიც პოეზიის მოყვარულები ჩემსავით და ჩემზე მეტადაც გააღიზიანა, არის საგაზეთო ინტერვიუებისთვის დამახასიათებელი ზერელობა.

ძმურად — ტარიელ ჭანტურია



გიგი სულაკაური

ძალეები ხეებს ისევ ისე,
ფეხის აწევით ესალმებიან...
ეს ყორანი კი ველარ პოულობს
თავის მადათოვს...
და მეც კეფაზე ლულასავით დადებულ
მთვარეს,
მინდა ვთხოვო, — დასჯა გადადოს...

დღეებო,
ზღვებში ჩაკარგული
ოქროს ბეჭდებო,
შტორმების მერე ტყვიისფერ და
ცარიელ სანაპიროზე
ზღვისპირელი ბიჭებივით
დაგეძებთ და დავეხებები,
ოღონდ მათგან განსხვავებით
ველარ გპოულობთ —
ზღვა არ გაბრუნებთ და
ვნვალობ და მენატრებით.

როგორც სიგიჟის ზღვარზე ცხოვრება
მიდის მაინც და ებლაუჭები...
არ დაგკლებია არც გადაჩეხვა,
არც კლანჭები და არც კაუჭები.
კარგია მაინც? თავისას ამბობს?
ამიტომ გიყვარს მასში დინება?
მაშინ გაყვი, გაინავარდე,
ახლა შენ თვითონ სახიფათო ხარ —
გერიდებიან ქალები და დიდი დანები.

ცამდე არც ისე შორი ყოფილა,
მშვენიერო უსაქმურობავ,
შენშია ყველა სიგიჟის და
ოცნების გემო —
გამოცდილის, გამოუცდელის...
იქ მოძრაობენ მკაცრი მამრები,
საბედისწერო დედაკაცები და
ყველა ბავშვიც,
დღემდე ნანახი თუ არნახი...
(საგნებს ხომ ველარ ავუფედი,
ვერ შევეგუე მატერიის ცვალებადობას, —
ვერ მოვერიე მათში მცხოვრებ,
გათავებებულ სილამაზეებს, —
ორლესულ ხანჯლებს, —
მკვდრებიც ისევე იკბინებიან,
როგორც ცოცხლები!)
მომეცი ძალა,
ყოვლისშემძლე უსაქმურობავ,
აივნიდან სივრცეებში გადავაბიჯო,
ესლა დამრჩა სანახავი და სანუგეშო,
სხვა ყველაფერი, მგონი უკვე
გადაყრილი მაქვს...

ნაფოტის ცურვა
ათოვდა ბალებს
ზამთრისას და შემოდგომისას და
მტკვარი თბილისს
ნაფოტით მიაქანებდა ქვევით
ზღვისაკენ,
უცხო ზღვისაკენ...
მეც იქ ვიყავი —
მოქანავე ქალაქში-სახლში და
ამ საკანში გამოკეტილი
(დღისით, ღამითაც,
გაუთავებლად)
მარტოდმარტო ვეშვებოდი
დიდი ზღვისაკენ,

უცხო ზღვისაკენ
გარედან ამას
ვინმე ცურვას დაარქმევდა,
ხოლო ჩემთვის
უბრალოდ ერქვა, —
მიახლოება მონატრებასთან.
გუმანით უკვე ვგრძნობდი კიდეც
უცხო წყლებს და
უთოვლო დროს და
უცნობ ბალებს და
გაუფალ ლაბირინთში ჩასაფრებულ,
მომლოდინე,
უკვდავ მინოტავრს...

ნაირი დედას
რა შემცვლის, დედა,
რას წუხხარ ან რის გემინია,
ახლა მე ბევრად უფრო სულელი ვარ,
ვიდრე მრავალი წლის წინ ვიყავი,
ამას გეტყვის ჩემი არსების
ნებისმიერი ხაზიც, ნაოჭიც და
ორნამენტიც...
იყო დრო, როცა ორი თვალით
ვუყურებდი ირგვლივ ყველაფერს,
ალარც ერთი არ შემარჩინა
წლების ბოროტმა და იდუმალმა
არითმეტიკამ,
ორივე მაინც არ წაელო
ამ ქურდბაცაცა,
ცბიერსა და ვერაგ მტაცებელს,
ერთით ხომ მაინც დავინახავდი
ჩემ წინ მყოფ საგნებს,
სანთლებს, დანებს, — ადამიანებს...
თქვი, ვის ჭირდება ტვინი ან გული
ან მე რად მინდა, რისთვის მამზადებს,
რომ გამგზავნოს გარკვეული
მიმართულებით,
იქით, საითაც მათ გარეშეც
გავიკვლეე გზას, გზაში არსად
დავიკარგები?!
ირგვლივ ნისლია ჩამომდგარი,
(ჩემ სულელსა და დაბრმავებულ თავს
ნისლიც უხდება!)
რომ დამავინყოს ყველაფერი,
ველარ ვიპოვო ჩემ სიზმრებში
ტყვიასავით ნამყოფი ხალხი,
ბიჭები და...
რომ შვილები გვეკარგებიან თვეობით,
წლობით...
რომ ყველაფერი, —
დალუპული ადამიანის შიში, დუმილი,
მარტოობით ტკობა, — ეს მაზოხიზმი,
ყოვლად უღირსი ფანტაზიები,
გაჩრილია ნახმარ დღეებში...
მეტი რაღა ჩამოვთვალო და,
ერთი, მაგის...
ყოველივე მაინც ნისლია,
ჩემს დაკუთხულ,
გათილლ ჭიქაში ჩამოსხმული,
გამაგრებული...
ისედაც ბრმამ რა ვიხილო
ნისლის მკვრივი, დაუძლეველი
სიღრმეებიდან?!
და, ჩვენში დარჩეს,
არცა მჭირდება...
ახლა იმდენად სულელი ვარ,
რომ დედა, უკვე აღარ მაშინებს
არც სიკვდილის, უკვდავების და
არც სიცოცხლის კანონები,
(ეს ბოლო, — ასე მშვენიერი,
ბევრად უფრო მტკივნეულიც
აღმოჩნდა ჩემთვის!)
ახლა მე მხოლოდ
დაკარგული სიყვარულების ძებნაში
მინდა
(ხელის ფათურით)
ვიპოვნო სიბრძნე,
რომელიც, ვიცი,
არასოდეს არა მქონია...

შაბალი
მიფრინავს ყვავი. ყვავია? რა ვი...
მიფრინავს ძერა. მიფრინავს. მე რა...
მიფრინავს ქორი. მიფრინავს ჭორი...
მიფრინავს პროფილი. ორად გაყოფილი...
მიფრინავს ბერიკაცი. საკაცე. ცხედარი.
მიფრინავს საათი. თევზი. სახედარი.
მიფრინავს სადალაქო. ბიძია ზუსმანი.
მოძრაობს ყველაფერი —

თვით ჩემის ლურსმანიც:
ცხენი და მარხილი, ნითელი ურია, —
რაც გრაფიკულია და ფერწერულია...
მიფრინავს გოგო. გოგო? ეგ როგორ?..

ნარმართული ცეკვაბი
ზღვის თევზებს
მტკნარი წყალი წყურიათ, —
ხანგამოშვებით ვიმეორებ და კიბეზე
ნარმართული ცეკვით ავდივარ.
ესნუთია დავემშვიდობე
ხორცის ბულდოზერს
(ყველგან ხორცი აქვს
ამ დალოცვილს,
ლაჯებსშორისაც, ტვინის კოლოფშიც...),
რომელმაც მითხრა,
სხვათაშორის შემახსენა,
რომ ნასვამი ვარ...
(და რომ მხოლოდ ძილი მაკლია,
სხვა — არაფერი).
მე კი მთელი გზა
ზღვების ამბებს ვუყვებოდი,
სისხლით, ოფლით და ოქროთი
ამოყორილ
იალქნიან შხუნებზე და კარავლებზე,
გრივლებზე, უცნობ მიწებზე და
მანიაკ, შავ კაპიტანზე...
ჩემს შეკითხვაზე, —
რა წყურიათ მლაშე ზღვის თევზებს, —
ბრძნული ღიმილით დამასაჩუქრა,
ღირსების გრძნობით აღჭურვილი დამემშვიდობა და
გულმონყალედ მაპატია დაკარგული
დრო.
ისე წავიდა,
მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი,
კომპანიისთვის, მოცილებისთვის,
რომელიც ნაღდად არ მჭირდებოდა...
საფეხურებზე
შავ—ნითელი ცეცხლი ანთია,
(ნარმართულ ცეკვებს
ცეცხლი უხდება!),
ცეცხლის ენებს ისე ვკითხულობ,
როგორც ნაცნობ,
მაგრამ უკვე მივიწყებულ
ძველ ჩანაწერებს,
ტელეფონის გაუქმებულ ნომრებს
წერილებს და
ნიგნებში ჩატოვებულ სანიშნებს —
ბუნდოვანი და გარდასული შემოდგომების
კიდემომსხვრეულ ყვითელ დღეებს —
გამომხმარ ფოთლებს...
ზევით, ბინაში, აივნისაკენ,
საიდანაც, — გუმანი მაქვს, —
როგორც ყოველთვის,
გაშლილი ზღვაა ჩემი ეზო,
მოქანავე სტიქიაა,
ხოლო ბავშვები — დელფინებია.
ფეხებთან — ძალი, —
ნიჟარაში ჩახვეული ნაუტილუსი;
უკან შტორმები, —
უჩინარი დინებები და რიფები, —
ბევრი სიკვდილი,
ბევრი სიცოცხლე და ხეტიალი.
ოხერ-ტიალი...
ზაფხულში — სიცხე და
ზამთარში — გამყინვარება და
გაყიდული ნივთების სევდა —
სიცარიელე უჯრებშია და თაროებზეც...
სასაცილოა, მაგრამ ასეა,
ასეთია ბინის სახე,
ეს არის ჩვენი ბინის პორტრეტი.
ამ სივრცეში მოძრაობენ
ჩემი ქალებიც —
დედა... რუსიკო...
გამძლებები ალკოჰოლის, სიგიჟეების,
ჩემგან, ლამასგან, ბიჭებისგან არეკლილი
ბლუზების და როკ'ნ როლების
ცოცხლად მნახავნი...
გადამნახავნი...
ეს არსებობა—ობობა კი
ხელს უცებ გვიშვებს,
მოულოდნელად
(მაშინ, როდესაც სახიფათოს არ ელოდები),
რომ განყვეტილი შენი სხეული,
ძვლის კოლოფში ვერდატეული
ბებერი ტვინი
(საგულდაგულოდ გამოწოვილი და
ბოლომდე გამომშრალი, გამოფიტული)
სხვა ლოგინში
დააძინოს და მოასვენოს...
და შენ საბრალომ, ისიც არ იცი,
იქ მოისვენებ
თუ ძველებურად ხელს ჩაიქნევ და
ნამოდგები
სიგარეტების გასაბოლებლად...

ბოლოს ორი საფერფლე უდევს მაგ-
იდაზე: ერთზე ოთხი ცალი ნაბნის ფილ-
ტრი გდია, მეორეზე — ორი ოცთეთრი-
ანი. ამ ოცთეთრიანებს სიგარეტისთვის
იზოგავდა — ეგონა, უსიგარეტოდ უფრო
გაუჭირდებოდა. მაგრამ ახლა შიმშილმა
იმდენად შეაწუხა, რომ თვალელებში უკვე
მუქი ლურჯი ლანდები დაუდია. ხან სუ-
ლაც გამოვლიან თვალელებიდან ეს ლანდე-
ნი და ოთახის კუთხეებში ან კარადებქვეშ
იმალეობიან — რომელიც საით გაასწრებს.
გუშინ და დღეს სულ არაფერი უჭამია. ა,
როგორ არა! გუშინ ერთი მუჭა ალუბალი
მოაწოდა მეზობელმა ბალიან... სიგარე-
ტი კი მოწინააღმდეგე, სამი ღერი... ეს სესხე-
ბაც რომ არ ეხერხება არც ფულის, არც
სიგარეტის...

თავისი ოცთეთრიანები ჯიბეში ჩაი-
ყარა და პურის საცხობისკენ გასწრაფდა.
გზად ორი ღერი სიგარეტი იყიდა, დარჩენილი
ოცდაათი თეთრით ერთი რუხი პური მოუ-
ვა...

კიდევ კარგი, ამ საცხობში რუხ პურსაც
აცხობენ და ოცდაათი თეთრად ყიდიან...
შიმშილისაგან ეზო და ქუჩები ესხვაგ-
ვარება, თითქოს სადღაც სხვაგან მიდის
ბურუსში და მანძილებია რაღაც გაზრდი-
ლი და სტერეოსკოპული: ძალიან მიდის.
მარჯვენა ფეხი ბევრჯერ იქ ჩაარტყა, სა-
დაც ორმო არ იყო. ...ათი თეთრით რომ
შქონდეს კიდევ, თეთრი პური მოუვიდო-
და, მაგრამ რუხსაც არაუშავს, თანაც რა-
კილა გადანყვიტა, როგორ უნდა გაანანი-
ლოს ეს ორმოცი თეთრი, გულზე მოეშვა —
ახლა ძალიანაც კარგია რუხი პური,

მერე ორი ღერი სიგარეტი. გადასარევადა
გაანანილა! როდის იყიდის ერთი, ჩა-
კბიროს! ისე, კი, ნაღდად თეთრი ურჩევნია
და სულ, სულ ვერ იზიარებს შეგონებებს
სწორი კვების შესახებ. უბრალოდ, არ ეს-
მის, რანაირად შეიძლება სჯობდეს რუხი
პური თეთრს, არამატულ ლავაშს, ანდა რა-
ტომ უნდა ადგეს საესე სუფრიდან შიმში-
ლის გრძობით. ამ ბოლო დროს თითქმის
სულ ეგეთი გრძობით უნდა ცხოვრებოდა.
სუფრასთან თუ ზიხარ, უნდა ჭამო. საერთო-
დ, ჭამა ჭამაა და შიმშილი შიმშილია.
ერთი რუხი პური რომ შეჭამოს დღეს და
ხვალ, კარგია: კარგად იმუშავებს და
თავში ზუზუნიც შეწყდება. თვალელებიდან
კიდევ ლანდები გაქრებიან. ჯან-ღონით
სავსე ბიჭია, ჯერაც მრთელი. ყველაფერს
აიტანს ჯერ. მერე, ერთხელაც მისი ამ-
დენი შრომის შედეგი იხსოვება და მოვა
და მოვა შემოსავალი და დიდება. არ შეი-
ძლება, რომ არ იხსოვდეს! მერე ვნახოთ,
ერთი ამ ჯიხურების გამყიდველებს რა
სახეები ექნებათ! ნისიას სულ თავისით
გაატანენ, იქეთ შეეხვეწებიან, მარა რა?
ამას აღარ დასჭირდება და... დროზე გამ-
ატანენ ნისიებზე, იჩქარეთ, მე ჩემით არა
გახოვოთ, თქვენ ხო უკვე მიცნობთ და
იცით, რომ ვნერ. მარა, არ გჯერათ, რომ
მაგრა ვნერ სანამ ტელევიზორში არ მნახ-
ავთ აი ეგეთები ხართ, მარტინ იდენიც მა-
გან არ გააკვირა?! მიდის! თავი ულაყ-
ლაყებს. თავში ტელეტაიპები გადია.
მარჯვენა ფეხით წარმოსახვით ორმოებ-
ში ვარდებ, ხოლო მარცხენათი წარმო-
სახვით ბორცვებზე სტება.

აი, სტერეოსაცხობიც. შორი იყო...
— ერთი რუხი. — შეანოდა ოცდაათი
თეთრი ხის ჩარჩოიან სარკმელში, რომელ-
იც რაღაცნაირად ღრმად ჩაგრძელდა.
კიდევ ათი თეთრი რომ შქონდეს, თეთრ
პურს იყიდის, თუ სიგარეტს? სიგარეტს.
— ხუთი ნუთი დაელოდეთ, ცხვება. —
უპასუხა საცხობის ქალმა სიღრმიდან.
დაელოდება, აბა სად წავა! წარმოიდ-
გინა ბევრი პური, რომელიც სადღაც შორ-
ეთში ცხვება. პური — ქვემდებარე, ცხვე-
ბა — შემამხენელი. თვითონ გოგას კი ანა-
ტომია შეისწავლის! შეისწავლის, კიი?!
არის ახლა ანატომია ის მეცნიერება, რომ
გოგა შეისწავლოს? ან გრამატიკას შეუ-
ძლია პურის შესწავლა? ან ორივე ეს მეც-
ნიერება ერთად შეძლებს ოდესმე პურის-
სადმი გოგას დამოკიდებულების აღწერას
და ახსნას? აბა, ჰე, რა გამოდის? გოგას
პური უნდა, ქვემდებარე კი არ უნდა! გო-
გას შია! ვა! ახლა გოგაა ქვემდებარე და
გოგაც და პურიც ქვემდებარეები გამო-
დიან, თან აქ გოგას ანატომია აღარ შეის-
წავლის, უფრო გრამატიკა შეისწავლის.
ჰო, ასე უფრო სწორია. აბა რა! ანატო-
მიას კი არ შია, გოგას შია — ქვემდებარეს,
მაგრამ, თუ საერთოდ ქვემდებარეებს
შიათ, პურს რატომ არ შია?! ისიც ხომ ქვე-
მდებარეა! იქნებ შია! ესე იგი, და, როგორც
ნადია მასწავლებელი იტყოდა, მაშთამე, ან
ესენი ვერ არის კარგი მეცნიერებები, ან
პური არ ცხვება და გოგას არ შია!!! ვა, ჰა,
ჰა, ჰა! მკვდარსაც კი გაეცინება!.. ნეტა
რომელი მეცნიერება შეისწავლის კარგად,
საფუძვლიანად გოგას?! ასე არ შეიძლე-
ბა, მიშვეებულია ეს მეცნიერებები! თუ
პური ცხვება, გოგას ანატომია შეისწავ-
ლის და თუ გოგას შია, მაშინ გრამატიკა!

ნინო გუგეშაშვილი

მუზის ჰონორარი

ეგრე სად არის!.. რაღაც ვერ დააღაგა...
რადროსჩემინიაღსვლებიამშია!
...არსაითკენ არ გაუხედავს, რატომ-
ღაც პირდაპირ დაბლა დაიხედა. ე! ეს რა
არის! მზეე?!

ფეხსაცმლის წვერით გადაჩრჩიკა მსხ-
ვილი ქვიშა და გული შეუქანდა. ეჩვენება,
თუ მართლად ამოიჭიატა ქვიშიდან ოქროს-
ფერი მარცხენა ორმოცდაათთეთრიანმა?!
ვაიმე! კიი!

ცხოვრებაში არაფერი უპოვებია ჯერ და
არც სხვისი მონაყოლის ჯერა. აგე, იმედო
ხან ფულით სავსე საფულეს პოულობს,
ხან ოქროს ბეჭედს. გოგამ ერთხელ რეს-
ტორანში სკამის საზურგეზე შემოკიდებუ-
ლი კოსტუმი ნახა, ვიღაც კლიენტს დარჩე-
ნოდა. ჯიბეები რომ გაუჩხრიკა, გასაღებე-
ბის ასხმულა და ტყავის ვეება საფულე,
ხოლო საფულეში 360 ამერიკული დოლარ-
ი და 120 000 რუსული რუბლი აღმოაჩინ-
ა. გოგას არასოდეს არაფერი არ მოუძე-
ვია, მარტო გასაღებიც კი არა...

ანუკას კიდევ მეორადი ტანსაცმლის
მალაზიაში ნაყიდი ჯინსის ჯიბეში ათდო-
ლარიანი დახვდა. იმას რაღად უნდოდა,
ისედაც ფირმის პრეზიდენტი მამა ჰყავს.
რატომაც არაო, ანუკამ, თანამედროვე
ქალს დამოუკიდებელი შემოსავალი არ
უნდაო?! გოგას კი მართლა ძალიან ჭირდ-
და დამოუკიდებელი შემოსავალი, მაგრამ
ვერა პოულობს და... ორჯერ აღმოაჩინა,
რომ ხურდა გადმოაყოლეს, ნავიდა და
დაუბრუნა. ერთხელაც დაძრული ტრო-
ლეიბუსიდან დაინახა, უკვე ჩასულ ქალს
როგორ დაუვარდა საფულე. ნამოხტა,
გააჩერებინა, საფულე აიღო და სახლამ-
დე სდია იმ ქალს აღმართში, კიბეებზე
დაანია დანაკარგი... ისეთი არასოდეს
არაფერი მოუძევია, მისი პატრონის ვი-
ნაობა რომ არ სცოდნოდა და პატრონის
ვინაობა თუ იცო, ეს რაღა მოძევა...

არ ჯეროდა არც გოგასი, არც იმედო-
სი, ტყუილი იყო ყველაფერი.
მაგრამ, აკი თვითონაც აგერ ფული
იპოვა!

სიხარულისაგან ისე გაბრუნდა, რომ
გადანყვიტა, ჯერ არ აეღო ფული, არამედ
მოშვებულყო და ერთხანს ასე მდგარიყო
მოთენთილი, თან ამასობაში დაზვერავდა,
ხომ არაეინ უთვალავდა. ეს ორმოც-
დაათთეთრიანი მონეტა იმხელა ბრწყინ-
ვალეობას და ბედის გახსნის სიხარულს იტ-
ევდა თავის თავში და მალავდა ქვიშაში,
რომ გოგასთვის ახლა სკივრი განძი და ეგ
მონეტა თითქმის ერთი იყო.

— ერთი სერი პური, შვილო! — ნამო-
ადგა თავს ხანშიშესული ქალი და პურის
გამყიდველს ფული შეანოდა.
საიდან გაჩნდა?! მიინდან ხომ არ ამო-
ვიდა მართლა?!

გოგას შეაცხელა და ის გააკეთა, რაც
არასოდეს არ გაუკეთებია აქამდე და არც
მომავალში აღარ გააკეთებს: ფეხი ოდნავ
წინ მიაჩოჩა და მონეტა ბოტასის ლანჩის
ქვეშ მოიქცია.

— ახლავე! — უპასუხა გამყიდველმა
ხანშიშესულ ქალს და ხელში ატორტმანებ-
ული ცხელ-ცხელი პური მოაწოდა გოგას.
— ჯერ ამ ბიჭის რუგია.

— არაუშავს, მთავრით ქალბატონს
ჯერ! — უპასუხა გახვითქულმა გოგამ.
როგორც კი ქალი შეტრიალდა და წავე-
იდა, გოგამ ღრმად ჩაისუნთქა, ამოისუნ-
თქა, მერე მონყვეტით დაეშვა, მონეტა
აიღო და ჯიბეში ჩაიგდო. მოეჩვენა, რომ
მონეტამ თავისთვის ჩაიწკრიპა...

მაქვს გოგას ცხელი პური და კარგა-
ხანს ვერ ბედავს საკუთარი მარცხის ჯიბე-
ში ხელის ჩაყოფას...



პერანგის ჯიბეში ორი ღერი სიგა-
რეტით, ხელში პურით, ჯინსის ჯიბეში ორ-
მოცდაათი თეთრით და სადღაც მიგნით
საგრძობი სინდისის ქენჯნით რაღაცის
გამო, გოგა ახლა რაღაცას ვაგვს, თუ ვილა-
ცას, მაგრამ რას, ან ვის, ვერ იხსენებს.
ალბათ პურს რომ შეჭამს და სიგარეტს
გააბოლებს, მერე გაიხსენებს...

პატარა მოედანი გადმოჭრა. კიდევ კა-
რგი, არახალხმრავალი ადგილებია აქ.
ოცდაათი თეთრით ორი კვერცხი იყიდოს,
თუ მწვანილები? არა, მწვანილები. ოცი
თეთრით — ოთხი ღერი სიგარეტი. თუ შე-
ინახოს ჯერ? პრინციპში, რატომ უნდა
ქენჯნიდეს სინდისი, იმიტომ რომ მონეტა
აიღო?! აბა იმ ხანშიშესულ ქალს ხომ არ
შესთავაზებდა, ამკარად არ იყო იმისი და,
როგორ? არა, ფეხი რომ დააფარა, იმიტ-
ომ ქენჯნის სინდისი, მაგრამ რომ არ დაე-
ფარებინა, ის ქალი აიღებდა და მერე უფ-
რო არ დაჰქენჯნიდა?

როგორც იქნა, ჩაიყო ჯიბეში ხელი. ე!
ეს რაღა! მეორე მონეტა?! საიდან?!
ორი მონეტა ჯიბეში, ტოლები! ამოი-
ლო — ვა! ხუთთეთრიანი კიდევ! საიდან,
ე!

მალა აიხედა — არაფერი. დაფიქრ-
და, თვალეები დააფახულა — სულ, სულ
არაფერი. გზა განაგრძო, გაიცილა. ეს
ხუთიანი რაღა იყო, ნეტავ როდის ჩარჩა
ჯიბეში ასე, შეუმჩნეველი!

პატარა ყუა ნაატება პურს და ჭამა და-
ინყო, ჯერ ქუჩაშია და ცდილობს, მგელივ-
ით არ ჭამოს. უხარია, უხარია! სუპერმა-
რკეტისკენ გასწრა მწვანილების საყიდლ-
ად — გრძელი ხიდი უნდა გადაიაროს. მო-
და, პატარა პურის ნაჭერს მოუტყუავს ამ
მათხოვარს, თვითონ ხომ თავი ქუდში აქვს
— ღმერთმა ორმოცდაათხუთმეტი თეთრი
მისცა, ორი დღის პურის ფული. მერე, ალ-
ბათ რაღაცა გაიყიდება, ისე როგორ იქნე-
ბა. პურს მოატყუა, არც ისე პატარა, და
მოხუცს გაუწოდა.

— არ გმია?
მოხუცს ეძინა და გაეღვიძა.
— ჰა? გეიხარე, ბაბუ. რავა არ მშია.
მშია, მწყურია, დამეხმარე ვისაც შეგიძ-
ლიათ, ვაიმე, ვაიმე, შენ გეიხარე შვილო,
ღმერთმა დაგლოცოს, მარჩენალი არა
მყავს, მე ინვალიდი ვარ. — ჩართო მოხ-
უცმა და მუხლებზე ხელები დაიშინა. მძაფ-
რი ნაბახუსევის ხუნი ასდიოდა.

გოგამ გაიფიქრა, მოდი ამ ხუთთეთრი-
ანსაც მივეცი. მაინც ზედმეტი იყო, რა-
ღაცნაირად არ მრგვალდებოდა. ჯიბეში
ხუთთეთრიანი მოძებნა, ამოიღო და გა-
უნოდა. მათხოვარმა ხელი შემოაგება, გო-
გამ ხელის გულზე დაუდო ფული, მათხო-
ვარმა დახედა და... უეცრად ორივემ თვა-
ლები დააკვესეს, მერე ერთმანეთს შეან-
ათეს უხმოდ...

გოგამ არ იცის, როდის უფრო დიდი
იყო ელდა: მაშინ, როცა პირველად დაინა-
ხა ეს ორმოცდაათთეთრიანი მონეტა ქვი-
შიდან ამოჭვრეტილი, თუ ახლა, როცა
უკანასკნელად ხედავდა მას მოხუცის ხე-
ლის გულზე.

ამ ხელის გულს ისეთი ურთიერთგა-
მომრცხვავი და თავ-თავისი გაოცებებით
დასცქეროდნენ ახლა გოგა და მოხუცი,
რომ ეს სხვადასხვა გაოცება ძალიან აგონ-
ებდა რაღაცას, მაგრამ ვერ გაიხსენა, რას.
მოხუცმა კიდევ არაფერს არ შეადარა,
იმიტომ რომ მარტივი მსმელი მოხუცი იყო
და ნაბახუსევზე მხატვრული სახეებით არ
აზროვნებდა. უბრალოდ იჯდა და ძალიან
უკვირდა. ერთხანს ასე უყურებდა ერთმა-
ნეთს თვალეებში — მოხუცი მიხვდა, რომ
ეს უბრალოდ აუნყობელი დამთხვევის
მოვლენა იყო და იქნებ შექცევადიც აღ-
მოჩინდებოდა, დროულად თუ არ დაა-
მუხრუჭებდა. უეცრად ფეხზე წამოიჭრა,
ხელები გაშალა და შეჰყვირა:

— შენ გეიხარე შვილო, ჩემ მდგომარ-
ეობაში რო ასე კაცურად შეხედე! რაც მე
დემეხმარე, ღმერთი ასმაგად გადაგიხდის
და სულ კეთილი გზით გატარებს! ამენდი,
გამრავლი და მილიონად გექცეს თითო
ხურდა ფული! — მოხუცს მხატვრული
ლიტერატურა სულ, სულ არ ჰქონდა ნაკ-
ითხული, მაგრამ სოციალური ზღუდის
არსებობას და მისი დაცვის აუცილებლო-
ბას ინსტინქტივად კარგად გრძობდა. ეს
რომ არა, უეჭველად გადაეხვეოდა გოგას
და გადაუქცებოდა. გოგა კიდევ ვერავითარ
სოციალურ განსხვავებას ვერ ხედავდა
ახლა თავის თავსა და ამ მოხუცს შორის.
პირიქით... ამიტომ მოხუცს უნებლიედ მხა-
რზე ხელი დაადა და ფიქრებში წასულმა
ორჯერ დაუტყაპუნა.

— გეიხარე, შვილო! ეს რა ბიჭი ყოფი-



ლხარ! შენი გული მისცა ნეტავი ნახევარ
საქართველოს. ღმერთმა სულ წაღმა გზით
გატაროს!

ისეთმა ბურუსმა მოიცვა გოგა, რომ
არც ნუხდა, არც უხაროდა, აღარც უკ-
ვირდა და აღარც ჭამდა. უბრალოდ დაჭ-
ყეტილი დარჩა თვალეები და თავი ცოცხალი
გალიმებული და ოდნავ მარცხნივ გადა-
ხრილი. მონეტის უკან ადებდა ხე ხომ, რა
თქმა უნდა, არა და არ უფიქრია. ან კი,
როგორ! ქვიშიდან ძლივს აიღო არავისი
მონეტა და მათხოვრის ხელის გულიდან
რა ააღებინებს უკვე ამ გახარებული მოხ-
უცის ამკარად კანონიერ საკუთრებას.

— შენ გეიხარე, ბაბუ! — შეჰყვიროდა
მოხუცი თავისზე ორი თავით მალალ ბიჭს.
ლოცავდა უსასრულოდ და კეთილ მგზა-
ვრობას უსურვებდა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ
დაძრა გოგა ადგილიდან. ბიჭი კი თავისი
ბურუსიდან აკვირდებოდა მოხუცს,
რომელიც ხელებს შლიდა, აჯვარედინ-
ებდა, თავს უკრავდა, ქუდს უხდიდა,
რაღაც იღებდა ატარებდა და გაუჩერე-
ბლად ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა.
როცა გამოერკვა ამ ბურუსიდან, ნათლად
გაიგონა: — შენ გეიხარე, ბაბუ, იცი რა
არის ეს ჩემთვის? ადამიანი ქვა ხურარის,
კაცო. ჩვენც ადამიანები ვართ, აი ლუკმა
ყელში არ გადადის, მაღლობა, ბაბუ, სულ
კარგად იყავი, სულ კეთილი გზით იარე...

გოგა არ განძრეულა. ბოლოს მოხუცს
მოსწყინდა და თვითონ წავიდა. გოგას ჯერ
უნდოდა ეყვირა: „მეც წამყვიანე!“ მერე
თავი გაასწორა, პურს ქერქი აახია და ძალ-
ღივით გადაეყლაპა — არ დაუღიქვავს. ზუ-
რგის თვალეც ვერ გააყოლა მოხუცს...

ჯერ ისევე ორმოებით და ბორცვებით
მოდიოდა, მერე გზა ნელ-ნელა გასწორ-
და და სტერეოსკოპურებიც ადგილებზე
მოჩნდნენ. არა, რომელ ქლიავს მოუვი-
და თავში აზრად, რომ ორმოცდაათთე-
თრიანი, რომლითაც ერთი თეთრი პურის
და ორი ღერი სიგარეტის ყიდა შეიძლე-
ბა, ზომით იმ ხუთთეთრიანის ტოლი უნდა
იყოს, რომელიც...

სახლში შესულმა კარები ფეხით მოიხ-
ურა და პურის ჭამა აქ გააჩაღა. ძირითა-
დად ფეხებით მოქმედებდა, თუმცა ხელი
მხოლოდ ერთი შქონდა დააკვებული. ფეხ-
ით გამორთო სტაბილიზატორი, ჩართო-
ლი დარჩენოდა, ფეხით გადმოაგლო კატა
ქვაბის სახურავიდან, ფეხით გამოსწია
თავისი სკამი, მაგრამ ჯერ არ დაჯდა —
ოთახში პურის ჭამით მიიარ-მოიარა ან-
ქარებულმა. მერე დაჯდა. მერე ისევე ადგა
და ცოტა კიდევ იარა, რადგან ნათლად
იგრძნო, რომ ცოტა კიდევ უნდა ევლო.
თან მაგიდას უყურებდა, ხშირ-ხშირად
უახლოვდებოდა და შორდებოდა. მერე
შეჩერდა, ჯიბეები მოიჩხრიკა. ერთ საფ-
ერფლეზე ორი ღერი სიგარეტი დადო,
ხოლო მეორეზე — ხუთთეთრიანი. სულ
სიცარიელეს ასე ჯობია. მერე დაჯდა, იმ-
ხელა ლუკმა გადაეყლაპა, ასე აღგზნებუ-
ლი რომ არ ყოფილიყო, სანაძლეოვც
ვერ გადაეყლაპავდა... გამაღებელი ჭამა
პურს და ასევე გამაღებელი ფიქრობს: „ვის?
ვის? ვის?“ ახალი ფურცელი გამოაძირა.
შინაგანი მღვდვარებისაგან ამოქნარდა
და მარცხენა ხელს მუშტად შეკრულს აძა-
გძაგებს მოუთმენლად. „ვის, კოკას?“
თვალეებიდან ლანდები საერთოდ გაუჩი-
ნარდნენ, თავში ზუზუნის საერთოდ შეწყ-
და და „იმერული მგზავრული“ დაიწყო.

„ვის? ვის? ვის, ზურას? თუ ჯაბას?... თუ
ფარნას? ქალი ხომ არ ჯობია: ნანას, თე-
ლეს, ნინოს, მაიას? არა! არა, ისევე მი-
იანს, არა, ფარნას! თუ ამირანს? მოიცა,
იმას?! რამაზს? არა. ლელას! არა, და-
თოს, თუ მანანას? აჰ, მანანას გაფიქრე-
ბაც არ ღირს, არა, ფარნას! იქნებ რატის?
ან დანიელს, ან გოგას? ნიკოს? აჰ, არა.
არა, ფარნას! ... ფარნას, არა, ჰო, ფარნას!“
პური გვერდზე გადადო, ტურჩები ხელის
ზურგით მოინწვრიდა და მოუთმენლობის-
აგან აკანკალებული ხელით უღამაზოდ
დანერა:

„ფარნას ორი საფერფლე უდევს მაგი-
დაზე: ერთზე ოთხი ცალი ნაბნის ფილ-
ტრი გდია, მეორეზე — ორი ოცთეთრი-
ანი. ამ ოცთეთრიანებს სიგარეტისთვის
იზოგავდა — ეგონა, უსიგარეტოდ უფრო
გაუჭირდებოდა, მაგრამ...“

გამომცემელი

ანა ჭაბაშვილი:

„პრუნავთ ნიგნის ხარისხზე“



დღევანდელ საგამომცემლო სივრცეში „დიოგენე“ ერთ-ერთი წარმატებული გამომცემლობაა. მის მიერ სხვადასხვა ჟანრში განხორციელებული პროექტები შინაარსით, მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით, თანამედროვე საგამომცემლო მოთხოვნების ადეკვატურობით გამოირჩევა.

„დიოგენეს“ ოფისში მუდამ საქმიანი ფუსფუსია, იქაურობა ხალხით არის სავსე. ირგვლივ სულ ნიგნებია, კარგი ნიგნები — „დიოგენეს“ თოთხმეტწლიანი შრომის დასტური. გამომცემლობის გუშინდელ დღეზე, მის ამჟამინდელ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა „დიოგენეს“ მთავარი რედაქტორი, ქალბატონი ანა ჭაბაშვილი.



— ქალბატონი ანა, როდის დაარსდა გამომცემლობა „დიოგენე“ და ვინ არიან მისი დამფუძნებლები?

— გამომცემლობა 1995 წელს დაფუძნდა. იგი დააარსეს თამარ ლებანიძემ, ბაკურ სულაკაურმა, ოთარ ყარალაშვილმა და გია ქარჩხაძემ. იმ დროისთვის საგამომცემლო ინფრასტრუქტურა მთლიანად მოშლილი იყო, დიდი სახელმწიფო გამომცემლობები აღარ არსებობდა, ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები, ისინი ამ საქმის შესწავლას შეუდგნენ, ნელ-ნელა ააწყვეს, გამართეს ეს საქმე. მოგვიანებით თითოეულმა საკუთარი გამომცემლობა შექმნა. ამჟამად „დიოგენეს“ გამომცემელი და დირექტორი გახლავთ ქალბატონი თამარ ლებანიძე.

— პასიური მკითხველისთვისაც კი „დიოგენეს“ სახელი პოლიგრაფიული თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით ხარისხიან წიგნთან ასოცირდება. თუმცა, საქართველოში დღეს კიდევ არაერთი სერიოზული გამომცემლობა არსებობს. ამგვარ კონკურენტულ გარემოში საქმიანობა და ასე ვთქვათ, დონის შენარჩუნება ძნელი არ არის?

— რთული გზა გავიარეთ. ამ წლების მანძილზე პრობლემაც ბევრი იყო. ვცდილობთ, ქართველი და უცხოელი ავტორების ისეთი ნაწარმოებები შევარჩიოთ, რომლებიც თავისი მნიშვნელობით ღირებულია. ვზრუნავთ ნიგნის ხარისხზე.

— თქვენი გამომცემლობა თითქმის თოთხმეტი წელია, რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში „დიოგენემ“ თავისი საქმიანობის გარკვეული მყარი მიმართულებები და პრიორიტეტები ჩამოაყალიბა...

— „დიოგენეს“ ძირითადი მიმართულებებია საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის, მხატვრული, სამეცნიერო ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების (როგორც სკოლის, ისე უმაღლესი სასწავლებლებისათვის) გამოცემა.

პირადად მე ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს მხატვრულ ლიტერატურაზე მუშაობა. „დიოგენეს“ ბოლოდროინდელი

გამომცემებიდან, ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რობერტ მუზილის რომანი „უთვისებო კაცი“. იგი XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებადაა აღიარებული. ქართველ მკითხველს პირველად მიეცა საშუალება, მშობლიურ ენაზე წაიკითხოს ეს რომანი. ჯერჯერობით „უთვისებო კაცის“ პირველი ტომია გამოსული. წელს გამოვა მეორეც.

გასული წლის გამომცემებიდან ძალზე მნიშვნელოვანად მიგვაჩნია აგრეთვე ამერიკელი მწერლის, კენ კიზის რომანი „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“. მკითხველს ალბათ ახსოვს ამ წიგნის მიხედვით გადაღებული მილოშ ფორმანის ფილმი „ვილაცამ გუგულის ბუდე გადაფრინდა“. „დიოგენეს“ ბოლოდროინდელ გამომცემებს განეკუთვნება თანამედროვე ფრანგი კლასიკოსის, გასული წლის ნობელიატის, ჟან-მარი გუსტავე ლე კლეზიოს რომანი „უდაბნო“. 1980 წელს „უდაბნომ“, საფრანგეთის აკადემიის მიერ დაწესებული პოლ მორანის დიდი პრემია დაიმსახურა. ქართულად თარგმნა შესანიშნავმა მთარგმნელმა სოფიო ბენდიასვილმა. წინა წლების მნიშვნელოვანი გამომცემებია მილან კუნდერას „სალალო ტროფობანი“ და „გამოსათხოვარი ვალსი“, ბორის ვიანის „შემოდგომა პეკინში“ და „ნითელი ბალახი“ (მათი თარგმანი ეკუთვნის პაატა ჯავახიშვილს), მთელი მსოფლიოს ახალგაზრდების უსაყვარლესი წიგნი „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“, პატრიკ ზიუსკინდის მსოფლიო ბესტსელერი „სუნამო“, რომელიც გერმანიიდან თარგმნეს ნატალია ნადირაშვილმა და ეკა რაისინერმა...

— თქვენ მიერ დასახელებული წიგნები მაღალმხატვრულ, მსოფლიოში აღიარებულ თანამედროვე პროზას განეკუთვნება. ეს იოლად საკითხავი ლიტერატურა არ არის და ინტელექტუალი მკითხველისთვისაა განკუთვნილი. ამგვარ ღრმა, სერიოზულ და რთულ ნაწარმოებებს კარგი მთარგმნელიც სჭირდება. ვინ თარგმნის ამ ლიტერატურას? ყველა ორიგინალიდანაა ნათარგმნი?

— ცხადია, ორიგინალიდან. „დიოგენე“ საუკეთესო თანამედროვე მთარგმნელებთან თანამშრომლობს. რობერტ მუზილის „უთვისებო კაცის“ თარგმანი მაია ბადრიძემ ეკუთვნის. იგი თბილისის საკრებულოს მიერ ჩატარებულ ლიტერატურული კონკურსის „გალას“ პრემიის მფლობელია. კენ კიზის რომანი „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“ კი ზაზა ჭილაძემ თარგმნა, ძალიან ზუსტი და ფაქიზი ნამუშევარია. ამჟამად ორივე ეს მთარგმნელი, ლიტერატურულ კონკურს „საბას“ ნომინანტია. ვნახოთ, საბოლოოდ რა იქნება...

გამომცემლობა „დიოგენე“ საავტორო უფლებას ყოველთვის იცავს. იგი წინასწარ უკავშირდება შესაბამის უცხოურ გამომცემლობას, სააგენტოს ან, ზოგ შემთხვევაში, კერძო პირს, მოლაპაკებას აწარმოებს და საბოლოოდ ხელშეკრულებას აფორმებს. ეს საკმაოდ რთული, ხანგრძლივი პროცესია. თუმცა, ხანდახან, შესაძლოა, საკითხი მალევე მოგვარდეს. ჩვეუ-

ლებრივ, უცხოურ გამომცემლობებს მკაცრი მოთხოვნები აქვთ წიგნის ფორმატის, დიზაინის მიმართ. მაგალითად, მილან კუნდერას წიგნების გამოცემაზე დასტური მხოლოდ მას შემდეგ მივიღეთ, რაც ავტორის მეუღლემ, ვერა კუნდერამ, მოიწონა „სალალო ტროფობანის“ წინასწარ გაგზავნილი გარეკანი, რომლის ავტორიც გახლავთ მხატვარი გია რევაზიშვილი. ასევე მკაცრი მოთხოვნა ჰქონდათ კენ კიზის გამომცემლებსაც და მას შემდეგ, რაც ნახეს გარეკანი, რომლის შექმნაზეც მხატვარმა კოტე სულაბერიძემ იმუშავა, წიგნის დაბეჭდვის ნებართვა მოგვცეს. მაგალითად, ჯერომ სელინჯერის კატეგორიულად მოითხოვს, რომ მისი წიგნის ყდაზე არ იყოს არანაირი ნახატი... „ჭვავის ყანაზე“ უკვე თითქმის სამი თაობა გაიზარდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ქართულად იგი, 60-იან წლებში, ვახტანგ ჭელიძემ თარგმნა. ჩემი და ჩემი თაობის უსაყვარლესი წიგნი იყო და თარგმანიც ძალიან მოგვწონდა. დღეს ახალგაზრდა მკითხველს სხვა გემოვნება, სხვა მოთხოვნები აქვს. „დიოგენეს“ გამომცემელი „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“ ხელახლა თარგმნა ძალიან კარგმა სპეციალისტმა გია ჭუმბურიძემ. ამ ახალ თარგმანს დღევანდელი მოზარდები გატაცებით კითხულობენ...

— ქალბატონი ანა, საავტორო უფლებას „დიოგენეს“ გარდა, სხვა გამომცემლობებიც იცავენ?

— ყველა სერიოზული გამომცემლობა იცავს ამ უფლებას.



— თანამედროვე ქართულ მწერლობას რაც შეეხება, აქ არჩევანს როგორ აკეთებთ?


— „დიოგენეში“ ბევრი ავტორი მოდის. მათ თავიანთი წიგნების ჩვენთან გამოცემა სურთ. ვცდილობთ, მაღალი ხარისხის ნაწარმოებები შევარჩიოთ და მკითხველს საშუალება მივცეთ, სხვადასხვა თაობისა და ნიჭიერ შემოქმედთა განსხვავებული ჟანრის ახალ ნაწარმოებებს გაეცნოს. გამომცემელი გვაქვს თანამედროვე მწერლების ბესო ხვედელიძის, თამარი ფხაკაძის, ბესო სოლომანაშვილის, თეა თოფურის,

ეკა ქვეანიშვილის, ნინო თარხნიშვილის, და სხვათა კრებულები. გამომცემლობის დირექტორი, თამარ ლებანიძე მოწადინებულია ახალგაზრდა, პერსპექტიულ მწერლებს შეუწყოს ხელი. სწორედ ამ მიზნით, გამომცემლობა „დიოგენე“ და ჯარჯი აქიმიძე ყოველწლიურად ატარებენ ლიტერატურულ კონკურსს, რომელსაც „Penმარათონი“ ეწოდება. ამ კონკურსის იდეა ჯარჯი აქიმიძეს ეკუთვნის. კონკურსში, მონაწილეობენ მსურველები, რომლებმაც განსაზღვრულ დროში მოცემულ თემაზე უნდა დაწერონ მოთხრობა. მარათონის მონაწილეთა ნამუშევრებიდან ათი საუკეთესო შეირჩევა და კრებულის სახით გამოიცემა, პირველ ადგილზე გასული ავტორის მოთხრობები კი ცალკე წიგნად იბეჭდება. კონკურსი 2002 წლიდან იმართება. თუმცა შარშან, ომის გამო ვერ ჩატარდა. მოლოდინი წელსაც დიდია, მონაწილეობის სურვილი ყველას აქვს.

— ოდითგანვე გამომცემლობები ახალ ნიჭიერ მწერლებს აღმოაჩენდნენ ხოლმე. „Penმარათონი“ ამგვარი „აღმოჩენების საუკეთესო საშუალებაა“.


— მაგალითად, 2002 წლის „Penმარათონის“ პირველი ადგილის მფლობელს, ნიჭიერ მწერალს, გელა ჩქევიანას მანამდე რამდენიმე მოთხრობა უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული ლიტერატურულ პერიოდიკაში, მაგრამ „Penმარათონის“ შემდეგ მისი სახელი მკითხველთა ფართო წრისათვის გახდა ცნობილი. ჩვენ უკვე მისი სამი წიგნი გამოვეცით. პირველი „კოლორიტი“ ჰქვია, მასში ომამდელი სოხუმის ამბებია მოთხრობილი. მისი მომდევნო ორი წიგნი აფხაზეთის ომის თემაზეა. ძალიან საინტერესო ნაწარმოებებია. ბოლო კონკურსის გამარჯვებულია შესანიშნავი ახალგაზრდა ავტორი ბაჩო კვიციანი. „Penმარათონამდე“ ისიც ბეჭდავდა პერიოდულ გამომცემებში საკუთარ მოთხრობებს. „დიოგენემ“ გამოცემა მისი მოთხრობების კრებული, რომელსაც „მატარებლის მოსვლამდე“ ჰქვია. ბაჩო კვიციანი იმავე წელს ამ კრებულისათვის ლიტერატურული პრემია „საბაც“ მოიპოვა საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში.

„დიოგენე“ თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსებსაც გამოსცემს. გასულ წელს ჩვენთან დაიბეჭდა ჯუანშერ ტიკარაძისა და ნიკა ჯორჯანელის პოეტური კრებულები.



— „დიოგენეს“ ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები დასახელებული. ახლახან თქვენს მიერ მომზადებული „დედაენის“ საცდელი გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა...

— განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც გამომცემლობები სასკოლო სახელმძღვანელოებს ადგენენ. ჩვენ მიერ მომზადებულ მასალას სამინ-



ისტროში ვგზავნით, იქ ამონებენ, თუ რამდენად შეესაბამება ისინი არსებულ სტანდარტს. შემდეგ, დასაბუთებულ უკან გვიბრუნებენ. წელს სხვადასხვა გამომცემლობის მიერ მომზადებული ათი „დედაენა“ იქნება. მხოლოდ პედაგოგზეა დამოკიდებული, თუ რომელ სახელმძღვანელოს აირჩევს...

— თქვენი „დედაენა“ სხვა გამომცემლობების მიერ წარმოდგენილი დანყებითი კლასის სახელმძღვანელოებისგან რით განსხვავდება?

— „დიოგენეს“ „დედაენა“ არაჩვეულებრივი გამოცემაა. მასში ტრადიცია და სწავლების თანამედროვე მეთოდები ერთმანეთთან არის შერწყმული. წიგნი, წერა-კითხვის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეულ ფორმულებთან ერთად, მისი დიდაქტიკური ტექსტებიცაა მოცემული; ამავე დროს, პატარები ქართული ფოლკლორის ნიმუშებთან ერთად შესაფერის უცხოურ ლიტერატურასაც გაეცნობიან. საგანგებოდ ჩვენი „დედაენისთვის“ ახალი ტექსტებიც დავაინერა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „დიოგენეს“ ეს ახალი გამოცემა, დანყებითი კლასების სხვა სახელმძღვანელოებისგან მარცვალთა უნიკალური სწავლების მეთოდით გამოირჩევა. მეთოდის ავტორია ქალბატონი დოდო ნაზირიშვილი. მან ხანგრძლივი პედაგოგიური პრაქტიკის საფუძველზე, კონსტრუქციულ-ალტერნატიული ფონეტიკა ბავშვების ასაკის გათვალისწინებით დაამუშავა. სიტყვის მარცვლებს ავტორი სხვადასხვა ფერით წარმოაჩენს. გოგებაშვილისეული პირვანდელი შესასწავლი მარცვლის — „თი“-ს — ამ მეთოდით შესწავლისას, ბავშვი მომდევნო სიტყვებს უკვე დამოუკიდებლად კითხულობს... ფერადი მარცვლების ალბომი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, 1987 წელს გამოიცა, ახლა კი, ჩვენს წიგნშია გამოყენებული.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ „დედაენა“ პლასტიკისგან გამოძერწილი სამგანზომილებიანი ფიგურებითაა ილუსტრირებული. ეს ორიგინალური ხერხი ბავშვებისთვის საინტერესოა და მათ „მსგავსის კეთების“ სურვილს აღუძრავს. შესაბამისად, ილუსტრაციები არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, ფუნქციურ დატვირთვისაც იქნეს. „დედაენისთვის“ პლასტიკისაგან ფიგურები ია გიგოლაშვილმა და ნანა მელქაძემ გამოძერწეს.

სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები საგანგებოდ შემუშავებული ახა-

ლი, ოპტიმალური პროპორციების ორიგინალური შრიფტითაა წარმოდგენილი. წიგნს აუდიოდისკიც ახლავს, რომელზეც „დედაენისთვის“ შექმნილი ორი სიმღერაა ჩანერილი...

გამოსაცემად მზადაა ასევე ძალიან საინტერესო საბავშვო კრებულები. „დიოგენეს“ მკითხველს ამ ორივე გამოცემას თბილისის წიგნის ფესტივალზე წარმოუდგენს.

— „დიოგენეს“ მიერ განხორციელებული საბავშვო და ახალგაზრდული მიმართულების პროექტიდან კიდევ რომელია მნიშვნელოვანი?


მნიშვნელოვან გამოცემად მიგვაჩნია ბაზარზე უკვე არსებული „ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“. მისი ავტორია ქ-ნი თამარ ბეროზაშვილი. ეს წიგნი „დიოგენეს“ არნოდ ჩიქოვაძეს სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან თანამშრომლობით მოამზადა. ამ აკადემიურ გამოცემაში სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურული ტექსტების ლექსიკა და ფრაზეოლოგიაა წარმოდგენილი.

არამხატვრულ ლიტერატურასაც გამოცემთ. ამ მხრივ, აღსანიშნავია ფრანგულიდან თარგმნილი ორი საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“ და „მსოფლიო რელიგიები“. სულ მალე გამოვა მესამეც — „მუსიკა“. წინა წლების გამოცემებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „საქართველოს ატლასი მოზარდთათვის“. სულ პატარებს ძალიან მოსწონთ ვასილ გულუურის ლექსების კრებული „ჩიტის მოტანილი ამბები“.

რაც შეეხება უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებს, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნია გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის პრინციპები“. ეს გახლავთ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლებისათვის.

— თქვენ სამეცნიერო გამოცემებიც ახსენეთ...

— ამ მხრივ, საინტერესოა ელდარ ისმაილოვისა და ვლადიმერ პაპავას მონოგრაფია „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის მიღწეები“. გა-



მოცემული გვაქვს რელიგიური ხასიათის ლიტერატურაც, ასეთია, მაგალითად, სოლომონ ინაიშვილის მიერ შედგენილი კრებული „გზა ტაძრისაკენ“...

— სამომავლო გეგმები როგორი გაქვთ?

— როგორც გითხარით, გამოსაცემად ვამზადებთ რობერტ მუზილის „უთვისებო კაცის“ მეორე ტომს. ვმუშაობთ უმბერტო ეკოს „ვარდის სახელზე“.

ამ დღეებში წიგნის ყოველწლიურ ფესტივალზე გაიმართება კოტე ჯანდიერისა და მაკა ლდოკონენის მოთხრობების კრებულების პრეზენტაციები. დასაბუთებლად მზადაა „ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“.

სხვა საინტერესო პროექტებიც გვაქვს...

ესაუბრა თამარ ჟურული

წარდგინება

ლიტერატურული ჰრამია „საბას“ ნომინანტები

ნომინაცია წლის საუკეთესო პროზაული კრებული

1. გურამ მეგრელიშვილი, მრავალჯერადი ბოთლები (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. მაკა მიქელაძე, წეროს ჯვარი (სიესტა)
3. გიგი სულაკაური, თამაში რევოლვერით (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. არჩილ ქიქოძე, მყუდრო (საარი)
5. გელა ჩქვანავა, დაუმთავრებელი ამბავი (დიოგენე)

ნომინაცია წლის საუკეთესო კოეტიპური კრებული

1. დალილა ბედიანიძე, ფიქრდილობა (სიესტა)
2. ბათუ დანელია, MIRABILIS VIT (ინოვაცია)
3. გიორგი ზანგური, წიგნი (შემეცნება)
4. გიორგი მირზაშვილი, ლექსები (სიესტა)
5. მაკა მიქელაძე, ბარათი (სიესტა)
6. ჯუანშერ ტიკარაძე, უკუქცევა (დიოგენე)
7. ნიკა ჯორჯანელი, სუნთქვა ხუთვისას (დიოგენე)
8. ტარიელ ხარხელაური, მინდვრის ფსალმუნები (ეროვნული მწერლობა)

ნომინაცია წლის საუკეთესო რომანი

1. ლაშა ბულაძე, კარიკატურისტი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. თეონა დოლენჯაშვილი, მემფისი (სიესტა)
3. აკა მორჩილაძე, მესაიდუმლის ქამარი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. გურამ ოდიშარია, პრეზიდენტის კატა (უნივერსალი)
5. დავით ქართველიშვილი, ახალი წიგნი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
6. დათო ჩიხლაძე, ფემინინე (სიესტა)
7. თამაზ ჭილაძე, ბრეიგელის მთვარე (პეგასი)

ნომინაცია წლის საუკეთესო პიესა

1. ლაშა ბულაძე, ნაფტალინი (წიგნის სახელოსნო)
2. ირაკლი სამსონაძე, ყოფილების სარეცელი (ყურნ. „ჭოროხი“, 5, 2008)
3. ბასა ჯანიაკაშვილი, სულიკო (სიესტა)

ნომინაცია წლის საუკეთესო თარგმანი

1. მაია ბადრიძე, რობერტ მუზილის „უთვისებო კაცი“ (დიოგენე)

2. მანანა გიგინეიშვილი, დიდება შენდა (პეგასი)
3. გიორგი ეკიზაშვილი, დანიელ ტენაკის „ძალი, ძალი“ (აგორა)
4. მაგალი თოდუა, სპარსული პოეზიის შედევრები (უნივერსალი)
5. დავით კახაბერი, ანდრე ჟიდის „ყალბი ფულის მჭრელები“ (ინტელექტი)
6. ასმათ ლეკიაშვილი, ემილი ბრონტეს „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ (არეტე)
7. ირმა რატიანი, 100 უძველესი იაპონური ლექსი (სიესტა)
8. გიორგი ქაჯაია, გალიუს სალუსტიუს კრისპუსის „თხზულებები“ (ლოგოსი)
9. თეა შურღია და მზია ბურჯანაძე, თანამედროვე სპარსული პროზა „14 სევედიანი ამბავი“ (უნივერსალი)
10. ზაზა ჭილაძე, კენ კიზის „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“ (დიოგენე)
11. ირაკლი ჯავახაძე, სერგეი დოვლათოვის „ჩემოდანი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
12. პაატა ჯავახიშვილი, მილან კუნდერას „გამოსათხოვარი ვალსი“ (დიოგენე)

ნომინაცია წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

1. ლევან ბრეგაძე, მოთხრობები ლიტერატურაზე (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. რეზო ესაძე, ბილონი - კინორეჟისურის შესახებ (კენტავრი)
3. გიგი ხორნაული, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი (ეროვნული მწერლობა)
4. რევაზ გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა
5. ზაზა ფირალიშვილი, ფრაგმენტული მედიტაციები იერონიმუს ბოსხის მხატვრობის შესახებ (კავკასიის სახ. სტრატეგიათა ინსტიტუტი)
6. ლამარა კიკილაშვილი, სახსოვარი (თეთრი გიორგი)
7. გიორგი ლობჯანიძე, მუჰამედის ცხოვრება (კავკასიური სახლი)
8. დათო ტურაშვილი, ჯინსების თაობა (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

ნომინაცია წლის საუკეთესო დებიუტი

1. დიანა ანფიმიადი, შოკოლადი (სიესტა)
2. ხათუნა თავდგირიძე, Homo Totus (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ნიკა თევზაძე, დეტექტივის თავდასავალი (ზეკარი)
4. ლევან კავლეი, ინდოჩინეთი (სიესტა)
5. გიორგი კეკელიძე, ოდები (სიესტა)
6. ლადო კილასონია, ღობე (საარი)

ეკა ჭკადუა
დათო აბულაძე

გაფრენილი ჩიტი

გამომცემლობა „ტრიასი“ დასაბუქდად ამზადებს ექსპერიმენტულ რომანს „გაფრენილი ჩიტი“. გთავაზობთ ამონარიდს ნივნიდან.

ცეცხლისფერთიანი

მე, რა გავლევს ამ ღამით ღამეს... სად წავიდა სიმშვიდე?... ფარდაზე უცნაური სილუეტები იხატება. მეშინია და სასათუ-მალს ვიცვლი...

ისევ სიზმარი... რომ დაგამსხვრევს, ნაწილ-ნაწილ დაგყოფს, ათას დაბრკოლებას შეგიქმნის და ბოლოს ისევ რაღაც ახლის ძიების გზას გიჩვენებს...

— ილარიონ ბიძია, ილარიონ ბიძია... — რა იყო, ბიძია...

— ომი დაიწყო ილარიონ ბიძია, ომი...“

შემდეგ უკვე ახლანდელი დრო — აუტიტირებული თინეიჯერები გულიდან ამოხეთქილ თუ კლივიდან ამოგლეჯილ ფრაზას სკანდირებენ: **RED ARMY GO HOME... RED ARMY GO HOME... RED ARMY GO HOME...**

ძილბურანში ჩამესმის სროლის ხმა. გონება პასიურად ფიზიკობს, თუმცა ხმა იმდენად ძლიერია, რომ ტვინის პასიურობა ჩარჩოს სცილდება და ნარმოქმნილი იმპულსი თვალის გახელას ბრძანებს. ვემორჩილები. ყურში ჩარჩენილი სროლის ხანგრძლივობა ტვინში გადაიშუშავდება და მელოდიად ჩაბუქდება ცდილობს. ჩაიბუქდა. ფირი გამჟღავნდა და ნეგატივი-ნელ-ნელა ფორმა მიიღო. ამის ნყალობით უკვე ვითვლი ტყვიამფრქვევიდან გასროლის რაოდენობას. ცამეტჯერ ისროლეს... „ჩაანყვეთ რიგში ცამეტი ტყვია, ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი“, — ამეკვივება ნაცნობი ფრაზა. შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე. შიში და თავდაცვის ინსტიქტი ნელ-ნელა ესტივაციურ მდგომარეობაში გადადის და ძილი ისევ მეუფლება. არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა მშვიდობა. მერე უკვე მეგობართან ვარ სახლში. დამეა. რა მინდა აქ? ან სად არის მისი ცოლ-შვილი? — ვეკითხები თავს და მოულოდნელ ადგილსამყოფელს გაათმაგებული გულისძვერით ვათვლიერებ. შუშაბანდში გავდივარ. ცოლ-შვილს არა, მაგრამ მეგობრის შიშით დათრგუნულ თუ ფიქრით დაღლილ სკამზე ჩაძინებულ სიდედრს ვხედავ. ფიქრს და გაურკვევლობას კარზე ტვინის ამაფორიაქებული კაკუნი ჩრდილავს. სიდედრი თვალს ახელს: — მოვიდნენ, უკვე მოგვკითხეს... ჩეკისტები მოვიდნენ. როგორც ჩანს, ისიც სიზმარ-შია. დაძაბულობამ სხვა დროში გადაის-



როლა. ფიზიკობდა და შუშაბანდს ნერვული ნაბიჯებით წინ და უკან ტყეპნის. თვალებით სიძეს ეძებს. შვილს და შვილიშვილებს რატომ არა?... გაახსენდა. ისინი ხომ სადაღაც გადამალეს. კარზე კაკუნი მეორდება. ქალი შიშით გაფართოებული თვალებით შემუდარება გარეთ გახედვას. მეც თითქოს არ მეშინია (ეს მხოლოდ მაშინ, როცა ვხედავ, რომ ჩემზე მეტად სხვას ეშინია), ვანყარებ მას და კარს ფრთხილად ვაღებ. არავინ ჩანს. გავთამამდი და გავედი გარეთ. კიბის პირველ საფეხურზე ქალაქის პატარა ჩანთა გდია. ხელში ვიღებ და ვბრუნდები. რა უნდა იყოს? ცნობისმოყვარეობა მაიძულებს მის

სწრაფად გახსნას. სამი ერთნაირი უცნაური ნივთი — დაძევილი ძუაგაყრილი მუყაოს (თუ რაღაც მსგავსი) ფირფიტა, კისერზე ჩამოსაკიდებელი ფირფიტა! კისერზე? რატომ გამიჩნდა ეს აზრი? მეგობრის და სიდედრის თვალები უსაზღვრო სევდას გამოხატავენ. — რა იცოდნენ, რომ სახლში სამნი ვიყავით? თუმცა მათ ყველაფერი იციან, — ბუტბუტებს თავისთვის ქალი. შემდეგ სამზარეულოში გადის, ნახშირის ნატეხით (საიდან ნახშირი?) ბრუნდება და თითოეულ ფირფიტაზე ჩვენს სახელს და გვარს, პირად ნომერს და სისხლის ჯგუფს წერს. ეს რაღაა? — ვკითხულობ შეშინებული. — ამით უნდა ამოგვიცნონ... როცა აღარ ვიქნებით... — თავაულებლად მპასუხობს მეგობარი. აღარ მინდა არაფრის გავონება და იმ წუთას გონებაზე გაცილებით ძლიერ ფეხებს ვემორჩილები. გავრბივარ. მეგობარი ფეხდაფეხ მომდევს, დამენია. — ამის გარეშე გარეთ გასვლა არ შეიძლება, დახარე თავი, — მეუბნება და ძუაგაყრილ ფირფიტას კისერზე მკიდებს. ნამით მეყინება ძარღვებში სისხლი. შემდეგ ვგრძნობ საფრთხის გარდაუვალობას, მოსახდენი ხომ ისედაც მოხდება და... შიშიც მანებებს თავს. ფილარმონიასთან უამრავი ადამიანი დგას ანთებული სანთლებით ხელში. რატომ სანთლებით, და თუ სანთლებით, ღვთის სახლში რატომ არა? — ვერ ვმალავ გაოცებას. სანთლებს არიგებენ. მე და ჩემი მეგობარიც ვუერთდებით მათ. შიგნითაც შევალნივით. ხალხი აშკარად მეტია, ვიდრე ფილარმონია დაიტევდა. ჰო, არ ვიცი, ასე იყო... გარედან ფილარმონია შიგნით სპორტის სასახლე აღმოჩნდა. შუაგულში კი სამკუთხედის ფორმის ეკრანი იყო დამონტაჟებული. და უცებ, „მახარობლი“ ლევიტანის მსგავსი ხმის ტემბრი იქაურობას გააყრუებს და გარკვევით მესმის ჩემი სახელი და გვარი. ალბათ, საღამო ხანს, ვილაცა ზომბირების ფხვნილის შემცველი თევზი ფუფუს მოზრდილი ნაჭრით გამიმასპინძლდა, ზუსტად გამოთვალა დრო, ადგილი და ახლა მეც, ამაღლებული ადგილიდან მისი ძალით დააყრობილი და შთავგონებული, გადაჭედნილ დარბაზს მრავალი მილიონი წლის წინ დედამიწის დიდ ტერიტორიაზე სიცოცხლის ნიშანწყალის გაქრობაზე მოვუთხრობ: — დაირღვა კვებითი ჯაჭვი, — გრგვინავს დარბაზში ჩემი წარმოუდგენლად ძლიერი ხმა. — დაილუბა პლანეტონი, რომელიც ოკეანეების ბინადრების ძირითად საკვებს წარმოადგენდა. განადგურდნენ ბაქტერიები, რომლებიც მკვდარი ორგანიზმების უტილიზებას ემსახურებოდნენ. ზღვები და ოკეანეები სასაფლაოს დაემსგავსნენ... სასაფლაო... სასაფლაო... — მე უკვე აღარ მესმის საკუთარი ხმა. სამეკრანიანი მანქანა ირთვება და რატომღაც ჩინეთის კედელზეა საუბარი: „მსოფლიოს დიდ სასაფლაოს“ აგებენ... ზომბირებული ბრობო გავხეებული მისწერებია ეკრანებს, აღარ ეშინიათ სიკვდილის და „ეკონომიურად მომზირლების“ თავგანწირვით არიან მოხიბლულნი. — გაუთავებული მშენებლობა დასრულდა. როგორ შექმნეს ადამიანებმა მსგავსი საოცრება? — ისევ ისმის „ლევიტანის“ გამგმირავი ხმა. — ალბათ, გგონიათ, იძულების წესით? გგონიათ, იქ, ცივ და ნესტიან სენაკებში, უდისციპლინო მუშახელს ქვა-ღორღზე მუხლებით აყენებდნენ? არა, ჩემო ხალხო, აქ დასჯის სხვა მეთოდი იყო გამოყენებული. ყველაზე უსუსურებს ან ყველაზე დაუმორჩილებლებს კედლებში ცოცხლად აყოლებდნენ. იყო წარმოუდგენელი თავგანწირვაც, როცა საკუთარ თავს საკუთარივე ნებით სწირავდნენ კედელს. მილიონზე მეტი ადამიანი ამ კედლის აშენებას ცოცხლად შეეწირა. რატომ, რისთვის? იმისთვის, რომ მათი სახით კაცობრიობას ეჩვენებინა დიადი იდეა, მრავალი ადამიანის სიკვდილით გადარჩენილი „ჩვენი ღირსეული ხალხი“ — არ ჩერდებოდა შემზარავი ხმა... — ნამგალი და ურო! აი, რა გვჭირდება ჩვენ, დღევანდელ კაცობრიობას, რათა ვაშე-



ნით „მსოფლიოს უდიდესი სასაფლაოები“ ხალხის კეთილდღეობისათვის...

გონებას დაპატრონებული ზომბი წამით პასიურობას იჩენს და გულიც სწრაფად ბატონდება მასზე. აი, რას მეუბნება არარაბულად აძგერებული: ის საშიშია, ძალიან საშიში. სიძულვილი და უსამართლობა ყოველთვის იყო მის მხარეს, უბრალოდ, მან საოცრად „კეთილშობილური“ ნიღბის ტარება შეძლო. და შეძლო დღემდე... კიდევ ერთს შეგახსენებ: დიდი ხნის წინ, და მერეც, იყო დრო, როცა მისი „კეთილშობილების“ მიმართ რაღაცნაირად ეჭვი გაუჩნდათ ჩემნაირად აძგერებულ შენს მსგავსებს და როცა ეჭვის ფიალა ბოლომდე აივსო, რატომღაც ისე მოხდა, რომ დასახმარებლად, ისევ ამ „სამიმ კაცს“ გაუხსნეს გული. არ მისცე შენი შეცდომით მტკივნეულ სიცარიელეს კიდევ ერთხელ დასადგურების უფლება... იყავი ღირსეული...

აუტიტირებული თინეიჯერები გულიდან ამოხეთქილ თუ კლივიდან ამოგლეჯილ ფრაზას ისევ სკანდირებენ: **RED ARMY GO HOME... RED ARMY GO HOME... RED ARMY GO HOME...**

როგორც ჩანს, ისევ ღვიძილისკენ მივდივარ. რაღაც ხმები ბუნდოვნად შემოდიან ჩემში. რა ხმებია?... სამყაროს გარშემო დაგდებული, ჯერ არაფეთქებული ნალმების განაღმვა ხდება? შიშით ვძრწი. შიში იმდენად გადმოდის სიზმრიდან ღვიძილში, რომ უკვე თავს ქვემოთ ცივი ოფლით დანაშაულ ბალიშსაც ვგრძნობ. მაფხიზლებს სიცივე. ვახელ თვალს... ღმერთო, გამადლობ, რომ ეს მხოლოდ ზმანება იყო...

უკვე თენდება... მეზობელ ოთახში კომპიუტერის მაგიდასთან მჯდარი მამა ვილაცას ინტერნეტში ნარდს ეთამაშება. ღია აივნისა და ჩიტების ჭიკჭიკიც წვდება ყურს... ღმერთო, გამადლობ, რომ გამითენე დღევანდელი დღე...

ვისაუზმე და გარეთ გავვიდე... არ ვიცი საით წავალ. ვიცი, რომ მზერით მოვეფერები ქუჩაში ყველას: ბავშვს, მოხუცს, ზრდასრულს, განდევნილს, მიუსაფარს, მოკისკისე წყვილებს... მშვიდობა მინდა, ღვიძილი მინდა... ახლა სად ვარ? არ აქვს მნიშვნელობა. ჩემი მზერა ნახევრად დანგრეულ იტალიურ ეზოში, მეორე სართულის აივანზე შეაღწევს, სადაც მოხუცი ქალბატონი, ალბათ უკვე წლების განმავლობაში მერამდენედ გარეცხილ და დაკემსილ გაღუნულ კოლგოტკებს თოკზე ჰფენს. „გაღუნული კოლგოტკები“! მე უკვე მარჩუქეს ღვიძილი. თან ორმაგი. მოპირდაპირე მხარეს ჭროლავთვალა ქუჩის დაღმართს მიუყვება. მე პირიქით, აღმართს ვადგავარ. ორი მზერა შეეჯახა ერთმანეთს, გაიქცა „გაღუნული კოლგოტკებისკენ“ და ორივეს ერთდროულად გაგვეღვიძა... ჰო, ერთდროულად... მივიდე?... დაღმართზე მანქანა ჩერდება. ორი ბიჭი ერთდროულად ყოფს თავს და ორ წამში ჭროლავთვალაზე აღარ ჩანს... მერე რა... მე დღემდე მარჩუქეს, თანაც ორმაგი... კიდევ ერთხელ გამადლობ ამისთვის ღმერთო...

...მოხუცი ქალი აივანზე შემოფრენილ მტრედს პურის ნამცეცხვს უყრის...

ჭროლავთვალა

რუ გადმომდო მისმა ღვიძილმა, ან როგორი ღვიძილი იყო ეს? მწარე, სიტკობით გაჯერებული? ერთხელ ვილაღე ჩემიანმა თქვა — ისე უხდება ერთმანეთს წინა კი და თაფლი, ვერც წარმოიდგენო! არ ვიცი, გავსინჯავ ალბათ... ვისზე ვსაუბრობ? თმა კი მიუგავს ცხარე წინაპარს, მაგრამ ალბათ

გული აქვს საოცრად თბილი და ტკბილი... მე გავუღიმიე და პირველად მაჩუქა მანაც ღვიძილი — ორაზროვანი, მრავლისტქმეული, მშვიდი, მწყურვალე, მომლოდინე და ისეთიც, მეგობრებს რომ გამოგლეჯს და მთის წვერზე აგიყვანს, სუფთა ჰაერით დაგათრობს, მახვილსაც ჩაგცემს, სისხლს გამოგადენს, მერე სახლში წაგიყვანს, კალმისტარს და ფურცელს დაგაჭრინებს ხელში და თითქოს ეპილეფსიის შემოტევით გამძვინვარებულს ბოლოს და ბოლოს სიმშვიდეს მოგანიჭებს. შემდეგ განმარტობა მოგინდება და ღვიძილს ისევ და ისევ ის შემთხვევითობა მოგგვრის, „გაღუნული კოლგოტკების“ სახელი რომ ჰქვია...

— დათო, გაიღვიძე, მეგობრებმა დაგირეკეს — საიქიოში მივდივართ და ნუ დაგვიანებთ, — მომესმა ძილ-ბურანში დედაჩემის ხმა. დაბინდულ ტვინში ნელ-ნელა აღდგა გუშინდელი საღამო: გაკამკამებული ოთახი, გრძელი მაგიდა, უამრავი ცარიელი ბოთლი, მეგობრების არეული სიმღერები, ბოლოს მოლაპარაკება საიქიოში წასვლაზე... თავი მისკდება, ვერაფრით ვიხსენებ, როგორ მოვედი სახლში. თუმცა, ახლა ამაზე ფიქრის დრო არ არის, ალბათ დამავიანდა და მარტო მომინვეს ჩანჩალი, გავიფიქრე...

სწრაფად წამოვხტი სანოლიდან. უცებ მოვწესრიგდი. პიჯაკის ქვეშ ახალთახალი თეთრი პერანგი მეცვა, ჰალსტუხიც ღამაზად გამომენასკვა. დედამ შავი პალტო მომაცვა და იმწამსვე...

სწრაფად ჩამოვხტი ტროლეიბუსიდან, აჩქარებული ნაბიჯით გადავჭერი ქუჩა და რომელიღაც უცნობი სახლის სადარბაზოში შევედი. ერთი წამით თავში გამიელვა აზრმა, დამემახსოვრებინა სახლის ნომერი. დავაპირე დაბრუნება, ბოლოს დამეზარა. ფრთხილად ჩავუყვი ჩაბნელებული სარდაფის კიბეებს. შიგნით არც ისე ბნელოდა, როგორც თავიდან მომეჩვენა. კედელში დატანებული პატარა სარკლიდან მკრთალი არამქვეყნიური შუქი იფრქვეოდა. შესასვლელიც მაშინვე დავინახე — ნავით სავსე პატარა ხვრელი. მომიწია პალტოსა და პიჯაკის გაძრობა, სხვა-



ნაირად ვერ შევეტეოდი. გახდას რომ მოვრჩი, ფრთხილად შევძვერი ხვრელში, რამდენიმე წამში ფორთხვით მის ბოლოს მივალნიე და სადაღაც ჩავხტი. აღმოჩნდი მცირე, განათებულ ოთახში, რომლის კუთხეშიც კარი იყო დატანებული. კარი თუ ვაღე. ჩემი მეგობრები გატაცებით თამაშობდნენ პრეფერანსს. დავეკითხე საიქიოს შესასვლელზე. გადახედეს ერთმანეთს და დამიწყეს დარწმუნება, რომ იქ შესვლა სულაც არაა საჭირო, რადგან უკან დაბრუნება სათუთა... გადაწყვეტილება ვერ შემაცვლევინეს. მაშინ მიმითითეს საპირისპირო კედელზე, რომელზეც რაღაც იყო აფარებული. დინჯი ნაბიჯებით მივუახლოვდი კედელს, უკანასკნელად მოვიხედე და...

...ჩემს წინ საოცარი სილამაზის ლურჯი ტბა გადაშლილიყო, რომელსაც ნახევარ რკალად ტყეში ჩაფლული მთა შემორტყმოდა. მოულოდნელად გადაშლილი სანახაობისაგან გაოცებულმა მუხლებამდე შევტოპე წყალში და გავქვავი. ამ დროს, თითქოს მეხი დამეცა, ისე შემომესმა უცნობი მხიარული ხმა. ძლივს მივხვდი, რომ მე მომმართავდნენ:

— ბიჭო, ნუ გაშტერდი, გამომართვი ეს ბოკალი. მოვიხედე — ჩემს წინ, შემალეულზე ზეგაფთაშებული, სმოკინგში გამოწყობილი სანდრო იდგა, რომელსაც შამპანურით სავსე ორი სასმისი ეკავა და გაბრწყინებული თვალებით მიღიმოდა...

— ...დათო, დათო, ადე, სანდრომ დაგირეკა, გელოდებიან, — მომესმა დედაჩემის უკმაყოფილო ხმა და კარის ჯახუნია...

გავერცხვა

დავიბადე სერბიაში, ბელგრადში, დუნაის ნაპირას, 1929 წლის 15 ოქტომბერს, ჩემი ზოდიაქოს ნიშანი სასწორი, დამატებითი ნიშანი — ღრიანკალი.

მამაჩემი მოქანდაკე იყო, დედა ფილოსოფიას ასწავლიდა გიმნაზიაში. ორივე გიჟდებოდა სპორტზე, განსაკუთრებით თხილამურებითა და ტანვარჯიშით იყვნენ გატაცებული. ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება დამრჩა დედაჩემის ნათესავებისგან, რომლებიც დუნაის გადაღმა, მდინარე ტამიშის პირას, ქალაქ პანჩევოში ცხოვრობდნენ. იქ სახლი ჰქონდათ, პანჩევოს შემოგარენში კი ხუტორი — ცხენებით, ძროხებით, საჯინბოებით, ჭით და ვენახებით. ერთხელ ტამიშზე ნავით ვსერილობდით. მოგვეყურა. ბაღა დავინახეთ, ნაპირს მივადექით და საზამთრო ვიყიდეთ ყარაულისგან, რომელსაც ძალი ჰყავდა და სიმინდის გამხმარი ღეროებისგან შეკრულ ხუხულაში ცხოვრობდა. საზამთროს დასაჭრელად დანა გვათხოვა. ჩემმა დამ ყარაულს ჰკითხა, თქვენი ბატონი კეთილია? „აბა, კეთილი! — უპასუხა ყარაულმა, — ერთი მაგის დედაც ვატირე!“ მერე ბატონის ვინაობა ვკითხეთ და მივხვდით, რომ საკუთარი საზამთრო გვიყიდია. ბატონი ბაბუაჩემი აცა აღმოჩნდა. პანჩევოს ამ ჯადოსნური სამყაროდან რაღაც ჩემს პროზაშიც გადმოვიდა.

ბელგრადში ვსწავლობდი, ყარა-გიორგის სკოლაში. მამაჩემმა ერთ დღეს მიმიყვანა, საბუთები გააფორმა და მითხრა, ყოველ დღით, რვა საათზე შენ თვითონ მოხვალ გაკვეთილებზე. ასეც ვიქცეოდი. სკოლა სახლის გვერდით იყო და უცნაურიც თითქოს არაფერი ყოფილა. ისე, ჯერ კიდევ სანამ სწავლას დავიწყებდი, ფრანგულ საბავშვო ბაღში დავდიოდი, რომელიც იმავე ეზოში იყო, სადაც სკოლა. მასხოვს სასაცილო ფრანგი ქალი, რომელსაც დედა დროს ვუძახებდი. ბელგრადის უნივერსიტეტში 1949 წელს შევიდი, 1954 წელს დავამთავრე ფილოსოფიური ფაკულტეტის ლიტერატურის განყოფილება. მასხოვს კვამლით სავსე აუდიტორიები, რომლებიც ნახერხით თბებოდა, სველი პალტოების და შინელების სუნი. ბევრი ჩემი თანაკურსელი პირდაპირ ჯარიდან მოვიდა სასწავლებლად. ეს ყველაფერი იმდენი ხნის წინ იყო, რომ უკვე მართალია აღარ არის — ასე ვფიქრობ დროდადრო იმ დღეების გახსენებისას. ასეა თუ ისე, მაშინ შემეძლო დღისა და ღამის ნებისმიერ დროს შეწერა. ახლა მხოლოდ საღამოობით ვწერ, ან დღიდანვე.

წინაპრები

ჩემს გვარში მწერლები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იყვნენ. ჩვენს ოჯახში ვიღაც ყოველთვის იყო დაკავებული ლიტერატურით. ემერიკ პავიჩმა 1768 წელს ბუდიშაში გამოაქვეყნა ლექსების წიგნი. იგი ხალხური ეპოსის ათმუხლიანი ლექსით წერდა. მე თვითონ ბავშვობიდან მინდოდა დავმსგავებოდი ბიძაჩემს, ნიკოლა პავიჩს, რომელიც მაშინ, XX საუკუნის შუა წლებში, ცნობილი მწერალი იყო. ჩვენი ოჯახის ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელება მინდოდა და მიხარია, რომ ეს მოვახერხე. ბიძაჩემი ნიკოლა, რომელიც ბრწყინვალე მთხრობელი იყო, ბაბუაჩემი აცა და დედაჩემი ემილია ხშირად იხსენებდნენ ოჯახის ამბებს და ძალიან მიყვარდა მათი მოსმენა. ამასობაში უნებლიეთ ვსწავლობდი ზეპირი თხრობის ოსტატობას. პანჩევოში ოთხი ბებო მყავდა. ერთ-ერთი — კოზარა — მზეთუნახავი იყო და სილამაზე ღრმა მოხუცებულობაშიც შეინარჩუნა. თავის დებზე უკეთ ზელავდა ცომს და ზოდიაქოს ყოველ ნიშანზე სიმღერები იცოდა. მოგვიანებით იმ სიმღერებს XVIII-XIX საუკუნეების ძველებურ კალენდრებში ვნახულობდი.

პანჩევოში დანერგული ჩემი პირველი მოთხრობები დაიკარგა. ერთი მოთხრობა ბებერ მწყემსზე იყო, რომელსაც ჩვენი ძროხები დაჰყავდა საძოვარზე, მეორე — ვინმე მარიანზე, რომელიც პატარა ბიჭს უყვარდა. ამ მოთხრობას ერქვა „მარიას სამი შეცდომა“. ორივე სკოლის გაზეთში მოათავსეს და კედელზე ჩამოკიდეს 1946 თუ 1947 წელს. მას მერე აღარ მიხახავს. ალბათ პირველი მოთხრობები იმას ჰგავდა, ახლა რომ ვწერ და თანდათანობით ისევე მიდიან ჩემგან, როგორც მიდიან მშობლიური სახლიდან შვილები, ვისი ბედიც ჩვენს ხელში აღარ არის. ასეც უნდა იყოს. შვილები მშობლებს უნდა სჯობდნენ, ნანარმოებები — ავტორს.

პირველი სიყვარული

რამდენიმე „პირველი“ იყო. ხსოვნაში ყველა ამერია, და ახლა მხოლოდ იასამნისფერი მახსოვს. ერთი გოგოს კაბის ფერი პირველმა დიდმა სიყვარულმა ბევრი რამე მასწავლა. გავიგე, რომ სიყვარულს საშინელი ტანჯვა მოაქვს და რომ მიუტყევებელი შეცდომების ჩადენის ათასობით შესაძლებლობას გვაძლევს. მახსოვს მუსიკა, რომელიც გვაკავშირებდა; მახსოვს, როგორ გავუგზავნე წერილი ვილაც სხვას და როცა გავგზავნე, მერეღა მივხვდი, რომ მისამართი ამერია. ველარაფერს გამოვასწორებდი. ეს წერილი, როგორც ახლა ვხვდები, კარგად, გულწრფელად იყო დანერგული. ნამდვილი სასიყვარულო წერილი. კატასტროფა.


ავტობიოგრაფია

ჩემი აზრით, ლიტერატურამ წაიღო ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომ დავწერე, რომ ბიოგრაფია არ გამ-

სადაც გავიზარდე, დილაობით ხშირად ჰყვებოდნენ, ღამით ვის რა ესიზმრა, ხანდახან სულ ორი სიტყვით. ამ სიზმრებს ვიმახსოვრებდი, ხანდახან ვინერდი — სხვებისასაც და ჩემსასაც. ერთმა ამერიკელმა კრიტიკოსმა სწორად დანერა, რომ ჩემს ნაწარმოებებში სიზმრები „იმ როლს არ თამაშობს, რასაც ფროიდთან და რომ პავიჩს სიზმრები სხვანაირად ესმის“...

მოგზაურობა

მოგზაურობის დიდი მოყვარული არა ვარ. კარგად მახსოვს, ცხოვრებაში პირველად ცხენს როგორ მოვანხტი. აი, თვითმფრინავით პირველი გაფრენა კი სრულეებით არ მახსოვს. ორივე შემთხვევაში უმართავი ურჩხული მოვათვინიერე, რომელიც ჩემზე გაცილებით სახიფათო და სწრაფი იყო. მისი მოძრაობის მართვა მხოლოდ ალაგ-ალაგ შეესაბამებოდა ჩემს სურვილს. მღელვარებით ვიხსენებ ბაბუაჩემის შავ, ლაქით შეღებულ ეკიპაჟს, ბორ-



მილორად პავიჩი — პასუხები ფრანგი ჟურნალისტის კითხვებზე

აჩნია, მაქვს მხოლოდ ბიბლიოგრაფია. თუმცა ცხოვრება ჩემს ლიტერატურაში ენის შემოვლით აღწევს, ლიტერატურა იზადება ცხოვრების მავჯისთვის ყურისგვებით. ასე იყვნენ ერთ დროს საეკლესიო მქადაგებლები ან, კიდევ უფრო ადრე, საბერძნეთისა და რომის ანტიკური ორატორები. რაც შეეხება სიზმრებს, ისინი მიმითითებენ, როგორ შეიძლება ლიტერატურის გადარჩენა მწყობრი ენისგან. სიზმრები მწყობრი არ არის, ლიტერატურა კი მით უკეთესია, რაც უფრო მიუახლოვდება სიზმრებს. აი, რატომ ვცდილობ, ავითვისო და შევთავაზო მკითხველს სიმწყობრეს მოკლებული პროზის ახალი სახეობები, მაგალითად, ჩემი რომანები და მოთხრობები ლექსიკონის, წყლის საათის, ტაროს ბანქოს ან ასტროლოგიური სახელმძღვანელოს ფორმით.

წერ ძალიან ნელა, უფრო ხშირად, საწოლში, ღამით, გონებაში. ხანდახან მეშინია, რომ რამე მარჯვე ფრაზას ვერ დავიმახსოვრებ, შუალაშისას ვდგები და ჩანანერებს ვაკეთებ. წერ ფანქრით, ნითულყდიან რვეულებში, რომლებსაც ჩემთვის იასმინა ყიდულობს, და მერე გადამაქვს კომპიუტერში. რომანი სიზიფეს შრომაა, იოლად იმ განსხვავებით, რომ ქვა, საბედნიეროდ, კი არ გვიბრუნდება, არამედ მთის მეორე ფერდობიდან პირდაპირ ხელში უგორდება მკითხველს. თითქოს ცხელ კარტოფილს აგდე ხელიდან და ვინც დაიჭერს, იმან იფიქროს, რა უყოს. რომანში წინასწარ არაფრის მოფიქრება არ არის საჭირო, უნდა აცალოთ, რომ თქვენში გაიზარდოს და მხოლოდ ოდნავ შეამშველოთ ხელი აღმართში. თავიდან ყველაფერი ნელა და გაჭირვებით მიდის წინ, ქვა აღმართში არ გაქორჩილება და იღვლებით. და როცა ბოლოს და ბოლოს მწვერვალს მიაღწევთ, თქვენი რომანი ციცაბოდან წყდება, სულ უფრო და უფრო სწრაფად მიგორავს ქვემოთ, ახლა თქვენ ვეღარ ენევი და ძალაგამოღებული ცდილობთ, მიმართულე მისცეთ, რომ სადმე ხევი არ ჩაიჩეხოს. ძალ-ღონეს ის სულ უფრო და უფრო იკრებს, თქვენ კი თანდათანობით გელევათ. სად გაჩერდება, არც თქვენ იცით და არც იმან. თუ გაგიმართლათ, ეს სწორედ თავის ადგილზე მოხდება, იმ პირობით, რომ როგორც მწერალი, ჭკუის ჭყლეტვას მოეუბნებით და ხელს არ შეუშლით. მოკლედ, სახლს საძირკვიდან აგებენ, რომანს — სახურავიდან. როცა დაასრულეთ, საკუთარ თავს პროზით უთხარით ის, რაც პუშკინმა ლექსად უთხრა, როცა „ევგენი ონეგინი“ დაასრულა.

სიზმრები

რომანი „ხაზარული ლექსიკონი“ ბუნდოვნად წარმომედგინა ჯერ კიდევ სტუდენტობისას; ეს იყო დაახლოებით 1953 წელს, როცა ამ თემას შევეჯახე კირილესა და მეთოდეს ხაზარულ მისიაზე კითხვისას. იდეა მხოლოდ სამოცდაათიან წლებში მომნიჭდა, როცა გადავწყვიტე, ლექსიკონის სტრუქტურის მქონე ნიგნის დანერგა. რომანი 1978 წელს დავერწყე და 1983 წლამდე ვწერდი. იგი 1984-ში გამოქვეყნდა. ჩემი აზრით, სიზმრის სტრუქტურა არამწყობრი თხრობის (ნონლინეარ ნარატივის) სრულყოფილი მატრიცაა. სიზმრები „ხაზართა ლექსიკონსა“ და ჩემს სხვა ნიგნებში არაერთგვაროვანია. ოჯახში,

ბლებზე ნითელი ჩხირებითა და მინის ლაპლაპა ფანრებით. სამწუხაროდ, ამ ეკიპაჟმა სამუდამოდ მოგჭამა ჩირი ქალაქ პანჩევოს სარაიაში, მე კი იძულებული გავხდი, რის ვაი-ვაგალაბით შენანალა ქვეყნიერებაზე. მერე ჩემმა ნიგნებმა ისეთი სისწრაფით დაიწყეს ფრენა ამქვეყნად, რომ თვითმფრინავით მომიხდა მგზავრობა. ნიუ-იორკი, მოსკოვი, პარიზი, რომი, მილანი, ბარნელიონა, მადრიდი, ლონდონი, ედინბურგი. კანადა. შორს, ჩვენს ქვემოთ, ბევრი წყალია. ტურნე, რომლის დროსაც ოთხ ენაზე უნდა ვიკითხო ჩემი პროზა და ველაპარაკო ჟურნალისტებს. ამ მოგზაურობებისას სარკეში ჩემი გამოსახულება ბერდება. მე თვითონ ვერა ვგრძნობ, რომ ვბერდები. მაგრამ ვნახე, რომ ის ქალაქებიც ბერდებიან, სადაც ვყოფილვარ. ამკარაა, რომ ბერდებიან, მაგრამ ეს ორგვარად შეიძლება მოხდეს. მაგალითად, ვენას ან ვენეციას საკუთარი გაახალგაზრდავების მცდელობა აბერებს, მოსკოვი კი XXI საუკუნის დასაწყისისთვის გაახალგაზრდავდა, რადგან დაბერდა. ეს ქალაქები ქვის ფერსაც ეტყობა. ამაზე რომ ვფიქრობ, ჩემი მოგზაურობები სხვაგვარად წარმომიდგება. სინამდვილეში ადამიანი მარადიული მგზავრია. ლოკონისა არ იყოს, ადამიანს წარსულის ლორწოვანი, უხილავი, გამჭვირვალე კვლი მოჰყვება, და როგორც ლოკონისა დაათრევს თავის სახლს, ისე დაათრევს ზურველ ადამიანი საკუთარ მომავალს. ყოველ საღამოს ამ სახლში იმალება ღამის გასათევად. საით მიდის მისი გზა?

ჩაით დასატული პეიზაჟი

ჩემი რომანი „ჩაით დასატული პეიზაჟი“ არის ნიგნი ჩემს ყოფნაზე ათონის წმინდა მთაზე. საბერძნეთში სხვადასხვა მონასტრებში ვცხოვრობდი, ყველაზე დიდხანს — სერბიულ მონასტერში, ხილანდარში, რომელიც რომანში დანერგულია — თაა აღწერილი. იქ, მონასტერში, გავიგე, რომ ყოველმა ჩვენგანმა შეიძლება, თავი იცნოს ბერობის ორგვარი სახეობიდან ერთ-ერთში. ყოველ ჩვენგანს შეუძლია, შეამომოს, ვინ არის ცხოვრებაში, იდიორიტოკოსი (განდებელი) თუ კენობიტი (რომელიც სამოსთან დაკავშირებული, სხვებთან ერთად მცხოვრები ბერი). ამას რომ მიხვდება, ბევრ ახალ რამეს გაიგებს საკუთარ თავზეც და საკუთარ მონოდებაზეც ამქვეყნად.

ქსალში

ლიტერატურა უნდა მოერგოს ახალ ელექტრონულ ეპოქას, სადაც უპირატესობა ენიჭება არა თანაბარ, მწყობრ, თანმიმდევრული რგოლებისგან შემდგარ ლიტერატურულ ნაწარმოებს, არამედ იკონიზირებულ სახეს, ნიშანს, სემიოტურ სიგნალს, რომელიც შეიძლება, ნაშში გადაიციეს, XXI საუკუნე ხომ სწორედ ამას მოითხოვს. შეიძლება, იდეალურად ჩაითვალოს ტექსტი, რომელიც ბორგავს და იტოტება, ჩვენი აზრებით, ან ჩვენი სიზმრებით. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემს პროზას ინტერაქტიული, არამწყობრი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს. ასეთი ტექსტი იოლი საკითხავია ინტერნეტით, და იქ ჩემს თითქმის ყველა ნიგნს ნახავთ. მკითხველებს კომბინირებული კითხვა შევთავაზე. მოკლედ განვმარტავ. ჩემს რომანს

„საწერი მოწყობილობების ყუთი“ ორი დასასრული აქვს — ერთი ნიგნშია, მეორე — ინტერნეტში. ნიგნში მითითებულია ელექტრონული მისამართი, და ვისაც უნდა, ყველას შეუძლია, ნიგნის კითხვა შეუთავსოს ინტერნეტის ქსელში რომანის დასასრულის კითხვას. დავსძენ, რომ ეს ბევრს უნდა. ჩემი რომანის „ვარსკვლავთა მანტი“ ორი თავი მხოლოდ ინტერნეტში არსებობს. ნიგნში ისინი უბრალოდ, არ არის. და ასე შემდეგ. ახლახან ბელგრადში გამოვიდა კომპაქტ-დისკი „ხაზართა ლექსიკონის“ მშენებელად ილუსტრირებული ტექსტით. ეს ვერსია ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოადგენს, როგორ შეუძლია მკითხველს, კლავიატურის საშუალებით თავად გაიკვილოს გზა რომანში. ძველი კლავიატური ლიტერატურის ეპოქასთან შედარებით ახლა მწერალი გაცილებით უკეთ უნაწილებს თავის როლს მკითხველს. რაც შეეხება მწერლის სამყაროზე გავლენას, ამაზე ერთს ვიტყვი — სამყარო გაცილებით უარესი იქნებოდა, ვიდრე დღესაა, რომ არ არსებობდა მხატვრული შემოქმედება, ჰომეროსიდან მოყოლებული დღემდე, რომელიც მაინც აუმაჯობებს სამყაროს. გამომცემლებისგან ვიცი, რომ მთელ ქვეყნიერებაზე ჩემი მკითხველების რიცხვი ჭარბობს ნებისმიერი სახელმწიფოს ჯარის რიცხვს, ზოგიერთ მწერალს, კი, როგორცაა, ვთქვათ, ჰარი პოტერზე რომანების ავტორი, ქალბატონი როულინგი, უფრო მეტი მკითხველი ჰყავს.

ცხოვრების მთავარი მოვლენები

პირველ რიგში — ლიტერატურა, მეორე: უფალმა ორი დიდი სიყვარული მაჩუქა. ერთი უბედური, მეორე — ბედნიერი. ყოველმხრივ. მესამე: ომში მონაწილეობა არ მიმიღია და არ მომიკლავს — ერთი ომი ჩემი ცხოვრების დასაწყისს დაემთხვა და ძალიან ახალგაზრდა ვიყავი საიმისოდ, რომ იარაღი ამელო; მერე, როცა ჩემი ცხოვრების მინურულს იფეთქა ომმა, ამ საქმისთვის უკვე ბებერი ვიყავი.

სამყარო მომავალში


წინასწარმეტყველი არა ვარ. და მომავლის ვარაუდი მხოლოდ ალოთი შემოიძლია. ხანდახან მეჩვენება, რომ ჩემი მომავალი ბევრჯერ დამსიზმრებია, მაგრამ ვერ გამოვიდა. ერთხელ ვთქვი, რომ მომავალი საჯინბოა, საიდანაც შიში გამოდის. როგორ შესძლებენ ადამიანები მერწყულის ახალ ათასწლეულთან შეჩვევას, მათი ხელით შექმნილთან შეგუებას? როგორ შესძლებენ შეგუებას იმ საშინელ სისწრაფესთან, რომლითაც უკვე დღესდღეობით, XXI საუკუნის დასაწყისში ცხოვრობენ? როგორ ვიცხოვროთ ორი დღე ერთ საათში? რა ვუყოთ წარსულს?

მკითხველი

ჩემი მკითხველი უნდა მიყვარდეს, მაგრამ მე არ გამომდის, რადგან შეუძლებელია, გიყვარდეს დაუბადებელი შვილთაშვილი, გინდაც ძალიან გგავდეს. მაგრამ ის მაინც ვიცი, რომ ლიტერატურას მომავალში მწერლები კი არა, მკითხველები მიუძღვებიან, ამქვეყნად ნიჭიერი მკითხველი ხომ გაცილებით მეტია, ვიდრე ნიჭიერი მწერალი.

„მადამ ბოვარის“ ხელნაწერის საილუმო გაცხადი


საფრანგეთის უნივერსიტეტში გაცხადილია საიტი, რომელიც მთლიანად ეძღვნება ხელნაწერს, რომანისა „მადამ ბოვარი“. ექვსასამდე ენთუზიასტმა ჩვიდმეტი ქვეყნიდან, რომელთა რიცხვიც შედის დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, იაპონია, ავსტრია, და სხვა ქვეყნები გაშიფრეს 4 600 ხელნაწერი ფურცელი. ამ პროექტში მონაწილეობდა თექვსმეტიდან სამოცდათექვსმეტ წლამდე ასაკის ადამიანი. ათი წელი გრძელდებოდა რომანის ხელნაწერების გაცხადი. ამ პროექტისთვის 120 ათასი ევრო გამოიყო.



ჟან-ლუკ-პინაგრემ. ბრიტანელი მკითხველი რომანს „იარაღით მოვაჭრე“ ჯერ კიდევ 1997წ. გაეცნო და დიდი პოპულარობაც მოიპოვა. ფრანგულ ენაზე თარგმნილია ასევე ყველასთვის ცნობილი „ეკიმი ჰაუსი“.

ჰიუ ლორი ფლობს ბევრ პრესტიჟულ ჯილდოს, არის „ოქროს გლობუსის“ ლაურეატი. მსახიობს ჩაფიქრებული აქვს ახალი რომანის, „იარაღით მოვაჭრე“ ეკრანიზაცია, გადამდგარი სამხედროს ტომას ლანგეს შესახებ.

კურთ ვონეგუტის გამოქვეყნება ნანარმოებზე დღის სინათლე იხილა



მსოფლიოში ცნობილი გამომცემლობა Delakorte Press აპირებს გამოსცეს ნიგნი სახელწოდებით „შეხვედ ჩიტს“. სწორედ ამ კრებულში შევა ვონეგუტის დაუბეჭდავი ნანარმოებები. ნიგნი მხატვრულად გაფორმდება ავტორისეული ილუსტრაციებით. გამომცემლობა Delakorte Press დიდ სიურპრიზს უმზადებს ამერიკელი მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემლებს. დღის სინათლეს ელოდება მწერლის ვაჟიშვილის, მარკ ვონეგუტის წერილების და მოგონებების კრებული.

შექსპირის ცნობილი პორტრეტის დედანი აღმოაჩინეს

ლონდონში შექსპირის ცნობილი პორტრეტის პრეზერვაცია გაიმართა. იგი 1610 წელს უცნობი მხატვრის მიერაა შესრულებული. პრეზერვაციას, რომელიც მეთერთმეტის რაიონის ერთ-ერთ პრესტიჟულ სახლში მოეწყო, ცნობილი შექსპიროლოგები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. როგორც ჩანს, პორტრეტი შექსპირის ახლო მეგობარმა, გრაფმა რაუტგემპტონსკიმ შეუკვეთა. მხატვრის ვინაობა მხოლოდ 2006 წელს გაირკვა, როდესაც კობის ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა, ლონდონის ნაციონალურ გალერეაში შექსპირის პორტრეტის ასლი ნახა. მათ ოჯახში წლების განმავლობაში სწორედ უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული შექსპირის პორტრეტი ინახებოდა.

ჰიუ ლორიმ ფრანგი აკითხვალის გულაბი დაიპყრო


ცნობილი ბრიტანელი მსახიობის ჰიუ ლორის რომანმა „იარაღით მოვაჭრე“ ფრანგ მკითხველში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. რომანი ფრანგულად თარგმნა

ჯორჯ ბუში მემუარების გამოქვეყნებას აპირებს

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი აპირებს დაწეროს ნიგნი რვანლიანი საპრეზიდენტო მოღვაწეობის შესახებ. როგორც ცნობილია, მემუარებს 2010 წლისთვის გამომცემლობა Crown Publishing Group დაბეჭდავს. ნიგნის სავარაუდო სათაურია „გადანყვეტილების მიღებისას“. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ჯორჯ ბუშის მიერ მიღებულ საეტაპო გადაწყვეტილებებზე, რომელთაც მსოფლიოს ისტორია გარკვეულწილად შეცვალა. მათ შორისაა ერაყის ცნობილი მოვლენები და ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის წევრების ურთიერთდამოკიდებულება.

მარსელ პრუსტი პირველია

ინტერნეტ-საიტის გამოკითხვა „ტელერამამ“ 10 პოპულარული ფრანგი მწერალი შეარჩია. მონაწილეებმა 10 საუკეთესო მწერლის 10 ნაწარმოები დაასახელეს.



როგორც გაირკვა, მარსელ პრუსტი დღემდე რჩება ყველაზე პოპულარულ ავტორად ციკლით „დაკარგული დროის ძიებაში“. როგორც Lenta.ru წერს, ესეისტმა ოლივიე დეკურამ რომანის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ეს არის ამოუწურავი, უსასრულო, მრავალმხრივი ნიგნი, რომელიც XIX საუკუნის ფესვები იგრძნობა და ასევე ძალიან თანამედროვეა. შესაძლებელია იგი სხვადასხვა ასაკში ნაიკითხო და ყოველ ჯერზე აღმოაჩინო რაღაც ახალი“. საუკეთესო მწერლებს შორის აღმოჩნდნენ: ფლობერი, ჯოისი, კაფკა, რემბო.

გრამ სვიფტმა თავისი არქივი ბრიტანეთის ბიბლიოთეკას მიჰყიდა

ბრიტანეთის ბიბლიოთეკამ გრემ სვიფტის არქივი შეიყიდა. მასვე ეკუთვნის მწერლის ხელნაწერები და კორესპონდენციები. მკვლევარებში განსაკუთრებულ ინტერესს სვიფტის მიმოწერა იწვევს. გაყიდულ ნაწარმებში გრემ სვიფტს 100 000 ფუნტი სტერლინგი გადაუხადეს. სვიფტი ბუკერის პრემიის ლაურეატი გახლავთ, რომელიც ავტორს რომან „უკანასკნელი განკარგულებისთვის“ მიენიჭა.

ნიგნის ბაზრობა კვიტაუნში

ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, კვიტაუნში წელს ნიგნის ბაზრობა გაიმართება. მასში 29 ქვეყნის 250 გამომცემლობა მიიღებს მონაწილეობას. ბაზრობას ცნობილი ავტორები ესტუმრებიან. მათ შორის იქნება ანდრე ბრინკი, რომელიც ინგლისურ და აფრიკულ ენებზე წერს. ასევე, ჯონ ვან დე რაცი, ყველაზე პოპულარული ახალგაზრდა დრამატურგი და რომანისტი ივან ვლადისლავიჩი. სპეციალური მონვევით კვიტაუნში ჩამოვა ცნობილი ინგლისელი მწერალი ადელ პარკი.

ნიგნის ბაზრობა გაიმართება დევიზით „განათლება მომავლისათვის“. მას 50 000-მდე ადამიანი დაესწრება. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა სასწავლო ლიტერატურას. ბაზრობის დირექტორმა, ვანესა ბადრუდინმა აღნიშნა, რომ კვიტაუნში 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, მკითხველად კი 600-700 ათასი გვევლინება. სწორედ ეს არის ამ ქალაქის მიზიდველობა.

რომში გოგოლის პრემია დაწესდა



რომში ცნობილი რუსი კლასიკოსის, გოგოლის სახელობის პრემია დააწესეს. დაჯილდოების სახეიმო ცერემონიალი მედიის ვილაზე გაიმართება, სადაც ფრანგული აკადემია ფუნქციონირებს. აღნიშნული პრემია მწერლის დაბადებიდან 200 წლისთავს მიეძღვნა. მალე რომში ეს თარიღი საზეიმოდ აღინიშნება. გოგოლი იტალიაში რვა წელი ცხოვრობდა და სწორედ აქ დაწერა თავისი ცნობილი რომანი „მკვდარი სულები“.

ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკიდან 9 000 ნიგნი დაიკარგა

როგორც ცნობილი გახდა, ბრიტანეთის ბიბლიოთეკიდან დაახლოებით 9 000 ნიგნი დაიკარგა. მათ რიცხვში შედის ალორძინების ხანის თეოლოგიისა და ალქიმის ტრაქტატები, შუასაუკუნეების ასტრონომია და პიტლერის ცნობილი ნიგნის — „ჩემი ბრძოლა“ უნიკალური გამოცემა. ბიბლიოთეკიდან გაქრა ასევე XIX-XX საუკუნეში გამოცემული ცნობილი რომანები.

მურაკამი მსოფლიოს ახალი საშიშროება დაანახა

იაპონელი მწერლის, ჰარუკი მურაკამის აზრით, თანამედროვე მსოფლიოს მთავარ საშიშროებად მზარდი რელიგიური სექტები მოიაზრება. მწერალი საფრთხეს ხედავს ფუნდამენტალიზმში, რომელმაც მარქსისტული იდეოლოგია ჩაანაცვლა. ეს განცხადება მან ახალი რომანის, „1Q84“ გამოქვეყნების შემდეგ გააკეთა. შვიდწლიანი პაუზის შემდეგ დაწერილ მურაკამის ამ ნაწარმოებს დიდი გამოხმაურება ჰქონდა და გასულ თვეში მილიონ ორასი ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. ეს არის თავისებური პასუხი ჯორჯ ორუელის ცნობილ რომანზე „1984“.

რომანს საფუძვლად დაედო ერთი ექსტრემისტული იაპონური სექტის სასამართლო პროცესი. ნიგნში აღწერილია, როგორ გარდაიქმნა მემარცხენე რევოლუციური დაჯგუფებები ფუნდამენტალისტურ სექტად; რომ მარქსიზმმა ამოწურა სასიცოცხლო ძალები და გაიზარდა ინტერესი სექტანტური რელიგიებისადმი. ადამიანებმა შეწყვიტეს აზროვნება და მათთვის უფრო იოლია სხვისი იდეების გამოყენება.

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტები ხათუნა აღხაზიშვილი, თამარ ყურული
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com